



N6(87) 7/II.-13/II.2002. ფასი 60 თ.

1168
2002



„სასსოვრებელი
დამიწვეს...“

ქალიშვილზე განაწყენებული სიღადრი თემურ თათარაშვილს ეღაპება



გაგუკა ბერიკა ელაგმა
ვეფხვმა დათრგუნა




ვის შეუძლია
თმის ერთი
ღარით
დამნაშავის
პოვნა

დნე-ტესტი თბილისში
სადავო მამოზას
აღგანს

რაფიელ მაყაშვილი:

**...როდესაც მაიდაჩაში, რაფიელ ერისთავის შვილიშვილი,
მარუნია მაყაშვილი დასახვრებად გაუყვანიათ, მისი
სილაგაზით მოჯადოებულ ჯალათებს გყვიის გასროლა
პირ მოუხარებიათ. ბოლოს, მისთვის თავზე ვედრო
ჩამოუშვიათ და ისე დაუსხრებიათ...**

გვ.30



ბინათურები

305 თქვა, სინილი
ჯანმრთელობააო? 3

გამოსაუკება

„გააღობთ, რომ ჩემი
შვილი ნათია გააკონცინეთ...“ 4

სსოვკება

გასხვისებული შვილები და
დაკარგული მშობლები 5

ქოფლიძე

თქვერ თათარაშვილი:
„ნებისმიერი ფრაზა ნინოსა და
დედამის კიდე უფრო
დააშორებს ერთმანეთს“ 8

ქოფა

გამუკა ბერიკა ელაგა
ვეფხვა დათრუნა 11

გაქონატი თქვენი ყოფილი

ტესტი ერუდინიაზე 13

კრიტიკა

• „შვილი თვალწინ მოვიკლა,
თხითონ კი თავისუფლად
დადიოდა“ 14

• „დედა საკუთარი შვილის
გველეშობა გერს შეუკვეთა...“ 16

გველა

305 ჩაულურჯა თვალი
სტეფანეს? 18

კოვლეა

30-40 წლის შემდეგ ალაშიანი
ალარ დაბერდება ანუ რას
გვიჩადის „დემ-ის“ გაშიფვრა?! 21

გვოზარი

სხენებისთვის პასკორტებს
სმრტიფიკაციით გასცემა 25

ნათიანკისნატი

ინფორმაციულ-შეფხვანებითი
ქოლაქი გონა დვალის
უბის წიგნაკიდან 26

განა

„უნამუსო“ რეჟისორს
საქართველოში იტალია ენატრება,
იტალიაში – საქართველო 28

ნასულის ანაკაქი

რაშიელ ერისთავის შვილიშვილი
დამ ბათისოვებით გაღარჩინა 30

სარკველო აზრები

საქართველოს ენციკლოპედია
31

განა

გაგარი ნამდვილი
გამაგანისთვის 32

„ტყვის სეილა“ საქართველოში – ანტიკური სანიდან ლეკიანობა



საქართველოში ადამიანთა გაგაცეხას მწვავე ფორმები მიუღია, მეფე იძულებული გამხდარა, სპეციალური „სამპარავთმძებლო“ ინსტიტუცი დაეარსებინა, რომლის მთავარ ფუნქციასაც „მპარავთა და მეკობრეთა“ ძებნა და აღმოჩენა წარმოადგენდა. შეყვრობილებს კი უსასტიკესი ანგარიშწორება ელოდათ.

40


თქვერ თათარაშვილი:

– თქვენი ჟურნალის საშუალებით მიხდა ვთხოვო ყველა ჟურნალისგ: წაიკითხოთ ყველამ ეს მასალა, გაეცნოს სინამდვილეს და შეწყდეს ამ საკითხზე წერა, რადგან ნებისმიერი ფრაზა ნინოსა და დედამის კიდე უფრო დააშორებს ერთმანეთს...



8

„დედა საკუთარი შვილის გველეშობა გერს შეუკვეთა...“



ნოდარის დედა მეუბნებოდა: 600 ლარს გადაგიხდი, თუ ჩემს შვილს მოკლავო. ამ თანხას მას შემდეგ მომცემდა, როცა მოკლული ნოდარის შარვალს და მოჭრილ ხელს მივეუბნადი...

16

305 ჩაულურჯა თვალი სტეფანეს?

როდესაც გადამეგებულ ყურადღებას მაქცევენ, ინტერესი მეკარგება – ისევე, როგორც მამაკაცების უმრავლესობას. ამასთან, ჯერ არ შეძვედრია ქალი, რომელიც უარს იტყვის ჩემი ყველა „მოხონდრიის“ ასრულებაზე. ამით შეიძლება დიდ საიდუმლოებას ვამჟღავნებდე, მაგრამ ეს მართლაც ასეა.



18

ტრადიციები

თბილისელ ლამაზმანებს
„ქვასროლია“ ვაჟკაცებიც“
მოსწონდათ!.. 34

საბანაური

მარტვილის ჭიჭიანი ხატი და
Xვარი P.S.-ით 35

ფაქორიტა

„მილანის“ გოლგაფორს დედის
ბაკეთებული ბორჩში
ყველანაირ კერძს ურჩევნია 36

ისტორიის გაკეთილვა

„ტყვის სყიდვა“ საქართველოში
- ანტიკური ხანიდან
ლეკიანობაგაღე 40

რომანი

ნუგო ბაშელი.
ელა (ბაბრეალება) 43

პარსკვლავი

მეიბე ოპერანისი შედეგად შერონ
სტოუნი ცხოვრებას უბრუნდება 46

ავტო

48

აქათური-ჩიტიური

50,51

ჯანმრთელობა

- პროფილაქტიკა-მკურნალობა:
ლიფთერია 52
- კითხვა-პასუხი 52
- ღიასახლისის კუთხე 54

ფალსიფიკატორი

სიყვარულის ხელოვნება -
შეხვედრებული და დაგუსტებული 55

ტანტი

ერთგული მეიტხველი 57

სუპერგაუზი

ბონდის ოცეული და
სუპერგამირის ქალები 58

სკანდორდი

61

პოროსკოპი

კვირის (11-17 თებერვალი)
ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტანტი

ხარო თუ არა
ბონებაგაფანტული? 63

კალენდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი შოკოლიაძის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური შერნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, სუთვაბათობით
გაზეთ „კვირის კალიტრის“ დამატება
შერნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
შერნალი იბეჭდება გამოცემლობა „კოლორში“

რას გვიჩადის დნმ-ის გაუფხვრა?!




საქართველოში, სადავო მამო-
ბის დადგენის მიზნით, ყოველწლი-
ურად დაახლოებით 60 სასამართ-
ლო პროცესი იმართებოდა: აღრი-
ნდელი მეთოდები არ იძლეოდა
მამობის ზუსტი დადგენის საშუალე-
ბას. დღეს დნმ-ტესტი სადავო მა-
მობაზე ერთმნიშვნელოვან პასუხს
იძლევა.

21

**ქაპარი ნამდვილი
მამაკაცისთვის**

იგი ერთ-ერთ წვეულებაზე მი-
უპატივებიათ, სადაც აუცილე-
ბლად სმოკინგით უნდა მის-
ულიყო. „რემბომ“ სმოკინგი კი
ჩაიყვება, მაგრამ ეტიკეტის წესები
ბოლომდე ვერ დაიცვება და შარ-
ვალი ქაპრით დაიმშვენება.



32

**მეიბე ოპერანისი შედეგად შერონ
სტოუნი ცხოვრებას უბრუნდება**



პოლიველში გაგარებულ პირე-
ელ 10 წელიწადში მან კიდევ მრავ-
ლი მეორეხარისხოვანი როლი
შეასრულა, ამიგომ 34 წლის ასაკ-
ში, ერთფეროვანი ნამუშევრებით
დაღლილმა შერონმა, საკუთარ
თავს პირობა მისცა: „ან ყველას
გავფოგნებ, ან სუპერმარკეტში ვამუ-
იღველად დავეწყებ მუშაობას“.

46

ეოს

- სულელო! რა მოწონებაზეა
ლაპარაკი! მამაშენი ჩემი ბავშვო-
ბის მეგობარია, შენ პირველი დღი-
დან ჩემ თვალწინ იზრდებოდი...
შვილივით ხარ!
- მერე რა!.. რაც თავი მახს-
ოვს, სულ მიყვარდი, სულ შენს
ცოლობაზე ვოცნებობდი...



43

ვინ იქვს, სიცილი ჯანმრთელობისა?



„შერევილები“ არაერთხელ გაგვიხსენებია – „აბი გლუკოზათი“ დაწყებული და „მრეკეთ ბოთლით“ დამთავრებული... კიდევ ერთი ეპიზოდი მინდა შეგახსენოთ: პატივცემული ექიმი ნოშრევან კუჭუხიძე თაიგულითა და ტორტით რომ მიადგება მშვენიერი მარგალიტას კოხტა ოდას და მიზანა ბრეგვაძის ვაჟაკი რომ მოახსენებს, – ვილაც სქელმა და ჩექმებიანმა კაცმა შეგასწორო...

– რა ყველაფერი დასწრებაზეა ამ ქალაქში, – გულწრფელად აღმოხდება შეყვარებულ ექიმს...

ჰოდა, ასეა ახლაც, ყველაფერი დასწრებაზეა ამ ქალაქში და არა მარტო ქალი, ამას კიდევ აიტანს კაცი – ქალი იმის ქალია, რომ თუ ქალად ვარგა, სწორედაც დასწრებაზე უნდა იყოს საქმე და კაცებიც თავს ეხვეოდნენ, მაგრამ „პროვოკატორობაზე“ და მამამაღლობაზე რომ „წილში ჩავიდგებიან“, საქმეა ეს?!

ვიყავი ჩემთვის, ვილაცას ხანდახან კბილს გაკვრავდი, ვილაცას „შტუკას“ მოუწყობდი, მეც ვერთობოდი, თქვენც ცოტას გამხიარულებდით, ერთი, მეორე... მივედი წინა ხუთშაბათს გაზეთების ჯიხურთან, ვიფიქრე – დავხედავ ჩვენს ჟურნალს, ვნახავ, რედაქციიდან სტამბამდე ხომ არ „დატკბა“ ჩემი „პროვოკაცია“-მეთქი და... სად არის ჟურნალი?! არა, ერთი მხრივ, უნდა გამხარებოდა:

თუ არ იყო – ე.ი. გაიყიდა, მაგრამ ძალიან ადრინდელი დილა გახლდათ და ეჭვი შექმნა. გამყიდველს ვკითხე – „გზა“ არ მივიღიათ-მეთქი?! – როგორ არა, შენ ხარ ჩემი ბატონიო, აიღო რაღაც ჭრელაჭრულა ჟურნალი და იმის ქვეშიდან გამოაძვინა!!!

გადავირიე, მაგრამ რა გადავირე: ახლავე, ადგილზევე არ მომაწყობინოთ პროვოკაცია-მეთქი, ეს ვისი რა ნაჯღაბანია-მეთქი, სინდისიც კარგი საქონელია-მეთქი და კიდევ ბევრი „მეთქი“...

მისმინა, მისმინა და ბოლოს იმანაც იფეთქა: – იცი, რას გეტყვი?! ამოვიდა ყელში ეგ შენი „პროვოკატორი“! შენც ახლა არ გაგვაკვირვო რამით, პროვოკაცია არ არის მთელი ქვეყანა?! ხალხს, ძმაო, სიცილი მოენატრა თორემ, კბენას თვითონაც უხერხებენ ერთმანეთს. აჰა – ახალი ჟურნალია, „ფილთაქვა“ ჰქვია! გადაშლი, წაიკითხავ, გაიცინებ, კითხვა თუ არ იცი – კარიკატურებს დათვალე. ისე, ჩქმეტა-ღრენაც შენზე

არანაკლებ შეუძლია! თანაც მთელი ჟურნალი ფერადია! ასე რომ, „დავია“ ეხლა, აახვიე აქედან!

ამას მეუბნება მე – პროვოკატორს, თანაც არც რცხვენია და არც ეშინია!

რა უნდა მექნა? წამოვედი კულამოძუებული (ღრენა და კბენა თუ იცი, „კულის ამოძუება“ არ უნდა გაგიჭირდეს)...



როგორ მოგწონთ, ერთგულ მკითხველო? „ფილთაქვა“ გვინდოდა ახლა მე და თქვენ? ვიყავით ტკბილად, „კვიკვიკვიკვი“ გვიყვარდა ერთმანეთი და აჰა!.. „კასიო!“ „მურმანის ეკალი!“ არადა, რა დროს სატირულ-იუმორისტული ჟურნალია? მთელი ჟურნალისთვის რომ იყოს მასალის შეგროვების საშუალება, მე დამასწრებდა ვინმე?! რაზე უნდა იმყვირო, ვის უნდა დასცინო ამ აწყობილ ქვეყანაში?! და საერთოდ, რა გაცინებს, შე ჩემო, ფანჯრიდან არ იყურები, რა ხდება გარეთ?!

თანაც, სიცილი ჯანმრთელობაო – დაუჩემებია! ჰმ, ჯანმრთელობა – კაი ცხოვრება, კაი ჭამა-სმა და თხის ქონია დილაობით, თორემ სიცილით გამოვჯანმრთელდიო, ან სიცილით გავცოცხლდიო – არ გამიგია ჯერ! აი, „სიცილით გავმოკვდი“, „სიცილით გავიფუდე“, „სიცილით გავსკდი“

– რამდენიც გინდა! ჰოდა, ვისაც „სიკვდილი“, „გაგუღვა“ და „გასკლომა“ უნდა, წავიდეს და იყიდოს ის ჟურნალი და მე თავი დამანებოს – სიყვარულის ამბავში მესამე ზედმეტია!

P.S. „დრონი მეფობენ და არა მეფენი“ – ყველა დროისთვის უცვლელი ჭეშმარიტებაა! სასიყვარულო სამკუთხედი და რაღაც ამგვარი ვახსენე წედან და იქნებ ეჭვიანობით გაგულისებულ ვენეციელ მავრადაც წარმომიდგინოს მკითხველმა, მაგრამ მე გოიმი კი არა ვარ, ძმაო – XXI საუკუნეა, ცივილიზებული თვალით უნდა შევხედოთ ყველაფერს, გაიხედ-გამოიხედეთ, რა ხდება: „სამკუთხედი“ და „კვადრატი“ კი არა, ლამის „სასიყვარულო პარალელები პელები“ და „ტეტრაედრები“ გახდეს ჩვეულებრივი ამბავი და ეს „ფილთაქვა“ არ ჩანს ცუდი ყმაწვილი – იქნებ ორივეს სიყვარულს გასწვდეს ჩემი მკითხველი...


პროვოკატორი



საქართველოს მემკვიდრეობის მინისტრის ბიჭლიძეთიქა

გმადლობა,

რომ ჩემი შვილი ნათია მაპოვნინეთ...




მარშან ნოემბერში ჟურნალ „გზის“ №45-ში დაიბეჭდა წერილი – „მეცოდვის შვილმა, ჩემნაირებს ვული უნდა ვატყინო“... ჟურნალისტი და პოეტი ელგუჯა გრიგალაშვილი თავისი ცხოვრების ამბავს მოგვითხრობდა.

მისი ინტერვიუს რამდენიმე ნაწყვეტით ელგუჯას მწარე ნაამბობს შეგახსენებთ:

„უბუშუბარი რომ დავრჩი, უბინოლად რომ დავრჩი, ლოთობა დავიწყე... ორი თუ სამი წელია, რაც დეზერტირების ბაზარზე, „ტაჩკაზე“ ვმუშაობ...“

განუშეორებული არსებაა რონა ბუბუტიეშვილი. მისგან ქალიშვილი მყავს, 16 წლის ნათია გრიგალაშვილი. ისინი ფოთში ცხოვრობენ... მე ორი ვაჟკაცის მამაც ვარ. ისინი, დედასთან ერთად, საბერძნეთში ცხოვრობენ... ბავშვებს, რა თქმა უნდა, ვერ ვნახულობ, ვერც საბერძნეთში მივდივარ და ვერც ფოთში...

მონასტერში გავიქეცი ერთხელ, მაგრამ იმ სიწმინდეს ჩემი სიბინძურით ვერ შევეფარე, ვერ ვიკადრე...“



ამ დღეებში რედაქციაში ელგუჯა გრიგალაშვილის წერილი მოვიდა.

აი, რას გვწერს ბატონი ელგუჯა:

ცხოვრებაში ყველას თავისი გზა აქვს, რომელიც ან ტაძრამდე მიდის, ან უფსკრულამდე. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, რადგან უფალმა თავისუფალი აზროვნების უფლება მოგვცა და არჩევანიც ჩვენზეა.

პირველ რიგში, მადლობა მინდა გადაგიხადოთ ჟურნალ „გზის“ რედაქციას, მადლობა, რომ ჩემი ტკივილი გაიზიარეთ და ჩემი შვილი ნათია მაპოვნინეთ, რომელიც თურმე ჩემზე, ანუ თავის მამაზე უკეთეს ლექსებს წერს და მამაზე უკეთესადაც აზროვნებს.

ასე მგონია, ერთი საუკუნე იყო გასული მას შემდეგ, რაც ბავშვი არ მენახა. ჩვენი შეხვედრა თქვენი ჟურნალის დამსახურებაა. დიდხანს მეძინა და თქვენ გამოძალიძით. დედაშვილობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ახლა გავიგე, რა ყოფილა მამაშვილობა... ნათიამ ჟურნალ „გზაში“ წაიკითხა ჩემ შესახებ, იგრძნო, როგორ მჭირდებოდა და როგორი ძალით მიყვარდა. ფოთიდან ჩამოვიდა და მომპებნა...

ჩემი ცხოვრება სულ სიბნელეში გავატარე, ურწმუნო ვიყავი, ამ-


პარტავანი. თუმცა, მატერიალურად ყველას ვეხმარებოდი, მაგრამ ეს არ ყოფილა მთავარი. მთავარი ჭეშმარიტებაა, სინათლეა, ჩვენი სარწმუნოებაა. ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ ჩემი ლოთობით გაბუზრებული ჩემი ძმა, თელეთის მონასტერში წავიდა. ვისი იმედიც მქონდა, უკვე ჩემ გვერდით აღარ იყო. სხვა გზა არ დამრჩა – მეც მასთან წავიდი. უფრო სწორად, მთვრალი ამიყვანეს. მაშინ იქ დედათა მონასტრის კედლები შენდებოდა და მიმბარეს თელეთის ეკლესიის წინამძღვარს, მამა ამბროსის, რომელმაც გამაფრთხილა –

კურთხევის გარეშე ნუ დალევო. მაინც შევცოდე: შევიპარე მარანში, ღვინოსაც მივაგენი... მაგრამ ბოთლს საცობი როგორც კი მოვხსენი, ცუდად გავხდი. ძლივს მომასულიერეს.

დედათა მონასტრის წმინდა გიორგის ტაძრის აღდგენაში მეცოდვილმაც მცირე წვლილი შევიტანე...

დიდი მადლობა იმისათვის, რომ საკუთარი თავი და ჩემი შვილი ნათია მაპოვნინეთ.

ელგუჯა გრიგალაშვილი



თელეთის მონასტერი

60600 ჩაპახიშვილი

ეს წერილი მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩანაწერების საქალაქო განყოფილებაში (ახლანდელ საბოქალაქო აქტების რეგისტრაციის არქივში), 1979 წელს, შუა აზიიდან მივიდა. მაშინ ქალბატონი იზა ცნობილად განყოფილების გამგედ მუშაობდა და თურმე ამ ქალიშვილის მიმართაც (ისევე, როგორც ყველას მიმართ) გულგრილი ვერ დარჩენილა... სათნოებითა და სიკეთით სავსე, მომხიბვლელი ქალბატონი, ამაჟამად ასოციაციის - „ოჯახი, სამართალი, მორალი“ და ამავე სახელწოდების იურიდიული ფირმის პრეზიდენტი, რამდენიმე წიგნის ავტორი გახლავთ. ქართველები გულში ვიკლავთ ყველა დარღვს, თორემ მექსიკური ტელესერიალების სიუჟეტებზე ნაკლები ამბები როდის ხდება ჩვენთან - მითხრა ქალბატონმა იზამ და თან დამპირდა: უამრავ საინტერესო ამბავს მოგიყვებით, მაგრამ მოქმედი პირების ვინაობას ვერ დავასახელებ - გული ეტკინებათო...

- 24 წელი ვიმუშავე არქივში და დღე ისე არ გავიღოდა, უამრავი წერილი, თხოვნა თუ ოფიციალური მოწერილობა რომ არ შემოსულიყო... ზოგიც პირადად მოდიოდა და ამა თუ იმ პიროვნების, ამა თუ იმ ბიოგრაფიული მონაცემის (დაბადების ადგილის და თარიღის, მშობლების ზუსტი ვინაობის და ა.შ.) დამადასტურებელ საბუთებს გვთხოვდა. ძნელი იყო, განყოფილებაში შემოსული წერილები აუღელვებლად წაგეკითხა და გულთან არ მიგეტანა თითოეულის საწუხარი. ამ ქალიშვილის წერილიდანაც (რომელიც შუა აზიიდან მივიღეთ) იგრძნობოდა, როგორ დედავდა და რა მძაფრი განცდები ჰქონდა. ვილაცისგან მას თავისი ნამდვილი გარიც შეეტყო და ისიც მაცნობა. წერის დართული ჰქონდა მშვილვები ქალის პატარა ბარათი და მათი საცხოვრებელი ქალაქის იმდროინდელი რაისაბჭოს აღმასკომის სათანადო თხოვნაც, რომ დაგვემყოფილებინა ქალიშვილის სურვილი. ჩანდა, რომ მან ყველაფერი დაწვრილებით იცოდა და სიმართლის დამალვას აზრი აღარ ჰქონდა. გადავქექეთ იმ წლის სააქტო ჩანაწერები, მონაცემები შევაჯერეთ და ვიპოვეთ, რასაც ვეძებდით. გადავწყვიტეთ თანამშრომელთან ერთად, დედამის ვწვეოდი შინ. კარი მამაკაცმა გაგვიღო და როდესაც ვაცნობეთ, ვინ ვიყავით (ვუთხარი, თითქოს ზოგიერთი სააქტო მონაცემის დაზუსტება გვჭირდებოდა), შინ შევიპატიჟა. წამოსვლისას ქალს ვთხოვე, სადარბაზომდე ჩავეცილებინეთ. ეზოში რომ ჩამოვედით, ვკითხე: რამდენი შვილი გყავთ მეთქი? ქალი წაბით გახევედა და ეტკვით შემოგვხედა - თითქოს სურდა, შეკითხ-

... „22 წლის ასაკში პირველად გავიგე, რომ მყავს მშობელი დედა. ერთი წელია მოსვენება დავკარგე. კარგად ვიცი, რომ თბილისში ვარ დაბადებული. სანამ ამ ამბავს შევიტყობდი, ისედაც ამ მშვენიერი ქალაქს ვენ მომიწევდა გული. ახლა კი... ქუჩაში ქალს რომ დავინახავ, ყველა დედაჩემი მგონია და თვალს იმედით გავადევნებ ხოლმე... კეთილმა, სათნო ადამიანებმა მიშვილეს და თავიანთი ახალგაზრდობა და ჯანი შემალიეს. უსაზღვროდ მიყვარს ჩემი აღმზრდელი დედა, მაგრამ მშობელი რომ სხვა მყოფია?! გთხოვთ, დამეხმაროთ, მომაძებნინოთ, მინდა შევხვდე“...



გასხვისებულ უპილები და დაპარბული მუცლები




იზა ცნობილად

ვის მიზანი ჩვენს სახეებზე ამოვიტხა. ორი ვაჟი მყავსო. - ყოყმანით გვიპასუხა. ქალიშვილი ხომ არ გყოლიათ-მეთქი? - კვითხე. ამის გაგონებისთანავე, ღამის მუხლები მოეკვეთა... ისეთი საცოდავი იყო, შეძებრაღა... ბოლოს მუდარით გვთხოვა: არ დამიძალოთ, ნამდვილად რაღაც ამბავი იცით ჩემი ქალიშვილის შესახებ და ნულარ

მაწვალეთ, მითხარით, რაც იცითო... ყველაფერი ვუამბეთ. იცით, დღესაც კი, ამდენი წლის შემდეგ, თვალწინ მიდგას მისი სახე, მის თვალებში ჩაბუდებული სასოწარკვეთილება და დღესაც მასსოვს ის ცრემლები, დაბლუპით რომ ჩამოსდოდა სახეზე...

— თავის მართლება ხომ არ უცდია?

— არა, სხვათა შორის, თავის მართლება არც კი უცდია. ან რით შეეძლო თავი ემართლებინა? ქალი, რომელიც შვილს გააჩენს და გაასხვისებს (ან გაყიდის), ვფიქრობ, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცეს! არანაირი გამართლება!.. ახალგაზრდობის დროინდელი შეცდომა გაგვიძხილა - 16 თუ 17 წლისას თანასოფელი ვაჟი შეჰყვარებია და მშობლების სურვილის საწინააღმდეგოდ, ერთად ცხოვრება გადაუწყვეტიათ. ქალაქში წამოსულან საცხოვრებლად. წელიწადნახევარში ტყუპი გოგო-ბიჭი შესძენიათ. ამის შემდეგ ქმარი მოულოდნელად, გაუფრთხილებლად წასულა სახლიდან და უშწყო ქალი ორ პატარასთან ერთად, ღვთის ანაბარად დაუტოვებია. მშობლებსაც არ მიუღიათ - საქვეყნოდ თავი მოგვჭერი და არ დაგვენახვო! შვილიშვილებზეც უარი უთქვამთ. ახალგაზრდა ქალს ძალიან გასჭირვებია ბავშვების შენახვა. მაშინ გაღა-



შვილს, რამდენიმე წლის შემდეგ კი, უეცრად მოისურვებენ მისთვის თვალის შევლებას: ვნახო ერთი, როგორი ბიჭი (ან გოგო) დადგაო — და იფეთქებს მშობლის გრძობა... ვერაფრით რომ ვეღარ ერევიან ამ გრძობას, ბოლოს სასამართლოში შეაქვთ განცხადება: არიქა, მიშველეთ, უმისოდ ვერ ვიცოცხლებ და როგორმე დამიბრუნეთო... ერთხელ არქივში შვილის დაბადების ცნობის მისაღებად ერთი ქალი მოვიდა. თურმე ახალდაბადებული გაესხვისებინა: რა მექნა, მე უბედურს, მაშინ სხვა გზა არ მქონდა და თუ ახლა არ დავიბრუნე, არ ვიცი, თავს რას დავიტეხო... გაირკვა, რომ მშვილგების თხოვნით, ბავშვისთვის სახელიც შეეცვალათ, გვარიც, დაბადების მოწმობაშიც მშობლებად მშვილებლები იყვნენ ჩაწერილები. რამდენი არ ვეცადეთ, ის ქალი დაგვერწმუნებინა, რომ უკვე გვიანი იყო და თვითონ მისი შვილისთვისაც სჯობდა, თუ მღვთმარობას შეეგუებოდა, მაგრამ ამაოდ — ჩვენი მოსმენაც კი არ სურდა. თქვენ ბავშვის აღვოკატად ვინ დაგაყენათო?! — გამწარებულმა მოგვამახა და წავიდა. განა მის გულწრფელობაში შეგვეპარა ეჭვი, მაგრამ უკან დასახვევი გზა თვითონვე მოიჭრა და რაღას იზამდა?! სასამართლომაც უარი უთხრა თხოვნის დაკმაყოფილებაზე, მაგრამ ვერც ამან შეაჩერა. ერთხელ, ამხანაგებთან მოთამაშე ბავშვი გვერდით გაიხილა და პირდაპირ მიახალა: დედაშენი მე ვარ, ისინი შენი მშობლები არ არიანო — და კოცნა დაუწყო. შეშინებული ბიჭუნა თურმე ხელიდან ძლივს დაუსხლტა ქალს და ტირილ-ტირილით მივიდა შინ. ბავშვი ნერვიულობისაგან შოკში ჩავარდნილა...

უწყვეტია, რომ გოგონა ერთი უშვილო ოჯახისთვის მიეცა გასაზრდელად. ის ოჯახი, ბავშვთან დაკავშირებული რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, შუა აზიაში გადასულა. მშვილებლებმა გოგონას მამობილის სახელი მამის სახელად გაუფორმეს და თავიანთი გვარიც მისცეს. ასე დაკარგა დედამ შვილზე მორალური და იურიდიული უფლება. ამის შემდეგ ის ქალი მეორედ გათხოვილა და ქმარს ბიჭი (გერი) თავის გვარზე დაუწერია. ეტყობა, მაშინ მოერიდა თუ შეეშინდა — ქალმა ქმარს გოგონას არსებობის შესახებ არაფერი უთხრა... მოკლედ, მის ქალიშვილს შუა აზიაში წერილი გაუგზავნეთ და შეგატყობინეთ, რომ მისი დედა და მამა ვიპოვეთ. ორიოდ კვირის შემდეგ ჩამოვიდა თბილისში. ჩვენთან სამსახურში შეხვდნენ ერთმანეთს. სამივე — დედა და მისი 2 შვილი — ხმამაღლა ტიროდა. დედამ პატიება ითხოვა, გოგონამ კი გადაჭრით განუცხადა, რომ მას უკვე ჰყავდა დედა, რომელიც ძალიან უყვარდა და თუ წერილი მოიწერა, მხოლოდ იმისთვის, რომ ენახა ადამიანი, რომელმაც ის ბუბუქოვარა გააშვილა... და კიდევ — ძალიან უნდოდა ენახა მამა, რადგან თვითონ, დედისერთა იყო. სადაც ეს ერთი შვილი ვახარადე, მეც როგორმე გამზრდილიო, — უთხრა მშობელ დედას... ქალი სიმწრისგან ხმას ვეღარ იღებდა, მხოლოდ ტიროდა — დაკარგულ, მერე ასე მოულოდნელად ნაპოვნ და, ფაქტობრივად, ისევ დაკარგულ შვილს მისტიროდა...

— ბევრჯერ მსმენია, რომ ვიცადას ბავშვი გაუშვილებია და წლების შემდეგ ისევ თვითონ უცდია შვილის პოვნა...

— რამდენჯერაც გინდათ, იმდენჯერ ცყოფილვართ ასეთი შემთხვევის მომსწრენიც. თავიდან გულარხეინად, სინდისის ქენჯნის გარეშე გააშვილებენ ხოლმე

ბლები იყვნენ ჩაწერილები. რამდენი არ ვეცადეთ, ის ქალი დაგვერწმუნებინა, რომ უკვე გვიანი იყო და თვითონ მისი შვილისთვისაც სჯობდა, თუ მღვთმარობას შეეგუებოდა, მაგრამ ამაოდ — ჩვენი მოსმენაც კი არ სურდა. თქვენ ბავშვის აღვოკატად ვინ დაგაყენათო?! — გამწარებულმა მოგვამახა და წავიდა. განა მის გულწრფელობაში შეგვეპარა ეჭვი, მაგრამ უკან დასახვევი გზა თვითონვე მოიჭრა და რაღას იზამდა?! სასამართლომაც უარი უთხრა თხოვნის დაკმაყოფილებაზე, მაგრამ ვერც ამან შეაჩერა. ერთხელ, ამხანაგებთან მოთამაშე ბავშვი გვერდით გაიხილა და პირდაპირ მიახალა: დედაშენი მე ვარ, ისინი შენი მშობლები არ არიანო — და კოცნა დაუწყო. შეშინებული ბიჭუნა თურმე ხელიდან ძლივს დაუსხლტა ქალს და ტირილ-ტირილით მივიდა შინ. ბავშვი ნერვიულობისაგან შოკში ჩავარდნილა...

— როგორ მიგაჩნიათ — დანაშაულია, როდესაც ადამიანს ეუბნებიან, ნაშვილები ხარ და შენი ნამდვილი მშობლები სხვები არიანო?... ერთ წიგნში თქვენ თვითონვე აღნიშნავთ: ადამიანებო, სიკვდილი არ მიუსაჯოთ სიმართლეს! ნებისმიერ ჩვენგანს ხომ აქვს უფლება იცოდეს, ვინ არის?!

— რა თქმა უნდა, ამის უფლებას ვერავის წართმევ, მაგრამ გაანჩია, რა მიზნით ეტყვი სიმართლეს... კიდევ ერთ ამბავს მოგიყვებით. მძანის საქალაქო განყოფილებაში ახალგაზრდა კაცი მოვიდა და თან დაბადების მოწმობა მოიტანა. ყველაფერი სწორად იყო გაფორმებული და ვკითხე: რისთვის შეწუხებულხართ-მეთქი? ისე ნერვიულობდა, რომ ძლივს გამაგებინა, რაც სურდა: მე თვითონ სამი შვილის მამა ვარ, ახლახან გარდაიცვალა ის კაცი, რომელსაც მთელი ცხოვრება მამას ვეძახდი და სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვულმა გამ-

ანლო: შენი ნამდვილი მშობლები ჩვენ არ ვართ, იქნებ ისინი ახლა ცოცხლები არიან და მარტო რომ არ დარჩე ამ ქვეყანაზე, დედაშენის უჩუბრად მოძებნე — არ მინდოდა, ეს საიდუმლო საფლაკში ჩამეტანათ, — ასე მითხრა გამზრდელმაო და გვთხოვა, როგორმე დავხმარებოდით დედ-მამის მოძებნაში. სააქტო ჩანაწერებიდან ჩანდა, რომ მშობელი დედა ცოცხალი უნდა ყოფილიყო. გადავწყვიტე, ჯერ ის მოძებნაშულებინა და ყველაფერი დაწვრილებით შემეტყო, რაც 35 წლის წინ მოხდა. მისი მისამართი დავაზუსტე და შინ ვეწვიე. აღმოჩნდა, რომ ნათელა ორი თვის ორსული იყო, როდესაც მისი მეუღლე — თენგიზი დიდ სამამულო ომში წასულა, ცოლისთვის კი დაუბარებია: თუ ვაჟიშვილი გვეყოლა, ჩემი სახელი დაარქვიო. ნათელას მართლაც ვაჟი შეეძინა და თენგიზი დაარქვა, თუმცა მამა შვილის ნახვას ვეღარ მოესწრო — ომში დაიღუპა. მშობიარობის შემდეგ, ნათელას ჯანმრთელობა გაუუარესდა, ბავშვი მოსავლელად დედას დაუტოვა, თვითონ კი საავადმყოფოში დაწვა. ერთ დღეს დედამ შემოუთვალა: ბიჭუნა გარდაიცვალაო. თურმე, ქალიშვილის მეორედ გათხოვება უნდოდა, იფიქრა — ეს პატარა ხელს შეუშლისო და გააშვილა... ნათელა რას იფიქრებდა, დედა რომ ასე მწარედ მოატყუებდა? რამდენიმე წლის შემდეგ გათხოვდა და მეორე ქორწინებიდან ქალიშვილი (თინა) შეეძინა, მაგრამ არც მეორე ქორწინება აღმოჩნდა იღბლიანი — მეუღლე ახალგაზრდობაშივე გარდაიცვალა და ერთადერთი შვილის გაზრდას შეალია მთელი სიცოცხლე. სიტყვებით ვერ გადმოვიცემ, რა ამბავი დატრიალდა იმ ოჯახში, როდესაც შეიტყვეს, რომ თენგიზი ცოცხალი ყოფილა და მათ ეძებდა. მათი სიხარული იმდენად დიდი იყო, რომ ცრემლებს მეც ვერ ვიკაუებდი...

— ქალბატონო იზა, იქნებ გაისენოთ ყველაზე უჩვეულო და დაუჯერებელი ამბავი, რომელიც თავისი განსაკუთრებულობით დღემდე დაგამახსოვრდათ?

— ეს ამბავი, ერთი შეხედვით, ბანალურადაც კი შეიძლება მოგეჩვენოთ — დღეს ხომ ძალიან ცოტაა ისეთი ქალი, რომელიც ყველაფრის მიუხედავად, ქმრის ერთგული რჩება... ვისაც კი ლილის ამბავი გაუგონია, ყველას უკვირდა: ასეთი მსხვერპლის გაღება და თავგანწირვა ნუთუ კიდევ შეიძლებაო?! მოდი, სიტყვასიტყვით მოგიყვებით თვითონ იმ ქალბატონის ნაამბობს: „მე და გიორგი სიყვარულით შევუღლდით (ლილი მასწავლებელი იყო, გიორგი კი — ინჟინერ-ტექნოლოგი). გიორგი ისე ოცნებობდა შვილზე, რომ ქორწინებიდან ორიოდ კვირის შემდეგ, უკვე მომავალი ბავშვისთვის საჩუქრების არჩე-

ვა დაიწყო. მე კი არა და არ დავორსულ-
დი. ერთი წლის შემდეგ მოულოდნელად
გამოიხსნა: შენ შვილს ვერ გამიჩენ,
უშვილო ოჯახი კი, აბა, რა ოჯახია და
უნდა დავშორდეთო. ბევრი ვეხვეწე: ცოტა
ხანს მოიცადე, დედაჩემს ხომ ოთხი შვილი
ჰყავს, მთელი ჩემი საგვარეულო რომ მოია-
რო, ერთ შემთხვევასაც ვერ დამისახელებ,
რომ მარტო ცოლ-ქმარი შეპებებოდეს
ერთმანეთს; თუ საჭირო იქნება, ვიმკურ-
ნალებ, თუ არა და, ბოლოს და ბოლოს,
ბავშვი ავიყვანოთ, ისიც ხომ ჩვენი შვილი
იქნება-მეთქი. თვითონაც შემეშინდა: ვაითუ,
შვილი მართლა არ გამიჩნდეს და გიორგიმ
მიმატოვოს-მეთქი... გიორგიმ, მართალია, გა-
დაიფიქრა განქორწინება, მაგრამ დღითი
დღე იცვლებოდა: რაღაცებს იმიზეზებდა
და ზოგჯერ მშობლებთან რჩებოდა, ზოგჯერ
- მეგობრებთან, ბოლოს კი, მხოლოდ
ტანსაცმლის გამოსაცვლელადღა თუ მოვ-
იდოდა ხოლმე სახლში. ერთ დღეს მითხრა:
თბილისიდან შორს მივდივარო... როგორც
გვიან, რამდენიმე წლის შემდეგ ამიხსნა,
თურმე უბრალოდ სადმე შორს გადაკარგ-
ვა უნდოდა... ვერავისთან ვერაფერს ვამ-
ბობდი, მშობლებსაც კი ვუშალავდი ამ
ამბავს და ყველას ვეუბნებოდი - გიორგი
თავისმა კომბინატმა ორი წლით პროფე-
სიული დაოსტატების მიხნით, შორეული
აღმოსავლეთის ერთ-ერთ ქარხანაში მია-
ვლინა-მეთქი... ზუსტად ერთი წლის შემ-
დეგ, დეპეშა მივიღე: გიორგი ქორწინების
მოწმობასა და განქორწინების თაობაზე
ნოტარიულად დამოწმებულ თანხმობას
მითხოვდა. ბედს შეეურიგდი, თან იმითაც
კი ბედნიერი ვიყავი, რომ ცოცხალი აღ-
მოჩნდა. რამდენიმე დღეში მოწმობა გა-
ვუგზავნე. გულის სიღრმეში მაინც მჯერო-
და, რომ როცა იქნებოდა, დამიბრუნდებოდა
და კვლავ ერთად ვიქნებოდით... მჯეროდა
და ყოველდღე, ყოველ წუთსა და წამს
ველოდებოდი... სამი წლის შემდეგ, ისევ
მივიღე დეპეშა: თუ შეგიძლია, მაპატიო,
დეპეშის მიღებისთანავე ჩამოდიო, - მწერ-
და გიორგი. მივხვდი, რომ ძალიან უჭირ-
და და ჩემი სულგრძობის იმედი ჰქონ-
და. შურისძიება ერთი წამითაც კი არ
გამივლია გულში... მეორე დღესვე გავემგ-
ზავე. ოთახში შესვლისთანავე მოულოდ-
ნელობისგან გავქევალი: გიორგი ყავარჯნებზე
დაყრდნობილი დამხვდა. ცალი ფეხი
მოკვეთილი ჰქონდა. ოთახში ასე, წლი-
ნახევრის ბიჭი თამაშობდა, საწოლში კი
სულ რამდენიმე თვის გოგონა ტიროდა...
გიორგი ოცი-ოცდახუთი წლით დაბერე-
ბულიყო, სახეზე უზომო ტანჯვა ჰქონდა
აღბეჭდილი... თავიდან გაოცებითა და ეჭვით
შემომხედა და სიბრაზისგან ყავარჯნები
იატაკზე დაახეთქა: არ მეგონა, თუ მა-
ატივდდი და ჩამოხვიდოდიო... თურმე ა-
ტოვარიაში მოჰყვა და ფეხის ძვლები

სულ დაემსხვრა, მერე განგრენა განუვი-
თარდა და ფეხი რომ არ მოეკვეთათ, ვერც
გადარჩებოდა. რამდენიმე თვის შემდეგ,
საავადმყოფოდან გამოუწერიათ თუ არა,
ცოლს უთქვამს: მე შენი მოვლა-პატრონო-
ბის თავი არა მაქვს, შენც ჩემი შესანახი
გახდი და ამდენი სად შემიძლიაო?!
დაუკრავს ფეხი და მამისეულ სოფელში
წასულა, ბავშვები კი გიორგისთვის დაუ-
ტოვებია. აი, მხოლოდ ამის შემდეგ გაუბე-
დავს გიორგის ჩემთვის დეპეშის გამოგზავ-
ნა. მისთვის არც კი მიგრძობინებია, იმ
წლებში რა ტანჯვასა და დამცირებას
გაუძელი... პატარა ხელში ავიყვანე და
შევეცადე, დამეძინებინა. გიორგი რაღაც-
ნაირად უხერხულად მიეფერა შვილს და
გავშრი: თურმე გოგონასთვის ჩემი სახე-
ლი დაუქმევია... რამდენიმე დღეში უკვე
თბილისში ვიყავით და ბავშვებიც თან
წამოვიყვანეთ. როდესაც გიორგის ცოლ-
ოფილისგან გაყრის თანხმობა მოვიდა, მე
და გიორგიმ მეორედ მოვაწერეთ ხელი...“
ვინც გაიგო, ყველას უკვირდა ლილის
თავგანწირვა. მან კი ესეც არ იცხარა -
მამის არქივის საქალაქო განყოფილება-
ში მოვიდა და რჩევა გვკითხა: როგორ
შექმლო დედობის ოფიციალურად
გაფორმება და იყო თუ არა საჭირო
ამისთვის მათი ნამდვილი დედის თანხმობა?
აი, სწორედ მაშინ მოგვიყვა ეს ამბავი
და ისიც გვითხრა, რომ უკვე მესამე შვილიც
ჰყავდა და მისთვის ქმრის სახელი -
გიორგი დაერქმია...
— როგორც ვიცი, უკვე ქორ-
წინების მოწმობის გასატანად თქვენთან
მოსული არაერთი წყვილისთვის გან-

ქორწინება გადაგიფიქრებინებიათ...
- ყოველთვის ცვდილობდი, რომ
აღელვებული კაცისთვის იმ დღესვე არ
მიმეცა ქორწინების მოწმობა, რომ გადაწ-
ყვეტილება ცხელ გულზე არ მიელო.
ოჯახში 3 და 4 შვილი რომ იზრდებოდა,
როგორ შეიძლება, ერთი ხელის მოსმით,
უბრალო მიზეზით მისი დანგრევა?! სასა-
მართლო პროცესის შემდეგ, რომელიმე
მხარის ადვოკატი ამაყად განაცხადებს
ხოლმე: პროცესი მოვიგეო!.. ერთი მითხ-
არით - როდესაც ოჯახი ინგრევა და
ბავშვები დედის ან მამის გარეშე რჩებიან,
იქ ვინმე შეიძლება გამარჯვებული იყოს?!..
ერთხელ განყოფილებაში, ასე, 40-43 წლის
მამაკაცი მოვიდა და ქორწინების მოწმო-
ბის ასლი გვთხოვა. ძალიან აღელვებუ-
ლი ჩანდა და როდესაც ასლისთვის ერთი
კვირის შემდეგ დავიბარე, უფრო განერ-
იულდა და გაჯიშტდა: ვინდა თუ არა,
ახლავე უნდა მომცეთ, მეტის მოთმენა
აღარ შემიძლიაო... ასეთი აღელვებისა
და აჩქარების მიზეზი ვკითხე. სამსახუ-
რიდან გვიან ღამით მიწვევს ხოლმე დაბ-
რუნება და ყოველდღე ცოლი ისეთ
სცენებს მიმართავს, მეტს ვეღარ გაუ-
ძლებ... ბავშვები ძალიან განიცდიან ამ
ამბავს - გულჩათხრობილები გახდნენ
და სწავლასაც გულს ვეღარ უდებენ, მე-
ბრალეებიან, მათთვისაც უკეთესი იქნება,
თუ გავიყრებითო, - მითხრა. იცით, როგორ
იმოქმედა ჩემზე ამ ამბავმა? ბევრი ფიქრის
შემდეგ გადავწყვიტე, მის ცოლს გავსაუბრე-
ბოდი - იქნებ სულ სხვა, უფრო სერიო-
ზული მიზეზი ჰქონდათ განქორწინები-
სთვის? ასეც მოვიქციე... დიდხანს ვი-
საუბრეთ. ლოთობს? - შევეკითხე. -
არა! - ხელფასს ძმა-ბიჭებში ხარჯავს?
- არა! - გარე-გარე იყურება და სხვა
ქალთან დადის? - არა! - აბა, დღის
ბოლოს, სამუშაო დრო როგორც კი
დაუშთავრდება, უცებ სახლში უნდა წამ-
ოვიდეს? კაცია, ბოლოს და ბოლოს,
ზოგჯერ დაიგვიანებს კიდევ, მერე რა
მიხდა, ამის გამო საყვედურებით უნდა
აავსოთ და განქორწინდეთ-მეთქი?! -
გამიკვირდა. ქალი ეტყობა, ჩემმა მკაცრმა
ტონმა დააფიქრა და ვეღარაფერი მიპა-
სუხა... მეორე დღეს მის ქმარსაც ვე-
საუბრე. ვთხოვე, არ აჩქარებოლიყო და
გამოუსწორებელი შეცდომა არ დაეშვა,
ყველაფერი კარგად აეწონ-დაეწონა და
თუ სხვა გამოსავალს ვერ ნახავდა, მერე
განქორწინებულიყო... ამ ამბიდან 6 თვის
შემდეგ, მათი წერილი მივიღე - მადლო-
ბას მიხვდიდნენ, რომ მათი პრობლემა
გულთან ახლოს მივიტანე და მათაც
დაუფიქრებელი ნაბიჯი არ გადადგეს...
იცით, როგორი ბედნიერი ვიყავი მაშინ?
ეს წერილი ჩემთვის უდიდესი ჯილდო
იყო და დღემდე სათუთად ვინახავ...





ცნობილი ქართველი მომღერლის, თემურ თათარაშვილის ცოლი, ნინო ადამაშვილი თავის გოგონასთან — მარიამ თათარაშვილთან ერთად, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. ნინოს დედა ვალენტინა (ლელა) ხევსურიშვილი კი — ვაკეში, მინის დიდ ნაკვეთში ჩადგმულ პატარა ფიცრულში. მთელ მის სიმდიდრეს, ძროხა და ძაღლები შეადგენენ. ეს — ერთი შეხედვით, თორემ სინამდვილეში, ქალბატონი ვალენტინა მდიდარი ქალია: მან დედისგან მემკვიდრეობით მიიღო მინის ნაკვეთი, რომელზეც ახლა კორპუსის აშენება სურთ (კერძოდ ვის, ეს თავად ვალენტინა ხევსურიშვილისთვისაც უცნობია). ქალბატონი ვალენტინასა და მის ქალიშვილს შორის წარმოქმნილი დავა სასამართლოს განხილვის საგნად არის ქცეული...

თემურ თათარაშვილი:

«ნაბისიერი ფრაზა ნინოსა და დედამისს კიდევ უფრო დააშორებს ერთმანეთს»

ლელა ჭანკობაძე

ვალენტინა ხევსურიშვილისა და მარეხის ნაამბობიდან:

თემური და ნინო გაცნობიდან სამი თვის შემდეგ შეუღლდნენ. საქორწილოდ თემურს სიღედრ-სიმამრმა თეთრი „ჟიგუ-ლი-07“ აჩუქა და ვაჟა-ფშაველაზე ახალდაქორწინებულებისათვის ბინის მშენებლობა დაიწყო, რომელიც დღემდე შეჩერებულია: თავიდან ყველაფერი კარგად აეწყო. იურმალაში მიმავალ თემურს (1989 წელს) თან ნინო და მარეხიც გაჰყვნენ. მერე დაიბადა პატარა მარი. სანამ ბავშვი წამოიჩიტებოდა, ნინო ახალშობილთან ერთად, დედასთან ცხოვრობდა. ქმრის ოჯახში ახალ წელს მივიდა, რათა ახალ წელს პატარა მარი, მამის ოჯახთან ერთად შეხვედროდა... მარტის დასაწყისში, ნინო და მარი თათარაშვილებისგან წამოვიდნენ...

ადამაშვილების ოჯახი, ვაკეში ცნობილი და პატივსაცემი ოჯახი იყო. ნინოსა და მარეს საუკეთესო ბავშვობა ჰქონდათ. მამა მათ ანებიერებდა, მაგრამ თან მკაცრადც ეპყრობოდა. 18 წლის ასაკის მიღწევისას, ორივე გოგონა მამამ მანქანებით დასაჩუქრა. იმ ადგილას, სა-



ნინო ადამაშვილი



ვალენტინა ხევსურიშვილი

დაც ახლა ქალბატონი ვალენტინა ხევსურიშვილი ცხოვრობს, უწინ გოგონებს ავტოფარეხები ჰქონდათ... ქალბატონი ვალენტინას, სოფელში რომ წავიდა, ძროხა ნანახიც არ ჰყავდა, ქალი უბრალოდ, კონფლიქტს მოერიდა.

როგორც ქალბატონი ვალენტინა ამბობს, ახლა იმ ეზოს ჭიშკარზე, სადაც ის სახლობს, უამრავი ნატყვიარია გაჩენილი: ვიღაცამ რამდენჯერმე ავტომატის ჯერიით დაცხრილა. დღემდე უკვირს ქალბა-

ტონ ვალენტინას, როგორ გადარჩა... არ იცის, ვინ ესროლა და არც ის უნდა, ეს ამბავი თავის სიძეს რომ დაუკავშიროს, რადგან, როგორც თავად აცხადებს, მისი პრობლემები საკუთარი ქალიშვილისგან მოდის.

რედაქციაში ვალენტინა ხევსურიშვილის წერილი რომ მოვიდა და გავეცანი, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ვიღაც ცილს სწამებდა ჩემს საყვარელ მოძღვრავს და ამ ამბავში გარკვევა მხოლოდ იმ მიზნით გადაწყვეტიტე, რომ თემური გამემართლებინა, ქალბატონ ვალენტინას გვიან ღამით ვესტუმრე და ვთხოვე, რედაქციაში მოსულიყო, რათა უფრო დაწვრილებით გვესაუბრა მისი წერილის თაობაზე.

შეხვედრა ვალენტინა ხევსურიშვილთან

– 1991 წელს, მე და ჩემი მეუღლე, ოცდაოთხწლიანი თანაცხოვრების შემდეგ დაემორღობა ერთმანეთს. სამი წლის მანძილზე გვექონდა დავა ბინის გაყოფის თაობაზე. ამ დროს ჩემი ქალიშვილი ნინო უკვე მეორედ იყო გათხოვილი. მისი ქმარი გახლდათ მერაბ გაწერელია. ნინო თავის შვილთან, მარამ თათარაშვილთან (ნინოს შვილი ქმარი იყო თემურ თათარაშვილი) ერთად ცხოვრობდა მერაბის ბინაში, მაგრამ მოხდა უსიამოვნება და გაწერელიებმა ნინო, თავის ბავშვთან ერთად, გამოაგდეს სახლიდან. ნინო ჩემმა მეორე ქალიშვილმა და სიძემ შეიფარეს. ერთი თვის განმავლობაში ცხოვრობდნენ ყველანი ერთ ოთახში. მე იძულებული ვავხდი, ჩემს ქმარს ვემაღა ადამაშვილს ბინის გაყიდვაზე დავთანხმებოდი, რათა მიმეღო გარკვეული თანხა და ჩემთვის, ჩემი შვილისა და შვილიშვილისთვის ბინა მიყიდა.

– ნინოს ბინა არ უქონდა?

– ნინო თემურს რომ გაეყარა, მალევე გაჰყვა მერაბ გაწერელიას, ამიტომ ჩვენ თათარაშვილისგან წილი აღარ მოგვითხოვია... ნინო თავის მეორე ქმართან ერთად სამი წელი ცხოვრობდა. რატომ დაშორდნენ ერთმანეთს, არ ვიცი. ნინო მეცოდებოდა. 1994 წლის 27 დეკემბერს, მე და ჩემმა ქმარმა ბინა რომ გავყიდეთ, 29 დეკემბერს უკვე ახალი ბინა შევიძინე ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე (№58, ბინა 48). ეს ოროთახიანი ბინა გავაფორმე ჩემი ქალიშვილის – ნინო ადამაშვილის სახელზე. რა თქმა უნდა, შევიძინე ავეჯი და ბინა მოვწყვე. ამ ბინაში გადავედით საცხოვრებლად მე, ნინო, თავისი შვილი, ჩემი

მეორე ქალიშვილი და სიძე. მაშინვე დაიწყო მოსვლა თემურ თათარაშვილმა და დედამისმა. ბავშვს მამას ხომ არ დავუკარგავდი. ნინოს და თემურს თავად შევუწყვე ხელი, რომ შერიგებულყვნენ. თემური ჩვენთან გადმოვიდა საცხოვრებლად. მე წავედი სოფელ ახალ სამგორში (გარდაბნის რაიონი).

ეს იყო 1995 წელს. ჩემმა მეორე ქალიშვილმაც თავისი წილით ოროთახიანი ბინა იყიდა ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე და გადავიდა საცხოვრებლად უკვე თავის სახლში. ნინომ, რადგან თემურის სახლში იყო ჩაწერილი, წილი ვერ მიიღო. მე ჩემი წილი რომ ავიღე, ბინა სწორედ ამ წილით ვიყიდეთ და იმ ბინაში დაიწყეს ხელახლა ერთად ცხოვრება თემურმა და ნინომ. ძალიან ცოტა ხანს იცხოვრეს იმ სახლში, შემდეგ კი საცხოვრებლად გადავიდნენ ზაქარაიძის №5-ში, თათარაშვილების სახლში. ნინომ ამხსნა: ძალიან გვიჭირს, თავი ხომ უნდა ვირჩინოთ, ამიტომ ბინა ვაჟა-ფშაველაზე გავაქირავეთ. 1997 წლის 21 აგვისტოს ეს ბინა ჩემგან მალულად გაყიდეს.

მე ბინის გაყიდვის შესახებ 1999 წ. ნოემბერში ვავიდე. ნინო ამ დროს უკვე გადასული იყო ნაქირავებში პავლოვზე (ყაზბეგის №19). რა თქმა უნდა, ვუსაყველურე. ამის შემდეგ ნინო სულ მარილებდა თავს. მე სარჩელი შევიტანე ვაკის რაიონის სასამართლოში, ნინოს კი ვუთხარი: სექტემბრამდე გაძლევ დროს – დაგიბრუნოს თემურმა ბინა და ავეჯი-მეტიკი. ავეჯი თემურმა წაიღო თავის სახლში ბარნაბიანთკარში. ჩემი ნივთები დღემდე იქ არის... რა თქმა უნდა, ჩემი მოთხოვნა არავის შეუსრულებია. 2000 წლის თებერვალში დაებრუნდი სოფლიდან. დავსახლდი დედაჩემის სახლში, ვაკეში. სოფლიდან წამოვიყვანე ძროხა და ძაღლები. ეს ძაღლები რომ არ მყავდეს, დიდი ხანია, იმქვეყნად გამისტუმრებდნენ. 2000 წლის 4 იანვარს, დედაჩემმა, ეკატერინე ხევსურიშვილმა, წყნეთის ქუჩის №10-ში მაჩუქა მიწის ნაკვეთი. იძულებული ვავხდი, დავსახლებულიყავი ფიცრულში. იმის შემდეგ წელიწად-ნახევარია, რაც ვივი. თავიდან ვფიქრობდი, რომ ნინო იყო თათარაშვილების მსხვერპლი, მაგრამ ახლა ვგრძნობ, რომ ყველაფერი მისგან მოდის. ჩემი ნაკვეთი მდებარეობს კორპუსებს შუა, სადაც თავისუფლად ჩაეტევა ერთი კორპუსი. თურმე, თემურ თათარაშვილმა ითავა იქ კორპუსის აშენება, რომელშიც ჩემს ქალიშვილს, როგორც ჩემს პირველ მეგობარს, ეკუთვნის ფართი. ამიტომაც მესხმიან თავს. იძულებული ვავხდი, შემეტანა სარჩელი ჩემი ქალიშვილის უღირს მეგობარად ცნობის შესახებ.

– თავად თემური გამუქრებათ?

– არა. ის ასპარეზზე არასდროს გამოჩენილა. უბრალოდ, მე ბევრჯერ მიფიქრია – ვის შეუძლია პოლიციის გაჩერება, სასამართლო პროცესის გაჭიანურება?... ეს შეუძლია თემურს – იმიტომ, რომ ვახტანგ ქუთათელაძის ახლო მეგობარია. ვავიგე, რომ ნუგზარ ფოფხაძესთანაც მეგობრობს.

– ხანძარზე რას იტყვით? ხანძარიც მოწყობილი იყო?

– 2002 წლის 12 იანვარს, დაახლოებით 22 საათზე, ფიცრულის სახურავს გაუჩნდა ძლიერი ცეცხლი. იმდენად ძლიერი იყო ცეცხლი, რომ ვტაცე ჩანთას ხელი, რომელშიც ტანსაცმელი მიღავია და გავვარდი ფიცრულის უკან, რადგან კარში გამოსვლას ვეღარ მოვასწრებდი. იქ მეტი არც არაფერი მაქვს – ერთი საწოლი, მაგიდა და სკამი მიდგას. მოვარდა სახანძრო. ცეცხლი თივაზე გადავიდა. სათანახევრის მანძილზე საჭირბოლო ბოლში იყო, მაგრამ გადარჩა, რაც თავად შეხანძრეებსაც გაუკვირდათ. ლაბორატორიამ დაადგინა ნავთობის კვალი, მაგრამ ცეცხლის განზრახ წაქიდანების დამადასტურებელი დასკვნის მოცემისგან სახანძრო თავს იკავებს და ამიტომ, მეორე ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნის განცხადება შევიტანე.

– ახლა რას მოითხოვთ?

– სიცოცხლის ხელყოფით შემუქრებიან. თუ თემურის სიმღერა ვინმეს უყვარს, ყველა შემუქრება.


– მუშაობთ სადმე? თავს რით ირჩენთ?

– ძროხა იწვევლება. ჩემი მეორე გოგონაც მენძარება. ერთი ის არის, რომ სული ვერ წამართვეს, თორემ დანარჩენი გამხადეს, წამგლიჯეს, წაიღეს...

შეხვედრა ცოლ-ქმარ თათარაშვილებთან

თემურ თათარაშვილი და ნინო ადამაშვილი შეხვედრაზე უპრობლემოდ დამთანხმდნენ. ნინომ გულისტკივილით აღნიშნა: ბრალს საკუთარი დედა რომ არ ძებდეს, პასუხის ვაცემას საჭიროდ არ ჩავთვლი, მაგრამ დედაჩემს მიხდა ვუთხრა, რომ ის ცდება: მე და თემურს ტკბილი ოჯახი გვაქვს, დედაჩემს არ ვერჩიოთ, მისი არაფერი გვინდაო...

ნინო ტირიდა. ვალენტინა არაჩვეუ-



ნინო, მარიამი და თემური

ლებრივი დედა იყო, გული მწყდება, ასე რომ გააბოროტა ცხოვრებამ; რაც მამჩემს გაეყარა, მას შემდეგ საშინლად იქცეო...

ნინოსა და თემურს, მეგობრების გარემოცვაში შეეხვდი. საუბარი ნინოს სამსახურში – რკინიგზელთა კულტურის სახლში შედგა. იქ მას უამრავი მეგობარი და გულშემატკივარი ჰყავს. სიდედრის საქციელით გულდაწყვეტილია თემურ თათარაშვილიც.

— თემურ, მართლა აპირებთ ვაკეში, თქვენი სიდედრის მიწის ნაკვეთში საცხოვრებელი კორპუსის აშენებას?

თემური:

— კორპუსის აშენება არც მიფიქრია. უბრალოდ, მოხდა ასეთი რამ: დაახლოებით ოთხი თვის წინ, ჩემი მეგობრის დედას, ქალბატონ ნათელა ძიძიგურს სთხოვა ნინოს დედა: იქნებ, თემურს უთხრა, დაემხმაროს და ჩემს ნაკვეთზე კორპუსი ავაშენოთო. ამაზე მე სასტიკი უარი ვთქვი, რადგან არ მინდოდა მასთან რაიმე შეხება მქონოდა, თუმცა, თავის დროზე ჩვენ არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვქონდა. იყო არაჩვეულებრივი დედა, ბებია და სიდედრი.

ნინო:

— დედაჩემმა მეც მითხრა: ნახოს თემურმა ვინმე, ააშენოს კორპუსი და მე მოგცემ ოროთახიანს, რომელიც აღარ გაქვსო. ამის წინააღმდეგი ვიყავი, რადგან როგორც თემურს არ უნდა მასთან ურთიერთობა, ასევე არ მინდა მეც. მიჭირს ამის თქმა, რადგან ის მაინც დედაჩემია... რაც შეეხება ჩემსა და თემურის ურთიერთობას – ძალიან ბევრს უნდა ჩვენი დაცვა, მაგრამ ჩვენ მაინც ერთად ვართ. ჩვენ გვყავს შვილი, რომელსაც უყვარს დედაც და მამაც. როგორი წინააღმდეგობებიც არ უნდა შეგვხვდეს, ჩვენ მაინც არ დავშორდებით. ერთმანეთს ხელს ვუწყობთ. როცა მე ბინა გავყიდე, ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ ჩემს ქმარს უჭირდა.

ყველას ვთხოვ – თავი დაგვანებოს!

ჩვენ ერთად ვიქნებით მთელი ცხოვრების მანძილზე. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ დაგვიპირისპირდება: დედა, მამა, და, საზოგადოება თუ მასმედია.

— თემურ, სიდედრი ბრალს გდებთ იმაში, რომ მისი ნივთები სოფელ ბარნაბიანთკარში გაქვთ გადამალული. რა ნივთებზეა საუბარი?

ნინო:

— საძინებელი გარნიტური, რომელიც მამაჩემმა მაჩუქა, სამზარეულოს ძველი მოწყობილობა და მაგიდა ექვსი სკამით... არანაირი პრობლემა არ მაქვს – შემიძლია დღესვე მივცე სამზარეულოც და სკამებიც, მაგრამ საძინებელი მამაჩემის ნაჩუქარია და მე მას არავის მივცემ.

— ნინო, კონფლიქტი რის შემდეგ წარმოიშვა? რატომ დაგვიპირისპირდათ ქალბატონი ვალენტინა?

— როდესაც მამაჩემთან დაობდა დედაჩემი (მამამ გული მატკინა, მაგრამ არა უშავს – ოღონდ ის იყოს კარგად და მეც კარგად ვიქნები), მაშინ მე მხარი დაუჭირე დედაჩემს და ის თვლიდა, რომ ძალიან კარგი შვილი ვიყავი. შემდეგ, როცა გაიგო, რომ ბინა გავყიდე

თემურის გამო, სასამართლოში დაიწყო ბრძოლა თემურის წინააღმდეგ. თემურისგან მინდობილობა გავიფორმე და მე დაუდილოდი სასამართლო პროცესებზე, რადგან არ მინდოდა, თემურს ენახა და გაეგონა, თუ როგორ მლანძღავდა დედაჩემი. რადგან მე თემურის წინააღმდეგ არ წავედი, დაიწყო კონფლიქტი ჩემსა და დედაჩემს შორის.

თემური:

— მარის რომ ვინმე შეეხოს, ან ბავშვს თმის ბეწვი შეერხეს, მერე ყველა მიფრთხილდეს! მანამდე კი, თავს ვარიდებ ამ ბრალდებებზე საუბარს, რადგან კიდევ გიმეორებთ: არ მინდა მასთან ურთიერთობა.

ნინო:

— ჩვენ არ გვჭირდება ის ნაკვეთი რომელშიც დედაჩემი ცხოვრობს. თათარაშვილს ღმერთმა არ გაუხადოს ისე საქმე, რომ სიდედრის მიწაზე იცხოვროს.

თემური:


— ჩვენ პარიზში მივდივართ საცხოვრებლად. მარი ყოველ წელს დადის საფრანგეთში და ჩვენც გვაქვს გადაწყვეტილი, მომავალში პარიზში დავსახლებეთ.

— ნინო, რატომ ცხოვრობქირით?

— მე მინდა, ცალ-ცალკე ვიცხოვროთ გარკვეული პერიოდი. ჩვენი სახლი რომ გვექნება, მერე ვიცხოვრებთ ერთად... ყველაფერს მამრალბებენ დედაჩემი და ჩემი და. ვთვლი, რომ ისინი ცხოვრებისგან გამწარებული ქალები არიან, თორემ ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩემი შვილი უყვართ... მე მინდა ჩემი ქმარი, ჩემი შვილი და ჩემი ტკბილი ოჯახი. ყველა ქალს უნდა, იყოს დიასახლისი, იყოს თავის სახლში უფროსი. მე უკვე ოცდაცამეტი წლის ვარ და, ცხადია, დამოუკიდებლად ოჯახის მიხედვა შემიძლია.

თემური:

— თქვენი ჟურნალის საშუალებით მინდა ვთხოვო ყველა ჟურნალისტს: წაიკითხოს ყველამ ეს მასალა, გაეცნოს სინამდვილეს და შეწყდეს ამ საკითხზე წერა, რადგან ნებისმიერი ფრაზა ნინოსა და დედამისს კიდევ უფრო დაამორებს ერთმანეთს...



ნათია თენიშვილი



პოპულარული რადიონამყვანი მამუშაპ ბერიპა, გარდა იმისა, რომ „პირველ რადიოში“ მუშაობს, ამჟამად სტუდია „მანეტროში“ ერთდროულად სამ გადაცემას ამზადებს, მათ შორის ერთ-ერთში — გადაცემაში „ბუ“, რომელიც პარასკევს ღამით გადის ეთერში, ცდილობს შეაშინოს მაყურებელი...

თავად რისი ეშინია მამუკას? როგორ უყვარდა და როგორ უყვარს? სად გასინჯა მტრედის ხორცი და რატომ მუშაობდა ბეტონის ქარხანაში? — ყოველივე ამის შესახებ თავადვე გვიამბობს.

— დავიბადე თბილისში. 6 წლამდე აქ ვცხოვრობდი, შემდეგ მამაჩემი სამუშაოდ სოხუმში მიიწვიეს და იქ გადავედი. სიყრმის წლები სოხუმში გავატარე. იქიდანვე დავიწყე ქვეყნად ხეტიალი — წავედი იქ, куда глаза глядят...

— რა ასაკში დაიწყეთ ხეტიალი?

— სკოლაში სწავლის პერიოდშიც დავბორიალობდი სოხუმის მიდამოებში.

— მშობლები როგორ აღიქვამდნენ თქვენს ამ გატაცებას?

— არ ვიცი, ისინი როგორ აღიქვამდნენ... ადრიდანვე მიჩვეულები იყვნენ: დილით გავდიოდი და შეიძლება, ღამითაც არ მოვსულიყავი შინ. უცნაურს ვერაფერს ხედავდნენ ამაში. ეს გატაცება კი არა — უფრო მეტად, ჩემი ხასიათის გამოვლინება იყო. თან, ის დროც უფრო წყნარი და უსაფრთხო იყო.

— ე.ი. ხელს გინწყობდნენ?

— დედა მიწყობდა ამაში ხელს. მიწყობდა იმით, რომ არ მიკრძალავდა და მიესალმებოდა თავისუფალი ნების გამოხატვას. ყოველთვის მეუბნებოდა: ნებისმიერი კარგი ნაბიჯი, რომელსაც გადადგამ, შენი იქნება და თუ ცუდს გააკეთებ, შენც რაღაც ცუდი მოგივაო... მამაჩემს მაინცდამაინც არ მოსწონდა ჩემი ხეტიალი, იგი უფრო ტრადიციული შეხედულებებისა და მძიმე ხასიათის კაცი იყო, მაგრამ ეს ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავდა: მაინც იმას ვაკეთებდი, რასაც საჭიროდ ვთვლიდი.

— ბოლო წლები ძირითადად, თბილისში ხართ. მოგბეზრდათ მოგზაურობა?

— უკვე რამდენიმე წელია თბილისში ვარ, იმიტომ, რომ ბევრი საინტერესო სამუშაო მაქვს. ალბათ ამის გამო არ მიმიწვეს გული სხვაგან... ძალიან ბევრი რამ მაქვს ნანახი. ზოგან ბევრჯერაც ვარ ნამყოფი. მინდა, გარკვეული პერიოდი გავიდე, ჩემშიც ცვლილებები მოხდეს. მერე იმ ადგილებს, რომელიც თავის დროზე ძალიან მიყვარდა, ისევ მოვიხანულებ.

მამუკა ბერიპა ჯაძა ჟიჟნაძე რაიხკონა

— მაგალითად?

— აუცილებლად წავალ ინდოეთში, კერძოდ, პრიშიკეში. იქ ერთი ძალიან საინტერესო ადამიანი ცხოვრობს. მოუთმენლად ველოდები მასთან შეხვედრას, მაგრამ არ ვჩქარობ...

— არ გაგვიმხელთ, ვინ არის ეს ადამიანი?

— არაჩვეულებრივი ადამიანია. ერთი სიტყვით ვერ მოვყვები, რას წარმოადგენს. რომც ჩამოვყალიბობ, ბევრისთვის უბრალოდ გაუგებარი იქნება. ასეთი პიროვნებების მიმართ ჩვენ გარკვეული სტერეოტიპი გვაქვს ჩამოყალიბებული და არც მთლად სწორი ინფორმაცია მოგვეპოვება. ჩემი ცხოვრების მანძილზე ბევრ არაჩვეულებრივ ადამიანს შევხვედრივარ. ის ერთ-ერთი მათგანია, ვისთანაც ახალი შეხვედრის სურვილი მაქვს — სწორედ იქ, სადაც ცხოვრობს, იმ მდინარესთან მინდა მოვიხანულო... დაუვიწყარია ჩემთვის აგრეთვე იაპონელი კოკუ სენსეი, რომელსაც ჩემს მასწავლებლად მივიჩნევ... არის კიდევ ერთი არაჩვეულებრივი ადგილი ინდოეთში — გოა. მისგან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, ულამაზესი ტაძარი — დოჯო დგას. იმ ტაძარში მოხვედრის დიდი სურვილი მაქვს, ოღონდ მან-

ამდე ალბათ პრიშიკეში წავალ. ასეთი გეგმები მაქვს, თორემ სინამდვილეში რა მოხდება, არ ვიცი.

— მოგზაურობამ ალბათ დიდი როლი შეასრულა თქვენ პიროვნების ჩამოყალიბებაში?

— ეს არ იყო მხოლოდ მოგზაურობა. მე ტურისტი არ ვარ — არ მაინტერესებს არც ეთნოგრაფიული მუზეუმები და ღირსშესანიშნაობები და არც იმ ძალაზიების სიმრავლე, რომელიც ყველა დიდ ქალაქში უხვად გხვდება. სულ სხვა რამ მაინტერესებდა და ყოველთვის ვპოულობდი კიდევ...

— მერედა, რა გაინტერესებდათ?

— ძნელი სათქმელია. ეს არ არის რაღაც კონკრეტული. მოგზაურობა მუდამ ჩემს სულიერ ძიებებთან იყო დაკავშირებული. ეს მოძრაობა ახლაც გრძელდება — უბრალოდ, ახლა აქ დავდივარ... ჩემთვის გასაგებია, რომ „ჰიმალაები“ ყველგან არსებობს — მთავარია, შენ როგორ აღიქვამ მას და რამდენად შეგიძლია შენი თავი იპოვო მოცემულ გარემოში.

— ალბათ ამდენი მოგზაურობა დამლელიც იქნება, არა?

— არანაირად. ამ ძიებას არაფერი აქვს საერთო თვითდაკმაყოფილებასთან. ეს ჩემი ცხოვრება, ჩემი

კრელო. მომთაბარე ადამიანი ვარ და სხვანაირად არ შემიძლია.

— მეუღლე თუ გყავთ?
— არა.

— შვილი?
— კი, 9 წლის ბიჭი.

— პირველი სიყვარული თუ გახსენდებათ?

— პირველი სიყვარული ალბათ ის გოგო იყო, რომელიც მერხზე ჩემ გვერდით იჯდა, — მაკა თოფური. თან, ჩემი მეზობელიც იყო. ერთად ვთამაშობდით, საწოლის ქვეშ ვიმალებოდით და რაღაცას ვმაიმუნობდით... დაახლოებით მეორე კლასში ხდებოდა ეს ყველაფერი. მერე ჩემი სხვა თანაკლასელი მიყვარდა — მაშინ უკვე სხვა სკოლაში ვსწავლობდი. მთელი კლასი აფრენდა იმ გოგოზე. სკოლის დამთავრებიდან 10 წლის შემდეგ, მატარებელში შემხვდა და ვუთხარი: სკოლაში შენზე ვგოჟდებოდიმეთქი. იცით, რა მიპასუხა? რა არის, ყველა 10 წლის შემდეგ რომ მეუბნებით — მიყვარდიო? ახლა აღარავის ვიყვარვართო... იყო კიდევ ერთი გოგო — ნინო გიგაური, ძალიან მიყვარდა ბავშვობაში, ელემენტარული მემართებოდა მის დანახვაზე. შემდეგ კიდევ ბევრი იყო, მაგრამ ვინ მეტად მიყვარდა, ვინ ნაკლებად — არ ვიცი, ალბათ ყველა თავისებურად...

— ახლა არავინ გიყვართ?
— რა თქმა უნდა, მიყვარს!

გალაცემაში მონაწილე თინეიჯერებთან ერთად



— არ გვეტყვი, ვინ?


— ნამდვილად არ ვეკუთვნი იმ კატეგორიის ადამიანებს, რომლებიც რაღაცებს მალავენ, მაგრამ ეს იმდენად პირადულია, რომ არ მინდა ამაზე მასმედიის საშუალებით ლაპარაკი. ისე, ყველა ახლობელმა იცის, ვინც მიყვარს და როგორც მიყვარს. თუმცა, როგორ მიყვარს — ალბათ არ იციან...

— ახლა თქვით, როგორ გიყვართ.

— ადამიანი ცვალებადი არსებაა. ყველაფერი იცვლება, ყოველ წუთს და ყოველ წამს. ცვლილებები ხშირად რაღაცის მატებასაც ნიშნავს: მე ჯერჯერობით მატების პროცესში ვარ... ხვალ რა იქნება — არ ვიცი.

— ვი. პირად ცხოვრებაში კონკრეტული გეგმები არ გაქვთ?

— ერთადერთი, რასაც ვგეგმავ, ეთერში გასვლება, ჩემს პირად ცხოვრებას არასოდეს ვგეგმავ: ცოცხალი ადამიანი ვარ და აქედან გამომდინარე, მზად ვარ იმისთვის, რომ ხვალ შეიძლება რადიკალურად შეიცვალოს ყველაფერი. ასე ბევრჯერ მომხდარა ჩემს ცხოვრებაში:



კოკუ სენსეისთან ერთად


უცებ მოვხვედრილვარ აბსოლუტურად განსხვავებულ გარემოში, განსხვავებული საქმისთვისაც მომიკიდია ხელი.

— ვიცი, რომ ბევრი პროფესია გამოიცვალეთ, ყველაზე ორიგინალური რომელი იყო მათ შორის?

— ორი თვის განმავლობაში, მუშად ვმუშაობდი ბეტონის ქარხანაში. ეს იყო ჩემთვის ყველაზე ორიგინალური, მარტივი და ამავე დროს, რთული საქმიანობა. იმ პერიოდში ძალიან მჭირდებოდა ფული და ჩემმა ნათესავმა, რომელიც „პრარაბია“, სამუშაოდ მომაწყო. საინტერესო პერიოდი იყო. მოვხვდი აბსოლუტურად განსხვავებულ სამყაროში, რომელშიც, მაგალითად, არაფერს ნიშნავს ამერიკელი მუსიკოსი ფრენკ ზაპა... ერთ-ერთი მუშა ძალიან ჰგავდა ფრენკ ზაპას და ამის შესახებ ვუთხარი. სპეციალურად, გარკვეული სვლა გავაკეთე: მინდოდა მეჩვენებინა, რომ მას კარგი თვალთ ვუყურებდი. როდესაც მისი მხერვა დავიჭირე, მივხვდი, რომ შეურაცხყოფად მიიღო: ვერ მიხვდა, რაზე იყო ლაპარაკი, კარგი თუ ცუდი კაცი იყო ფრენკ ზაპა. თანაც

ტესტი ერუდიციისაზე

1. იტალიის რომელი ქალაქის უხუცესანება დადგენს 1327 წელს ცენტრალურ მოედანზე შვა, რომელზეც აღნიშნულ ხაზს ზევიტ, ქვედაპოლს ტარება აპრიალული იყო?



- ა) პიზის;
- ბ) პალერმოს;
- გ) მოდელის.

2. რომელ თბილისელ აშუღს ეკუთვნის ცნობილი სიმღერა „სადაც არის გათენდება, აღსდამ, მუშავ, შენე“?



- ა) იეთიმ გურჯის;
- ბ) ჰაზირას;
- გ) სკანდარ-ნოვას.

3. რომელი ფრანგი მწერალი ქალი ეწოდება სიბარას?



- ა) ფრანსუაზა საგანი;
- ბ) ნატალი საროტი;
- გ) ჟორჟ სანდი.

4. რას უწოდებდა ლეონარდო და ვინჩი მატანიკას?



- ა) მათემატიკურ მეცნიერებათა სამოთხეს;
- ბ) ჰარმონიულ მოძრაობათა ერთობლიობას;
- გ) სამყაროს მუდმივობის დასაბუთებას.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მივხვდი - ისიც არ მოეწონა, რომ მე ეს ვიცოდი, მან კი - არა... საინტერესო ადამიანები იყვნენ, საზრუნავიც თავისებური ჰქონდათ. ერთ-ერთი მუშა ისეთი აღფრთოვანებით საუბრობდა ახალნაყიდ ხალიჩაზე, რომ დავინტერესდი და შენაძენის აღსანიშნავად მის მიერ მოწყობილ წვეულებაზეც წავიდი. მის სახლში შესული დავითრგუნე იმით, რომ უამრავი მძიმე ნივთი ჰქონდა ოთახში და სივრცე საერთოდ არ დარჩენილიყო... გულიანად გამეცინა, როცა ხალიჩა ვიხილე: მასზე უზარმაზარი, ელამი ვეფხვი იყო გამოსახული. ყველას ძალიან არ ესიამოვნა ჩემი რეაქცია და მივხვდი, რომ ყველაფერი გავაფუჭე... არადა, ამ ხალხისგან ბევრი რამ ვისწავლე. მაგალითად, მათგან გავიგე, რომ მტრედის ხორცი იჭმევა. დამინტერესა და გავსინჯე კიდეც, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მესიამოვნა... შემდეგ წავიდი ტაშკენტში, სადაც აბსოლუტურად სხვა სამყარო, სხვა ხალხი, სხვა მენტალიტეტი დამხვდა. პირველი прозрение მაშინ მომივიდა, იქაც რომ ვნახე ელამი ვეფხვი...

— რა აზრის ხართ საერთოდ ქართველ რადიონამცვანებზე?

— წამყვანებად რადიოში ძირითადად, ის ადამიანები მიდიან, ვისაც სახლში ჯდომა არ უნდა... ერთი მხრივ, ეს კარგია, მაგრამ პიროვნებამ უნდა იმუშაოს რამდენიმე წელი, სანამ ეთერამდე მივა, რათა ჩამოყალიბდეს, როგორც წამყვანი. მე მყავს საყვარელი რადიოწამყვანები: დათო ეული („პირველი რადიო“), ნინო ლეკვეიშვილი („რეზონანსი“), დი-ჯეი ირინა და ჩემი

ალზრდილი დი-ჯეი ფრეში („ფორტუნა +“) და ბევრი სხვა.

— ნინო ზაუტაშვილთან ერთად თქვენ საქართველოს ტელევიზიის „პირველ არხზე“ მიგყავდათ გადაცემა „ტიტანიკი“. რა ბედი ენია მას?

— ჩაიძირა - ისევე, როგორც ნამდვილი „ტიტანიკი“ მესამე დღეს, ჩვენ კი - მესამე გადაცემის შემდეგ... რატომღაც ასე გავიზიარეთ იმ გემის ბედი.

— კონფლიქტური თუ ხართ?

— აბსოლუტურად დადებითი ადამიანი ვარ-მეთქი, ვერ ვიტყვი, - პირიქით, ზოგჯერ ძალიან მძიმე ხასიათი მაქვს (ყოველ შემთხვევაში, ჩემი ახლობლები ასე ამბობენ). კონფლიქტური არ ვარ, მაგრამ არა იმიტომ, რომ გავურბივარ კონფლიქტს... აიკიდოში არსებობს მშვენიერი წესი: მეტროლი, აგრესიულ ძალას, თავის აგრესიას კი არ უპირისპირებს, - უბრალოდ, თავს არიდებს და აგრესორს თავისი აგრესია უკანვე უბრუნდება... დაახლოებით ასეა ჩემი საქმე: შეიძლება ამის და კიდევ ზოგიერთი სხვა რაღაცის ცოდნა მაძლევს იმის საშუალებას, რომ არ ვიყო აგრესიული.

— რისი ეშინია მამუკა ბერიკას?


— არ ვიცი. ეს ალბათ რაღაც გეგმებთან და ამ გეგმების მსხვერველთან არის დაკავშირებული: არ ვიცი, საერთოდ, რა იქნება ხვალ და აქედან გამომდინარე, არც რამის მეშინია...

— როგორც ვხედავ, ხშირად იცვლით ამბლუასაც და სამუშაო ადგილსაც. რამდენად ხანგრძლივი იქნება „მეგსტროში“ თქვენი მუშაობა?

— ეს არავინ იცის. დრო გვიჩვენებს. ზუსტად მხოლოდ ის ვიცი, რომ დღეს მაქვს სატელევიზიო ეთერი, რასაც პასუხისმგებლობით ვეკიდები, მაგრამ ხვალ რა იქნება - არ ვიცი... ■



„შვილი თვალნიც მოვიკლა, თვითონ კი თავისუფლად დადიოდა“



ვასილ ჭილაძე

შვილი წლის ნინ ჩადენილი დანაშაულისთვის პატიმარი მოაქვალ კვირას განაჩენს ელის



თინა თაქთაქიშვილი

მეზო სანავა

1995 წლის 13 აპრილს, საღამოს, დაახლოებით 7 საათისთვის, თბილისში, მეტროსადგურ „თავისუფლების მოედნის“ წინ მკვლელობა მოხდა. იქვე მდებარე ტაქსების გაჩერებასთან ჩხუბი ატყდა. რამდენიმე ახალგაზრდას შორის შელაპარაკებას უეცრად ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის ხმა მოჰყვა. ტყვია 33 წლის დავით თაქთაქიშვილს მოხვდა. ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. თაქთაქიშვილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

შემთხვევის ადგილას ამ უკანასკნელის დედა და ძმა აღმოჩნდნენ. ისინი ჩხუბს სწორედ მაშინ შეესწრნენ, როცა პისტოლეტიდან საბედისწერო გასროლის ხმა გაისმა. იარაღი – „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, რომლის ტყვიამაც დავით თაქთაქიშვილი შეიწირა, 22 წლის ვასილ ჭილაძეს ეჭირა ხელში. მეორე დღეს, როცა მან თაქთაქიშვილის გარდაცვალების შესახებ შეიტყო, პროკურატურაში თავისი ფეხით გამოცხადდა და თქვა, რომ მკვლელობა შემთხვევით, გაუფრთხილებლობით ჩაიდინა.

მომხდარ ფაქტზე ჩატარებული გამოძიების მასალები განსახილველად უკვე უზენაეს სასამართლოს გადაეცა. საქმის არსებითი განხილვა მომავალ კვირას დაიწყება.

ვასილ ჭილაძე მაშინ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილის გვარდიაში მსახურობდა, პარალელურად კი ეროვნული ტრადიციების აღორძინების ფონდ „გეზის“ უძრავ-

მოძრავი ქონების დაცვაში მუშაობდა. „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტიც, შესაბამისად, შენახვისა და ტარების უფლებით ჰქონდა გაპიროვნებული.

13 აპრილს, საღამოს იგი ჩვეულებრივსაშუალო, ახვლედიანის ქუჩაზე მდებარე ფონდის ოფისში იყო. ამ დროს მას ნაცნობმა – ავთანდილ ქველაძემ მიაკითხა და მეტროსადგურ „თავისუფლების მოედანთან“ მომხდარი ჩხუბის შესახებ უთხრა: ტაქსების გაჩერებასთან მე და შოთა ყიფიანს (მისი და ჭილაძის საერთო ნაცნობი) უცნობებმა ცემა დაგვიწყეს, მე თავის დაღწევა მოვახერხე, შოთა კი ისევ იქ, მეტროს წინ არის და დახმარება სჭირდება. ქველაძემ ჭილაძეს ჩხუბის ადგილზე გაყოლა სთხოვა. ისინი კიდევ ერთ ნაცნობთან – შოთა ჯოხაძესთან ერთად ქველაძის ავტომანქანაში ჩასხდნენ და მეტროსკენ წავიდნენ.

დავით თაქთაქიშვილი „თავისუფლების მოედნის“ ტერიტორიაზე მეგობრებთან ერთად მიდიოდა. გამოძიების მასალების მიხედვით, ოთხივე – დავით თაქთაქიშვილი, სოკრატ ვაჩიშვილი, კონსტანტინე ფაველნიშვილი და ნიკოლოზ ბილანიშვილი – მთვრალი იყო. ისინი ტაქსის გაჩერებასთან მივიდნენ და ერთ-ერთ ტაქსის მძღოლს მათთვის საჭირო მისამართზე წავყვანა სთხოვეს. უარის მიღების შემდეგ მძღოლს – ავთანდილ ქველაძეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. განაწყენებული ქველაძე თავის ავტომანქანაში ჩაჯდა და ჭილაძესთან წავიდა.

სოკრატ ვაჩიშვილი, გარდაცვლილის მეგობარი:

„მე და ჩემი მეგობრები ნასვამები ვიყავ-

ით და ტაქსის მძღოლთან კონფლიქტი მოვიხზა. ჩხუბის შემდეგ, მძღოლი – ავთანდილ ქველაძე თავის ავტომანქანა „ყოველში“ სწრაფად ჩახტა და იქაურობას გაეცალა. ცოტა ხანში ისევ დაბრუნდა. მას თან სამოქალაქო ტანსაცმელიანი რამდენიმე კაცი ახლდა. უცნობებმა მათგანმა დავით თაქთაქიშვილს თავში იარაღი ჩაარტყა, შემდეგ – მეც იგი თაქთაქიშვილს მიუბრუნდა და ცემა დაუწყო, თან ყვიროდა – პოლიციის სამართველოში ამათი წაყვანა აუცილებელიაო. ამის გავგონებაზე მე ნიკოლოზ ბილანიშვილთან ერთად, ავთანდილ ქველაძის ავტომანქანის სალონში ჩავჯექი. თაქთაქიშვილი ძლიერ ნაცემი, თითქმის გათიშული იყო. მე ქველაძის მანქანაში მის შეყვანას ვცდილობდი, როცა მოულოდნელად გასროლის ხმა გაისმა. თაქთაქიშვილი მაშინვე გადავარდა მანქანიდან და ასფალტზე დაეცა.

გასროლისთანავე, მანქანიდან დახლოებით ერთი მეტრის მანძილზე, ვასილ ჭილაძე დავინახე, მას მარჯვენა ხელში პისტოლეტი ეჭირა. მივხვდი, რომ მან ისროლა, რადგან იმ მომენტში და საერთოდ, ჩხუბის დროს, იარაღიანი სხვა არავინ ყოფილა. თაქთაქიშვილი მაშინვე №1 კლინიკურ საავადმყოფოში წაიყვანეთ, მაგრამ იგი ვზაში გარდაიცვალა. გასროლის მომენტს თაქთაქიშვილის დედაც – თინა თაქთაქიშვილიც შეესწრო. იგი ავთანდილ ქველაძის ავტომანქანიდან დაახლოებით სამი მეტრის მოშორებით იდგა.

თინა თაქთაქიშვილი, გარდაცვლილის დედა:

„წინა დღეს დათოს მეუღლის და-

ბადების დღე იყო. მეორე დღით ჩემს შვილს ორმა ძმაკაცმა მოაკითხა. სახლში სუფრა რომ გაგვეშალა, იმდენი აღარაფერი გვექონდა, ამიტომაც დათომ ისინი მეტრო „თავისუფლების მოედნის“ ზემოთ მდებარე კაფეში წაიყვანა. დაახლოებით დღის 12 საათი იქნებოდა. საღამოს მან სამსახურში დაბრუნდა და მითხრა – შენ და ოთარი (ჩემი უფროსი ვაჟი) არ დაშელოდოთ, ერთ საათში სახლში მოვალ. რატომღაც არ შევეკითხე, თავად სად იყო. მე და ოთარი ჩავსხედით მანქანაში და როდესაც თავისუფლების მოედანთან ჩამოვუხვიეთ, სარკიდან დათო შევნიშნეთ. იქვე შეკრებილი ხალხი დავინახეთ, მაგრამ დათო ხის ქვეშ სრულიად მარტო იდგა. ოთარმა მანქანა შეჩერა და სწრაფი ნაბიჯით ძმისკენ წავიდა – აქ მანქანის შეჩერება არ შეიძლება, დათოსთან უცებ მივირბენ და წამოვიყვანო. ამ დროს ავტომანქანიდან მეც გადმოვედი. იქვე პოლიციელი იდგა, შევეკითხე – რა მოხდა, ხალხი რისთვის მოგროვდა-მეთქი? ტაქსის მძღოლთან რაღაც ჩხუბი იყო, მძღოლი უკვე წავიდა და ჩხუბიც დამთავრდაო. მე მაინც ჩემი შვილებისკენ წავედი. იმ ადგილს მივუახლოვდი თუ არა, უეცრად, გრიალით თეთრი მანქანა შემოვარდა და მეტროს წინ გაჩერდა. იქიდან გადმოვიდა (როგორც შემდეგ ვგავარკვიე) ტაქსის მძღოლი – ქველაძე და პირდაპირ დათოს დაეტყუა, ძირს დაავლო. ჭილაძემ იარაღი ოთარს ჩაარტყა თავში. მაშინ ოთარმა უთხრა – არ ისროლოო. ამ დროს ქველაძე სასტიკად სცემდა დათოს და თან ყვიროდა – პოლიციაში წამოდიო, ჩვენ პოლიციის სამმართველოდან ვართო. ოთარმა მითხრა – რას გვიზამენ, დედა, ძედი, ჩავსხედით და წავევით პოლიციაშიო. ამ დროს სოსომ (სოკრატ ვაჩიშვილი) მხრებში მოკვიდა დათოს ხელი და მანქანაში ჩაჯდომისას ისიც შიგნით შეიყოლია. მე ქველაძის ავტომანქანის წინ ვიდექი; რახან დავინახე, რომ დათო შიგ ნახევრად შესული იყო, ყურადღება მეორე შვილისკენ – ოთარისკენ გადავიტანე: ეს ნაცემია, მაგრამ ის არ მომიკლან-მეთქი. სწორედ ამ მომენტში სროლის ხმაც გაისმა. ჭილაძისკენ რომ გავიხედე, იგი მანქანიდან ერთ მეტრში იდგა...


ეს ყველაფერი ჩემ თვალწინ მოხდა. ახლაც ცხადად ვხედავ ამ სურათს – დათო ჯერ მანქანიდან გადმოვარდა, ცოტა ხანში კი, გარდაიცვალა. მას ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა. ამ საშინელ ტრაგედიასთან ერთად, უმამოდ დარჩენილი შვილიშვილების მღვდმარეობაც არ

მასვენებს... ყველაზე მეტად ის მიკლავდა გულს, რომ ჩემი შვილის მკვლელი ვარეთ თავისუფლად დადიოდა და ამ საქმის გამოძიებასაც ბოლო არ უჩანდა... ვინაიდან ვასილ ჭილაძე გვარდიელი გახლდათ, ამიტომ მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე გამოსაძიებლად ქ. თბილისის რეგიონალურ სამხედრო პროკურატურას გადაეგზავნა. მომხდარი ფაქტიდან სამი დღის შემდეგ, 1995 წლის 17 აპრილს ჭილაძეს ბრალდება წარუდგინეს, თუმცა ყოველივე ამას ამნისტია დაემთხვა და 1995 წლის 2 ივნისს კანონის – „ამნისტიის შესახებ“ – თანახმად მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოება შეწყდა. როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, მომხდართან დაკავშირებით ახალი გარემოებები გამოიკვეთა და დამატებითი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნით, საქმის წარმოება არაერთხელ განახლდა. თუ რა გარემოებებმა იმოქმედა გამოძიების განახლებაზე, ეს, ალბათ, საქმის სასამართლო განხილვისას უფრო კარგად გამოჩნდება.

სამხედრო პროკურორმა ჭილაძის ორი თვით დაპატიმრების სანქცია გასცა. თუმცა, სამართალდამცავებმა მისი დაკავება ვერ შეძლეს და მასზე ძებნა გამოაცხადეს. მეორედ, პროკურატურაში ჭილაძე 2000 წლის 16 დეკემბერს აღმოჩნდა. გამოძიების ჩატარება კვლავ სამხედრო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს დაევალა.

ვასილ ჭილაძე დავით თაქთაქიშვილის განზრახ მკვლელობას ისევ კატეგორიულად უარყოფდა და თავს დამნაშავედ მხოლოდ გაუფრთხილებლობით მომხდარ გასროლაში ცნობდა. მან ბრალდების ოქმს ხელი არ მოაწერა და სამართალდამცავებს ჩვენების მიცემაზე უარი უთხრა. თუმცა, არსებობს წინასწარი გამოძიებისას დაწერილი ჩვენება, სადაც **ვასილ ჭილაძე** თავის ქმედებას ასე ხსნის:

„1995 წლის 13 აპრილს ფონდ „კვიზის“ ოფისში ვიყავი, სადაც სამსახურებრივ მოვალეობას ვასრულებდი. საღამოს, დაახლოებით 7 საათზე, „ვიგულის“ მეგობარმა ავთანდილ ქველაძემ მომაკითხა და მითხრა – „თავისუფლების მოედანთან“ უცნობმა ბიჭებმა მკეპესო... მთხოვა წაველოდი... ჩხუბის ადგილას რომ მივედიო, სიტუაციის განმუხტვის მიზნით, იარაღი-



დავით თაქთაქიშვილი

დან ჯერ პაერში გავისროლე, შემდეგ კი ერთ-ერთ უცნობს (როგორც აღმოჩნდა – სოკრატ ვაჩიშვილს) თავში იარაღიანი ხელი ჩავარტყი. მინდოდა მოჩხუბრები პოლიციაში წამეყვანა, ამიტომ ვცდილობდი ისინი ძალით, როგორმე მანქანაში ჩამესვა. თაქთაქიშვილის სალონში ჩასმა ვერ მოვახერხე, რადგან მას ფეხები გარეთ ჰქონდა გამოყოფილი და კარის დაკეტვის საშუალებას არ მძლევდა. ამ დროს, მან ჩემს პისტოლეტს ხელი სტაცა. იარაღის ლულაში ტყვია იდო და სწორედ იმ მომენტში, მოულოდნელად მოხდა გასროლა...“

ვასილ ჭილაძე ამავე ჩვენებაში წერს, რომ იგი შემთხვევის ადგილიდან მამინვე მიიშალა, ხოლო მეორე დღეს, ბრალის აღიარებით, მთაწმინდის რაიონის პოლიციაში გამოცხადდა. იქ წარადგინა თავისი პისტოლეტიც.

ჭილაძის ამ ჩვენებას დაზარალებული და გარდაცვლილის მეგობრები კატეგორიულად უარყოფენ. მათი თქმით, თაქთაქიშვილს იარაღის წართმევა არც უცდია, უფრო მეტიც, ჭილაძე გასროლის მომენტში მისგან ერთი მეტრის მოშორებით იდგა.

ჭილაძის ერთ-ერთი მეგობრის, ავთანდილ ქველაძის ჩვენებით, ჩხუბის ადგილას უამრავი ხალხი იყო შეკრებილი. მისივე თქმით, მანქანიდან გადმოვიდნენ თუ არა, თაქთაქიშვილმა მას მამინვე ხელი გაართვა. ქველაძე, როგორც თავად დასძენს, მისკენ წამოსულ სოკრატ ვაჩიშვილს სწვდა და მანქანაში მისი ჩასმა სცადა, რათა იგი პოლიციაში წაეყვანა. „ამასობაში, ჭილაძე, რომელსაც ხელში იარაღი ეჭირა, მანქანაში თაქთაქიშვილის ჩასმას ცდილობდა. თაქთაქიშვილი სალონის უკანა სავარძელზე ნახევრად იწვა, ფეხები კი გარეთ ჰქონდა. მე მივუჯექი საჭეს, მაგრამ ზუსტად ამ მომენტში პოლიციის მანქანაც გამოჩნდა. თაქთაქიშვილი პოლიციელებმა თავიანთ მანქანაში გადასვეს. თუ რა შედეგი გამოიწვია ჩხუბმა, ამის შესახებ მოგვიანებით გავიგე. ჭილაძემ მანქანიდან გადმოსვლისთანავე ერთხელ გაისროლა, მაგრამ მეორედ ისროლა თუ არა, არ მახსოვს“, – წერს **ავთანდილ ქველაძე** და ამის მიზეზად შემთხვევის ადგილას არსებულ არეულ სიტუაციას ასახელებს.

„დედა საკუთარი შვილის გველეხზე გერს შეუკეთა...“

ადვოკატის თქმით, ამ სისხლიანი ამბის საიდუმლო გერმა საფლავში ჩაიტანა

მეზო მანაშაძე

ნორმალურ ადამიანს ამ შემზარავი და სადისტური მკვლელობის წარმოდგენა გაუჭირდება. ბოროტმოქმედებმა კი იგი ყოველგვარი გართულების გარეშე ჩაიდინეს. იმ საბედისწერო დღის გემას მთელი ორი თვის განმავლობაში აძულებდნენ, რაც შეიძლება მოხერხებულ გზასა და მეთოდს ეძებდნენ, რათა 20 წლის ბიჭი სადისტურად გამოესალმებინათ სიცოცხლისთვის.

სისხლიანი გემმა თავად ამ ბიჭის სახლში იწერებოდა. თუმცა, ეს კიდევ არაფერია იმ სამინულებასთან შედარებით, რაც მოგვიანებით გამოაშკარავდა: მკვლელობის იდეის მთავარი ავტორი მსხვერპლის დედა გახლდათ, თანამოაზრე და განმხორციელებელი კი — მამინაცვლის შვილი...

ყველაფერი სწორედ ასეა წარმოდგენილი იმ სისხლის სამართლის საქმეში, რომლის განხილვაც უზენაესმა სასამართლომ გასულ კვირას დაასრულა. 42 წლის ქალს საკუთარი შვილის გველეხობის შეკვეთა დაუმტკიცეს. სასამართლო კოლეგიის განცხადებით, მან თავისი ვაჟისთვის სიცოცხლის მოსწრაფება გერს მართლაც დაავალა, ხოლო იმის საბუთად, რომ ეს უკანასკნელი განზრახვას სისრულეში ნამდვილად მოიყვანდა, მოკლული შვილის მოჭრილი ხელის მოტანა მოსიხოვა. გერს იგი გასამრჯელოსაც (600 ლარს) დაჰპირდა. ჩაღვნილი დანაშაულისთვის განსასჯელს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსჯეს.

2000 წლის 14 აგვისტოს, დილის ათის ხუთ წუთზე ყვარლის შინაგან საქმეთა რაიონის სოფელ მთისძირის მიმდებარე ტერიტორიაზე, ე.წ. ფიჭვის გორაზე უცნობი პიროვნების გვაში იპოვეს. გარდაცვლილის სხეული იმდენად იყო დასახინრებული, რომ თავდაპირველად ვერც მისი ასაკი დაადგინეს და ვერც სქესი.

გვამს თავი და ხელები არ ჰქონდა... სამართალდამცავებმა იგი საავტომობილო გზიდან 300 მეტრის მოშორებით აღმოაჩინეს. იმ ადგილიდან 4 მეტრში მათ კონკრეტული კვალიც შენიშნეს. ნაცარის სისხლის ლაქები ემჩნეოდა, იქვე ყვარა რკინის სარები და დამწვარი ქსოვილის ნაფლეთებიც. ოდნავ მოშორებით, ხის ძირას დაგდებული ქალის



მკვლელი რაშიდ ჰეიტიევი

საცვლიც იპოვეს... შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი შამპანურის, ლუდისა და არყის ბოთლები დასტურებს, რომ იქ ორ ან მეტ ადამიანს პატარა სუფრა ჰქონდა გაშლილი. ნაპოვნი ნივთბუთები იმის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ ბოროტმოქმედებმა გარდაცვლილი კოცონზე დაწვეს.

სათანადო გამოკვლევის შედეგად ექსპერტებმა განაცხადეს, რომ გვამის ღობა კარგა ხნის დაწყებული იყო, მისი უმეტესი ნაწილი კი, ცხოველებს გაენადგურებინათ, თუმცა სქესის დადგენა მაინც შეუძლებელია. მათი თქმით, გვამი 20-25 წლის მამაკაცს ეკუთვნოდა.

ამ ფაქტიდან სამი დღის შემდეგ, ყვარლის რაიონის პროკურატურაში თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში მცხოვრებნი ნანა ბაირამოვა და ქეთი ჯალილოვა გამოცხადდნენ და სამართალდამცავებს აცნობეს, რომ მათი ახლობელი, 20 წლის ნოდარ მამდლოვი 2000 წლის 7 აგვისტოს, დილით სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა. გამომძიებლებმა მათ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ნივთბუთები წარუდგინეს. ბაირამოვამ და ჯალილოვამ განაცხადეს, რომ დამწვარი ტანსაცმლის ნარჩენები ძალიან ჰგავდა ნოდარ მამდლოვისას, თავის ქალის ჩვენებისას კი აღნიშნეს, რომ ნოდარს ზუსტად ისეთი კბილები ჰქონდა.

სამართალდამცავებთან მათ გამოცხადებამდე ყველა ფიქრობდა, რომ 14 აგვისტოს აღმოჩენილი ამბავი იმ ბურუსით მოცულ საქმეთა რიგს მიემატებოდა, რომელსაც პროკურატურაში გახსნა არ ეწერა. ახლომდებარე სოფლებში ათასი ჭორი და

ვერსია დადიოდა. ხალხში იმისა ამბობდნენ, თითქოს გარდაცვლილი — ქალი იყო (იმ ადგილას ზაფხულობით თურმე ბევრი მოქეფე იყრიდა ხოლმე თავს); მკერდი სულ დასახინრებული აქვს, როგორც ჩანს — მკვლელმა მოაჭრაო. ასეთი ვერსიის საბაბი, აღბათ, შემთხვევის ადგილას აღმოჩენილი ქალის საცვლიც გახდა.

მუხედავად იმისა, რომ ექსპერტებმა გვამის სქესი დაადგინეს, აღნიშნული საცვლის საკითხი საქმის მასალებში დღემდე ღიად არის დატოვებული. სხვათა შორის, პროკურატურის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც არ ჩანს, რომ გამომძიებლები ამ საკმარად მნიშვნელოვანი დეტალით დაინტერესდნენ როგორც შევითხვეთ, საცვალთან დაკავშირებული გაურკვევლობის შესწავლა სასამართლომაც ზედმეტად ჩათვალა.

გამომძიებელს ჩაღვნილი დანაშაულის ვერსია 16 დღის შემდეგ — 30 აგვისტოს გაუჩნდა. იმ დღეს სამართალდამცავებმა ნოდარ მამდლოვის დედის ეზოში (ამ უკანასკნელის მძახლების მითითების საფუძველზე), კარლის ხესთან დალაგებულ რიყის ქვებში შავი პოლიეთილენის პარკი იპოვეს. პარკში მამაკაცის შარვალი და ადამიანის მარცხენა ხელის მტევანი იყო. მამდლოვის ცოლის თქმით, შარვალი მის ქმარს ეკუთვნოდა და სწორედ ის ეცვა 2000 წლის 7 აგვისტოს, როცა შინიდან უკანასკნელად გავიდა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთა განცხადებით, ხელის მტევნის ღობა კარგა ხნის დაწყებული იყო, რის გამოც შეუძლებელი გახდა მასზე რაიმე დაზიანების ან ნიშნის დაფიქსირება. თუმცა, ექსპერტებისგან განსხვავებით, მამდლოვის სიმამრმა სასამართლოში დაკითხვისას თქვა, რომ მან სიძის ხელის მტევანი ხალითა და ტატუირებით ამოიცნო. მოკლული ნამდვილად ნოდარი იყო — ამასი ექვი აღარავის შეჰპარავია.

გარდაცვლილის ცოლისა და მისი ნათესავების ჩვენებებით, ნოდარ მამდლოვა და დედამისის ერთმანეთში დამაბული ურთიერთობა ჰქონდათ — ისინი მამდლოვის დაქორწინების შემდეგ საცხოვრებელი ბინის გაყოფის გამო ჩხუბობდნენ. რამდენიმე თანასოფელის თქმით, ნოდარ მამდლოვი ბოლოს თავისი მამინაცვლის შვილთან, 29 წლის რაშიდ ჰეიტიევთან ერთად ნახეს — თელავის ავტოსადგურში, ავტობუსში ისხდ-

ნენ და ყვარლისკენ მიდიოდნენ. მამელ-
ოვის ცოლის თქმით, მისი მეუღლე შინიდან
7 აგვისტოს, დილის 5 საათისთვის გავიდა
— თბილისში მივიდვარ, ჭიკები უნდა ვიყი-
დო და ჩამოვიტანო გასაყიდადო. იგი შინ
იმავე დღეს უნდა დაბრუნებულიყო. რამდენ
პეტიტივე 7 აგვისტოს, საღამოს, უკვე შინ
გახლდათ, ნოდარი კი არსად ჩანდა.

გარდაცვლილის დედის ჩვენებით, ნო-
დარის გაუჩინარებამდე რამდენიმე დღით
ადრე, ეს უკანასკნელი, მასთან მივიდა და
უთხრა: რამდენა სოფელ კაბალში წასვლა
შემოძთავაზა — წამალი ჩამოვიტანოთ, სამი-
ში არაფერია, ორი ათას დოლარს გავა-
კეთებო. ამავე ჩვენების მიხედვით, ნოდარ
მამელოვი კაბალში წასვლის წინააღმდეგი
ყო და ამბობდა, რომ წამლის ჩამოსატანად
რამდენთან ერთად იქ არაფრით არ წავიდო-
და. ნათესავების თქმით, ადრე ნასამართლევი
რამდენ პეტიტივე ციხიდან გამოსვლის შემ-
დეგ, ნარკოტიკულ ნივთიერებებს სისტემატ-
ურად იყენებდა. თავდაპირველად, პეტიტივე
ნოდარ მამელოვთან 7 აგვისტოს დღით,
ავტოსადგურში ყოფნის ფაქტს კატეგორი-
ულად უარყოფდა, მოგვიანებით კი მხოლოდ
იმაში გამოტყდა, რომ ავტობუსში ერთად
ისხდნენ. მეორე დღეს მან სოფელი დატოვა
და მას შემდეგ არ გამოჩენილა. რამდენ
პეტიტივე სამართალდამცავებმა 2000 წლის
სექტემბერში დააპატიმრეს. რამდენიმე თვე-
ში იგი ციხეში გარდაიცვალა, თუმცა სიკვდი-
ლამდე მიცემულ ჩვენებაში მკვლელობაც
აღარა და მოკლულის დედაც აშხილა.

**ნოდარ მამელოვის დედა,
გოპარ ივრამიძე-ყიზი,** პირველად
მოწმედ დაკითხეს:

„მართალია, ეროვნებით აზერბაიჯანელი
ვარ, მაგრამ საქართველოში დაბადებული
და გაზრდილი ვახლავართ. დაბრუნებული
მაქვს ქართული სკოლა... შვილს მარტო
ვზრდიდი. ექვსი თვის იყო, როდესაც იგი
უპატრონო ბავშვთა სახლს მივამარე, მერე,
როცა 7 წლის გახდა, ინტერნატში გადა-
ვიყვანე. ჩემ გვერდით არ იზრდებოდა, მა-
გრამ შვილს სისტემატურად ყურადღებას
ვაქცევდი. იმ პერიოდში მეორედ გაეთხო-
ვასამართლო კოლეგია, თავმჯდომარე გიორგი ქლიავა

დი. ჩემს მეუღლეს შვილი ჰყავდა — რამდენ
პეტიტივე. ინტერნატის დაბრუნების შემ-
დეგ, ნოდარი დღეაღმოსამ წავიდა, თუმ-
ცა შვილს ხშირად ვხვდებოდი და მასზე
ჩვეულებრივად ვბრუნავდი. დაახლოებით
ორი წლის წინ, იგი თანასოფელი კლიშ-
ვილზე დაქორწინდა. ცოლთან ერთად ისევ
დღეაღმოსამ წავიდა, მაგრამ მალე მას-
თან უსაბუთოდ მოუხდათ, რის გამოც საცხ-
ოვრებლად ჩემთან გადავიდნენ. მე თავიდანვე
ამ ქორწინების წინააღმდეგი ვიყავი, შემდეგ
კი რადთან ცუდი ურთიერთობა მქონდა —
არ ველაპარაკებოდი. ამიტომაც, ჩემს შვილ-
სა და რძალს ცალკე ერთი აივნანი ოთახი
დავუთმე, რათა თავისთვის ეცხოვრათ. ნო-
დარსა და რამდენს ერთმანეთთან კარგი
ურთიერთობა ჰქონდათ. 6 აგვისტოს ისინი
ეზოში ისხდნენ და საჭმელს ჭამდნენ. იმ
დღეებში თბილისში ვიყავი. ბაზარში მიხვრეს,
რამდენიმე დღე ნოდარი არ გამოჩენილა.
ვიფიქრე, ალბათ სოფლებშია წასული ნისე-
ბის ასაკობად და ამიტომაც არ გამოჩნდა-
მეთქი... მერე ვავიფიქრე, რომ ჩემი შვილის
გვაძი ყვარლის რაიონის ტერიტორიაზე უნ-
ახავთ. რადგანაც სხეული დანაწევრებული
და დასახიჩრებული იყო, გარდაცვლილი
შვილი მე არ მინახავს...

ჩემი რძლის ახლობლებს ეკვი აქვთ,
თითქოს მე წავაქეზე რამდენსა და მანაც მოკ-
ლა ნოდარი. მე რამდენს არ წამიქეზებია, ამას
არ ვიზამდი, რადგან ნოდარი ჩემი შვილი
იყო. იძულებული ვიყავი, რომ როცა მოვხუცდებო-
დი, იგი ყურადღებას მომაქცევდა“.

რამდენ პეტიტივე:


„... ნოდარ მამელოვი ჩემ მიმართ კარ-
გად იყო განწყობილი, დღეაღმოსამ კი ცუდი
დამოკიდებულება ჰქონდა. ხშირად ჩხუ-
ბობდნენ, იმ პერიოდში მათთან სტუმრად
ვიმყოფებოდი. მათ სახლში ვცხოვრობდი.
მთელი ამ ხნის განმავლობაში ნოდარის
დედა მეუბნებოდა: ნოდარს შუნი მოკვლა
უნდა და იმან რომ არ მოკვლას, შინ მოკალიო,
თან დამპარდა — 600 ლარს გადავიხდი,
თუ ჩემს შვილს მოკვლია. ამ თანხას მას
შემდეგ მომცემდა, როცა მოკლული ნო-
დარის შარვალს და მოჭრილ ხელს მი-
ვუტანდა... ორი თვის
მანძილზე სულ ამზე
მელაპარაკებოდა.
რასან ფულს მთავ-
ზობდა, მეც დავთანხ-
მდებოდი... ზუსტად რიცხ-
ვი არ მახსოვს, კაბა-
ლის ბაზართან, სასა-
დილოში საჭმელი
ეჭამეთ, სამი ლიტრი
ღვინო დავლიეთ, მერე
ნახევარი ლიტრი
არაყიც დავაყოფეთ.
ნოდარს შევთავაზე,
რომ ჩიფი სხვაგან

გავკვებოდი. ბაზარში საჭმელ-სასმე-
ლი ვიყიდეთ და იქიდან სამარშრუტო ტაქსით
წამოვიყვანი. მანქანიდან შესაფერის ადგილს
ვებეჭდი, მიხვდა, ცოტა მოშორებით, მოგარ-
ებულში მიმეყვანა ნოდარი... ტყის პირას
ჩამოვიყვანი. დავსხვდით მიწაზე და დაღვრა
დავიწყეთ. ნოდარს სასმელი მაგრად მოეკი-
და და ცუდად გახდა, გული აერია, ამიტომ
იქვე, მიწაზე წამოწვა, ცოტა ხანში ჩაიძინა.
ვიფიქრე, რომ ხელსაყრელი მომენტია ჩამო-
ვარდა. მიწიდან ქვა ავიღე და მძინარეს
თავში ორჯერ თუ სამჯერ ჩავარტყი. მაინც
ცოცხალი იყო, მაშინ სუფრიდან დასაკეცი
დანა ავიღე (ეს დანა ჩემი ვახლავდა, ადრე
მალაზიაში შევიძინე) და იგი ნოდარს გულ-
მკერდის არეში ჩავარტყი. მერე ისევ ქვა
დავარტყი თავში. ისევ ცოცხალი იყო. გულში
კიდევ ერთხელ ჩავარტყი დანა. როცა დავრ-
წმუნდი, რომ იგი მოკვდა, ქვა გადავავლე.
ნოდარს დანით სახსარში ხელის ზტყვანი
მოვავტყე, რომელი ხელი იყო, არ მახსოვს.
გავხადე შარვალი, ტანსაცმელი. პურანგი და
ფილეტი დაუსისხლიანდა, ამიტომაც მათი
დაწვა გადავიწყვიტე. დავანთე ცეცხლი და
პურანგი, ფილეტი და ფეხსაცმელები ზედ
დავყარე. მოჭრილი ხელი და შარვალი
პარკში შევახვიე. ამის შემდეგ ცოტა ხანს
მიწაზე წამოწმე, ცეცხლის ჩაქრობას ველო-
დებოდი... თელავში სამარშრუტო ტაქსით
წავიდი, იქიდან კი, ყარაჯაღაში ფეხით ჩვე-
დი... გოპარს სახლში არ დამხვდა, თბი-
ლისში იყო წასული. რაც შეეხება დანას,
მკვლელობის შემდეგ იგი გაეწმინდა და თან
დავატარებდი“.

აღსანიშნავია, რომ ჩვენებიდან მოყვანი-
ლი ბოლო სიტყვები რამდენს პეტიტივემ
მოგვიანებით, დამატებით დაკითხვისას უარყო
და დასძინა, რომ დანა, რომლითაც მან ნო-
დარ მამელოვი მოკლა, იქვე, შემთხვევის
ადგილას გადააგდო. რაც შეეხება გოპარ
იბრაჰიმ-ყიზს, იგი ბოლომდე პირველი ჩვენების
ერთგული დარჩა. სასამართლომ მისი სი-
ტყვები სარწმუნოდ არ მიიჩნია, ამ გადაწყვე-
ტილებით კი განსასჯელის ადვოკატები —
ფატი კიპარიძე და მიხეილ შიოშვილი
უკმაყოფილონი დარჩნენ და თავიანთი პოზი-
ცია ამგვარად ჩამოაყალიბეს: „გოპარ იბრაჰიმ-
ყიზი ერთი ჩვეულებრივი, სოფელი ქა-
ლია. იგი იმდენად მიამბი ბუნების ადამი-
ანი ვახლავთ, რომ ძნელია წარმოიდგინო
მის მიერ ჩადენილი პატარა დანაშაული,
არათუ ასეთი შემზარავი მკვლელობა და
მისი განზრახვა. ჩვენ დარწმუნებულები ვართ
მის უდანაშაულობაში. ეს საქმის მასალები-
დანაც ნათლად ჩანს. გამოძიება, ისევე, როგორც
სასამართლო, რატომღაც მხოლოდ პეტიტივის
მიერ მიცემულ ჩვენებას დაეყრდნო. ჩვენ
აუცილებლად გავასაჩივრებთ განაჩენს საკასა-
ციო წესით და საქმის დამატებით გამოძიე-
ბაში დაბრუნებას მოვითხოვთ“.



სამართლო
მინისტროს
ბიზნეს-მედიის
სამსახური



ვინ ჩაუღურჯა თვადი სტეფანეს?

ბაბუა ყველაზე ძვირფასი ადამიანია მომღერლის ცხოვრებაში. დედის გარდაცვალებიდან 3 წლის შემდეგ, სტეფანე კიდევ ერთ უახლოეს ადამიანს ეთხოვება... ეს ინტერვიუ სტეფანესთან, მისი ბაბუს გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავენერე და — თითქოს წინათგრძნობა მქონდა, რომელიც მისთვის ძვირფასი ადამიანის ხშირი ხსენებით გამოიხატა.

პირობას, ფაღს ვერავის ვაპატიებ.
— ბედისწერის თუ გვერა?
— ღმერთის მჯერა ძალიან და ამიტომ, ცრუმორწმუნე არა ვარ.
— ყველაზე მეტად რისი გეშინია?
— ბანალურია, მაგრამ — ასლობლების სიკვდილის. სხვა არაფრის. ყველაზე ძვირფასი, ვინც ამ ცხოვრებაში დაკარგე, დღეაჩემია. საშინელ ღებრესიაში ვიყავი. ამის შემდეგ ძალიან შევიცვალე. ზოთერად გათამაბებული ბავშვი, რომლის ყველა კაპრიზი უნდა ასრულებულიყო, ახლა გამაღიზიანებელ მომენტებზეც კი სუჭავს თვალს, რომ გული არავის ატკინოს... იცი, რატომ ვარ ხშირად მარტო? — იმიტომ, რომ ამას სხვები არ ითვალისწინებენ: შეიძლება, რაღაც ისეთი გითხრან, რომ გული გატკინონ.

მეღვა თაგბერიძე

— ბაბუაზე ჭკუა მეკეტება. იგი ჩემთვის ადამიანის იდეალია. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ბაბუსნაირ ადამიანს შეორეს არ ვიცნობ და თუ ჩემში რაიმე დადებითი არსებობს, ეს მხოლოდ ამ კაცის დამსახურებაა. ბაბუაჩემი ყველაფერში ბოლომდე მიგებს. იგი ძალიან განათლებული და თანამედროვე კაცია. მე რომ მისი მეთხედი დადებითი თვისება მქონდეს, არაჩვეულებრივი ადამიანი ვიქნებოდი და ყველა იამაყებდა ჩემით...

— ბაბუა არ ამაცობს შენით?

— როგორ არა? როგორც ამბობს, ხასიათით ვგავარ. ჩემი წარმატებაც უხარია.

— შენ თვითონ, რა მოგწონს შენში და რა — არა?

— ბევრი უარყოფითი თვისება მაქვს, მაგრამ მაინც დადებითი სჭარბობს.

— კონკრეტულად?

— ძალიან ერთგული ვარ, არავის ვღალატობ. არ მიყვარს ტყუილი. თუკი რაიმე მოვიტყუე, მხოლოდ ხუმრობით. არ ვარ ბოროტი და არ მიყვარს ბოროტი ადამიანები. რაც შეეხება უარყოფით მხარეებს: მძიმე ასატანი ვარ, რაღაც ჩემეული კაპრიზები მაქვს. შეიძლება, ეს ჭიკა ისე არ იდოს, როგორც მე მინდა და ამაზე ნერვები მომეშალოს.

— ე.ი. ფეთქებადი ხასიათი გაქვს?

— ძალიან, ასეთ დროს შეიძლება ყვე-

ლაფერი დავამტვრიო. იცი, კიდევ რა მაღიზიანებს? — როცა იციან, რომ მე რაღაც არ მიყვარს და ამას მაინც აკეთებენ. ამის ატანა არ შემიძლია.

— გარშემო ბევრი სანდო ადამიანი გყავს?

— არა.

— თითებზე ჩამოსათვლელი?

— გაცილებით ნაკლები.

— შემორჩენ თუ არა პოპულარულ სტეფანეს ბავშვობის მეგობრები?

— ვგიჟდები ბავშვობის მეგობრებზე. მგონია, რომ ბავშვობის მეგობარი არასოდეს ვიღალატებს, თუნდაც ცუდი ადამიანი იყოს.

— სოციალბესთან შეჯახება ხშირად გინევს?

— ხშირად. მე ძალიან ბუნებრივი ვარ და არ მიყვარს, როდესაც ჩემთან თამაშობენ.

— დაგიკარგავს ამის გამო ვინმე?

— კი, ნელ-ნელა ჩამოვშორდი.

— ეს მეგობრებსაც ეხება?

— თუნდაც. ლალატს, ორ-

თამუნა ამონაშვილი და სტეფანე მღებრიშვილი





ლელა წურწუშია და სტეფანე

— ბევრი, იმიტომ, რომ კვირაში შვიდი პარასკევი მაქვს. დაუშვით, რაღაც ძალიან მინდა, უცებ მივხვდები, რომ — არა, ესეც აღარ მსურს. მაგალითად, სადმე დავრეკავ, ვინმეს ვეტყვი, რომ ხუთ წუთში მანდ ვიქნები, უცებ რაღაცას მოვიმიზეზებ და აღარ მივდივარ — იმიტომ, რომ აღარ მინდა.

— ეი. ცხოვრების წესი უფრო ქაოსური გაქვს, ვიდრე მშვიდი?

— კი, მე ასე ვფიქრობ. სხვისთვის შეიძლება სულაც არ იყოს ქაოსური. ვიღვიძებ დღის ოთხ საათზე. წინასწარ მეც არ ვიცი ჩემი გეგმების შესახებ. უცებ შეიძლება დამირეკონ და საქმეზე გავიქცე მოკლედ, სულ აქეთ-იქით დავრბივარ.

— შინაგანადაც ქაოსური ხარ?

— კი. დაბნეული ვარ, ემოციური, არაპუნქტუალური, რაღაცას თავს ვერ ვაბამ.

— თვითკრიტიკულიც ყოფილხარ.

— ძალიან. ამავდროულად, ვარ პრეტენზიული — როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების მიმართ.

— აუხდენელი ოცნება თუ გაქვს?

— იმდენად რეალისტი ვარ, რომ არასოდეს ვოცნებობ იმაზე, რაც არ მოხდება. მაგალითად, არასოდეს ვოცნებობ „ოსკარის“ მიღებაზე და ასეთ არარეალურ რაღაცებზე.

— ამ წუთში რაზე ოცნებობ?

— ახლა ძალიან მეძინება. დასვენება მჭირდება. ამის საშუალება არ მაქვს. ბოლო ორი წლის მანძილზე, სადაც კი წავედი დასასვენებლად, ვერ დავისვენე. მეგობრებთან ერთად დისკოთეკებზე დილაძდე „ვაჯაზებდით“. თბილისში დაბრუნებული, ისევ

დასვენებაზე ვოცნებობდი.

— ფულს დაუნანებლად რაში ხარჯავ?

— ფული არაფრისთვის მენანება, ამიტომ, სხვებივით ვერასოდეს ვაგროვებ. თუ მაქვს 1.000 დოლარი, ვხარჯავ 1.000 დოლარს. თუ მაქვს 10 ლარი, 10 ლარს ვხარჯავ.

— რამდენია შენი ყოველთვიური შემოსავალი?

— 1.000 დოლარზე მეტი.

— გაკმაყოფილებს?

— არა, არ მყოფნის. ბოლოს, ისევ ჩემს დებთან მივდივარ და ვუბნები, რომ ფული მჭირდება.

— როგორ იმოქმედებდა სტეფანეზე ბევრი ფული?

— შეიძლება ფულმა გამაღიროს? — არა, არა მგონია. ვინმეს აუცილებლად დავეხმარებოდი.

— საჩუქრებს ხშირად უძღვნი საყვარელ ადამიანებს?

— ძალიან. მე რომ მჩუქნიან, ესეც მსამოვნებს.

— გყავს თუ არა დიზაინერი?

— ტანსაცმელს ხასიათის შესაბამისად ვარჩევ. მკვეთრი ფერები არ მიყვარს. ამ პრობლემის მოგვარებაში ავთო ცეკვიტინიძე მენხმარება.

— კრიტიკას როგორ ხედები?

— უსამართლო კრიტიკას ვერ ვიტან. ნერვები მემლება და კიდევ გამოვხატავ. სამართლიან შენიშვნებს მშვიდად ვიღებ, თუმცა გაანია, ვინ მაკრიტიკებს.

— შეცვალა თუ არა სტეფანე პოპულარობამ?

— არანაირად. პოპულარობას ძირითადად, მაშინ ვგრძნობ, როდესაც ქუჩაში მცნობენ, ავტოგრაფს მოხოვენ. სხვა მხრივ, ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ.

— ნილაბი არასოდეს გინატრია?

— კი, მინდა ხოლმე, რომ ვერ მიცნონ. ჩემს გემოზე ბაზრობაზეც ვერ წავსლავარ.

— პოპულარობა ხომ არ გაკომპლექსებს?

— გარკვეულწილად, კი.

— სერიოზულად თუ გინახებია მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდით?

— რამდენჯერაც გინდა.

— ბოლოს როდის იჩხუბე?

— ბოლო კლიბის გადაღებამდე 3 დღით ადრე. თვალიც კი მქონდა ჩალურჯებული.

— იცნობდი?

— არ ვიცნობდი. არც მათ ვუცნივარ... მე ავლბარში გავიზარდე და დელიკოს ბიჭი არასდროს ვყოფილვარ.

— ეი. ქუჩის სკოლა გავლილი გაქვს?

— ბავშვობის მეგობრებიც ძირითადად, „ძველი ბიჭები“ მყავს.

— რა მოგცა ქუჩამ?

— ურთიერთობა არავისთან შემეშლება, — ალბათ ქუჩამ გარკვეულწილად სწორედ ეს მოძცა.

— გოგონები შენზე ჭკუას კარგავენ. თუ თავყვანისმცემელი გოგონა შეხვედრას გთხოვს, დათანხმდები?

— არ არსებობს!.. — პირადი და შემოქმედებითი ცხოვრების ერთმანეთში არევა არ მსურს.

— ისე, როგორი გოგონები მოგწონს?

— შეიძლება ქერაც მომეწონოს, მაგრამ უპირატესობას შავკერემან გოგონებს ვანიჭებ. ზომიერი მკერდით, ლამაზი ფეხებით... ერთი სიტყვით, ყველაფერს ყურადღებას ვაქცევ.

— ოჯახის შექმნაზე თუ ფიქრობ?

— ვფიქრობ და ვოცნებობ კიდევ, რომ ისეთი ადამიანი შემხვდეს, რომელთანაც ბედნიერი ვიქნები.

— რა თვისებებს აფასებ ქალში?

— ქალურობას და ცოტა სიცვივს. როდესაც გადამტვრულ ყურადღებას მაქცევს, ინტერესი მეკარგება — ისევე, როგორც მამაკაცების უმრავლესობას. ამასთან, ვერ არ შემხვედრია ქალი, რომელიც უარს იტყვის ჩემი ყველა „პოზონდრიის“ ასრულებაზე. ამით შეიძლება დიდ საიდუმლოებას ვამჟღავნებდე, მაგრამ ეს მართლაც ასეა. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ თუ ვინმე ეცდება, თავი ისეთად მომაჩვენოს, სინამდვილეში კი არაფერი ექნება საერთო, ჩემთვის სასურველი ქალის იდეალთან, ამას აუცილებლად მივხვდები.

— პირველი კოცნა თუ გახსოვს?

— კი. 15 წლის ვიყავი. სასიამოვნო იყო, იმიტომ, რომ ის გოგონა მიყვარდა. ან იქნებ მაშინ ვფიქრობდი, რომ მიყვარდა.

— ეი. გატაცება იყო?

— როდესაც ეს გრძობა მიდის და მოდის შემდეგი, — ყოველთვის ფიქრობ, რომ წინა, გატაცება იყო. სინამდვილეში, შეიძლება ისიც სიყვარული იყო, თავისებური სიყვარული.

— ბოლო კონცა ამ ინტერვიუმდე რამდენი ხნით ადრე მოასწარი?

— რამდენიმე დღის წინ.

— ისიც ისეთივე სასიამოვნო იყო, როგორც პირველი?

— არა, ამ შემთხვევაში, ჩვენ სიყვარული კი არა, სექსი გვაკავშირებს.

— სექსუალური ქალია?

— სექსუალურიც არის და მიგებს კიდევ, სულიერ კომფორტს მიქმნის.

— მაშინ, რაღა დარჩა სიყვარულამდე?

— სწორედ სიყვარული. შეიძლება გიყვარდეს ძალიან ცუდი ადამიანი, მასთან არც სექსუალური ურთიერთობა გქონდეს, მაგრამ თავდავიწყებით გიყვარდეს...

— თუ ყოფილა შემთხვევა, როცა არ გემღერებოდა და მაინც მღეროდი?

— როცა ბევრი ფული გადაუხდიათ.

— მაინც რა თანხაზეა საუბარი?

— მე ერთ-ერთი ძვირად ღირებული მომღერალი ვარ, თუმცა თანხის დაკონკრეტება არ შემიძლია.

— ე.ი. გემღერება თუ არა, ბევრ ფულზე უარს ვერ ამბობ?

— ძალიან ბევრ ფულზე უარს არავინ ამბობს, თუ ეს დამამტკირებელი არ არის. მე კი დამამტკირებელს არაფერს ვაკეთებ.

— ვისთვის მღერის სტეფანე?

— პირველ რიგში ჩემთვის, — ეს ჩემი სულიერი მოთხოვნილებაა, შეძევ, რა თქმა უნდა, ხალხისთვის.

— რომელ ქვეყანაში ისურვათო ხუჯამესთან ერთად

ვებდი ხშირად კონცერტის გამართვას, ამის შესაძლებლობა რომ გქონოდა?

— ლონდონში. იქ ყველაზე დახვეწილი და პრეტენზიული პუბლიკაა. იქ თუ მიგიღეს, ე.ი. შენ მისაღები პიროვნება ხარ.

— ე.ი. ქართულმა პუბლიკამ რომ მიგიღო, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს?

— როგორ არა, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის, რადგან ქართველებიც პრეტენზიულები არიან. თინეიჯერებს ბევრი რამ ესმითო, — ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ საქართველოში იმას არასოდეს დაუშვებენ, რაც რუსეთში ხდება.

— რა მხრივ?

— ძალიან უნიჭოები არიან, ჩვენთან შედარებით.

— ასეთი თამამი განცხადების გაკეთების არ გეშინია?

— არა, მე არაფრის მეშინია.

— მორიგი დუეტის ჩანერას რამდენ ხანში აპირებ?

— ზუსტად ვერ გეტყვი, მაგრამ წელს უეჭველად ჩავეწერ — ამჯერად, მაია დარსმელიძესთან ერთად.

— შენი სიმღერებისთვის, როგორც ვიცის, ტექსტს თვითონვე წერ. შემთხვევით, საკუთარი ლექსებიც ხომ არ გაქვს?

— არა, პოეზია იმდენად მიყვარს, რომ ვერ ვებედავ.

— სტეფანე, დღეს ცოცხალ შესრულებაზე ბევრს საუბრობენ. შენ ხომ არ აპირებ ჯგუფის შექმნას?

— მე მყავს მეგობრები, რომლებთან ერთადაც კონცერტებზე ხშირად გამოვდივარ. მართალია, ეს ჩემი პირადი ჯგუფი არ არის, მაგრამ... ისე, მგონია, მე სულაც არ ვარ ის ადამიანი, რომელსაც ასეთი კითხვით უნდა მიმართო.

— რატომ?

— ეს კითხვა იმ უნიჭოებს უნდა დაუსვა, რომლებიც ფონოგრამასაც ძლივს წერენ.

— რაც შეეხება ფონოგრამას, რას იტყვი მომღერლებზე, რომლებიც ფონოგრამით ფონს ადვილად გადიან და ხშირ შემთხვევაში, მსმენელსაც ატყუებენ? გამართლებულია მათი ქმედება? თუნდაც — შენი?

— ჰო, მე შევდივარ ამ მომღერლების სიაში. თუმცა, გაზაფხულზე ცოცხალი შესრულებით ვაპირებ კონცერტის ჩატარებას. რაც შეეხება ქმედების გამართლებას — შეუძლებელია, ყველაფერი თავიდანვე სრულყოფილი იყოს. რაღაც ეტაპის გავლაა აუცილებელი. მეც გარკვეული ეტაპის გავლის მერე მივედი იმ დასკვნამდე, რომ ვიშუშო ცოცხალ ჯგუფთან ერთად. ასე რომ, ყველაფერი დარეგულირდება.

— ხომ არ აპირებ სიმღერის სტილის შეცვლას?

— კი, ნელ-ნელა ვაკლებ ტემპს.

— რატომ, აჩქარებული ტემპი უკვე გალიზიანებს?

— იცი, მიუხედავად იმისა, რომ ის მე შემოვიტანე, ახლა ყველა ამ აჩქარებულ ტემპზეა გადასული და უკვე აღარ მსიამოვნებს. ასე რომ, ახლის ინიციატორიც მე ვიქნები ალბათ.

— რა არ მოგწონს ქართულ ესტრადაში?

— ბევრი წვალბოს, შრომობს. ზოგს გამოსდის, ზოგს — არა. შრომა ყოველთვის დასაფასებელია. საქართველოში ძალიან ბევრი ნიჭიერი ადამიანია, თუმცა რაოდენ ბევრიც არ უნდა ვილაპარაკოთ, დასავლეთის ღონეს ხუთი წლით მაინც ჩამოვრჩებით.

— როგორც ინტერვიუდან ჩამს, საკუთარ შესაძლებლობებს ამონწურულად არ თვლი?

— არანაირად. ეს მხოლოდ 10%-ია იმისა, რაც რეალურად შემიძლია.

— თუ წარმოგიდგენია თავი სცენის, სიმღერის, პოპულარობის გარეშე?

— გავგიჟდები, რომ ვაკეთებდე და არ გამოძლიოდე, არ იღებდეს ხალხი...

— რატომ, უბრალოდ შეეჩვიე?

— ჰო, ძალიან შეეჩვიე. არსებობს ტერმინი — „სცენის მტკერი“. თუ ეს მტკერი შეისრუტე, საშუალოდ ხარ დაავადებული. პოპულარობის, სცენის, სიმღერის გარეშე გავვიყვები.





30-40 წლის უხედავ ადამიანი აღარ დაბერდება ანუ რას გვიჩადის დნმ-ის გაშიფვრა?!

რა არის გენი, რა საიდუმლოების მატარებელია ის და რამდენად არის მეცნიერებისგან შესწავლილი? რას ნიშნავს გენური ინჟინერია, ან რამდენად სასურველია მიერთება გენური ინჟინერიის შედეგად დამზადებული პროდუქტები? რას ნიშნავს კლონირება? რა შესაძლებლობები აქვს საქართველოში არსებულ დნმ-ის ლაბორატორიას? როგორ ხდება მამობის დადგენა, ან შეიძლება თუ არა, ერთი თმის ღერის ბოლქვით პროვენების დამწავლესთან იდენტიფიცირება? ამ კითხვებს ერთმანეთთან აერთიანებს მეცნიერება, რომელიც დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას (დნმ) სწავლობს. დნმ-ის ლაბორატორია დიღომში, ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტშია განთავსებული და გენების მატერიალურ საფუძველს — ნუკლეინის მჟავებს იკვლევს. ადამიანს დაახლოებით 30000 გენი აქვს. 1984 წელს ახალგაზრდა ინგლისელმა მეცნიერმა ალექს ვეფერიზმა აღმოაჩინა, რომ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ენ. მინისატელიტური დნმ-ის მოლეკულების აღნაგობით. თითოეულ ადამიანს, თითების ანაბეჭდის მსგავსად, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მინისატელიტების „ანაბეჭდი“ გამოარჩევს. დღეს ამ მეთოდს უფრო სწორად დნმ-ტესტს უწოდებენ. პირველი შემოწმება ამ მეთოდმა იმავე წელს, ინგლისის ერთ-ერთ პროვინციაში გაიარა. თუ როგორ, ამის შესახებ გვიამბობს ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის ნუკლეინის მჟავების ლაბორატორიის გამგე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თინაზიზ ზამრიაძე.

ნანა ქიბიძაშვილი


— ინგლისის ერთ-ერთ პროვინციაში, დროის ექვსი თვის შუალედით, ორი მსგავსი მკვლელობა მოხდა. იპოვეს ორი ახალგაზრდა გოგონას გვამი, გაუპატიურებული და დამხრჩვალნი. პოლიციამ ამ დანაშაულის გასახსნელად დახმარებისათვის ვეფერიზს მიმართა. დნმ-ტესტი ჩაუტარდა ახლომხლო მცხოვრებ 5000 მამაკაცს. ერთმანეთს შეადარეს გოგონების გვამებში ნაპოვნი მამაკაცის სპერმის დნმ-ი და ამ 5000 მამაკაცის სისხლიდან გამოყოფილი დნმ-ი. დადგინდა, რომ დანაშაული ორივე შემთხვევაში ერთ-ერთი პურის საცხობის ახალგაზრდა თანამშრომელმა ჩაიდინა, რომელსაც მოგვიანებით, სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსჯა. მაგრამ ვეფერიზის მეთოდით

აპოლონ ჯინჭარაძე



დი შემოფარგლული იყო მხოლოდ ადამიანებით. მოგვიანებით, 1987 წელს ჩვენი ლაბორატორიის თანამშრომელმა აპოლონ ჯინჭარაძემ, აღმოაჩინა ახალი „ზონდი“, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა გენომური დაქტილოსკოპიის მეთოდის გამოყენება არა მარტო ადამიანების მიმართ, არამედ მცენარეების, ცხოველებისა და მიკროორგანიზმების ცალკეული შტამების (ერთი სახის მიკროორგანიზმების სუფთა კულტურა. — ავტ.) იდენტიფიკაციისათვის. ამ აღმოჩენისთვის მას რუსეთის სახელმწიფო პრემია მიენიჭა (მაშინ იქ მუშაობდა). ის ძალიან დიდი მეცნიერი იყო და სამწუხაროა, რომ 28 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა. მის მიერ აღმოჩენილი მეთოდით დაინტერესდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო ბიუროს მაშინდელი ხელმძღვანელები, რომლებმაც ზუსტად შეაფასეს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ახალ აღმოჩენას კრიმინალისტიკისთვის. მაგრამ მეთოდი საკმაოდ ძვირად ღირებული იყო, მოითხოვდა რადიოაქტიური ფოსფორის შემცველი ნივთიერების განუწყვეტლივ შემოტანას, რადგან რადიოაქტიური ფოსფორი სწრაფად იშლება. ამის განხორციელება 90-იან წლებში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. დღეს ამ რადიოაქტიურ იზოტოპს აღარ იყენებენ. სამაგიეროდ, საჭიროა თანამედროვე ხელსაწყო — „დნმ-ამპლიფიკატორი“, რომელიც გერმანიის ერთ-ერთმა სამთავრობო უწყებამ ჩვენს ლაბორატორიას უსასყიდლოდ გადმოსცა.

— მაინც რისი დადგენა შეიძლება დნმ-ტესტის მეშვეობით?



თენგიზ ბერიძე ლაბორატორიის თანამშრომელთან ერთად, 20 წლის წინანდელი „ღმ-ამპლიფიკატორთან“ მუშაობისას

— დავიწყოთ კრიმინალისტიკით. თუ ბოროტმოქმედმა დანაშაულის ადგილზე დატოვა სისხლის წვეთი, სპერმის კვალი, ნერწყვი, სივარეტის ნაძვკავი, თმის ერთი ბოლქვი, ამ ბოროტმოქმედის იდენტიფიცირება ძნელი არ არის — რადგან ის დანაშაულის ადგილზე ტოვებს საკუთარ უჯრედებს, უჯრედიდან ხდება ღმ-ის გამოყოფა, შემდეგ მისი გამრავლება სპეციალურ ხელსაწყოზე და შედარება ეჭვმიტანილების ღმ-ის მოლეკულებთან. მეორე ასპექტი არის სადავო მამობის დადგენა. დღეს ეს ტრიალიური ამოცანაა. ხდება ბავშვისა და შესაძლო მამის სისხლიდან ღმ-ის გამოყოფა, შედარება და დასკვნის გაკეთება. მესამე ასპექტი არის გვამის ან ჩონჩხის იდენტიფიცირება. ეს შედარებით რთული ამოცანაა. თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს, რადგან ღმ-ის მოლეკულები, დროის განმავლობაში განიცდიან დეგრადაციას. საერთოდ, ღმ-ი ძვალში დაახლოებით 100000 წელი ინახება, მაგრამ რაც უფრო ძველია ნიმუში, მით უფრო რთულია ანალიზის გაკეთება.

— იქნებ გაიხსენოთ მაგალითები ცნობილი ადამიანების ცხოვრებიდან, რომელიც სწორედ ღმ-ტესტს უკავშირდება?

— ყველამ იცის, რომ ბოლშევიკებმა 1918 წელს დახვრიტეს ნიკოლოზ მეორე, მისი მეუღლე და შვილები. გვაგები ვადა მალეს ეკატერინბურგის მახლობლად. 80-იანი წლების ბოლოს, ეკატერინბურგის ერთ-ერთ მადაროში აღმოაჩინეს ადამიანის ჩონჩხები. ვარაუდობდნენ, რომ ისინი მეფის ოჯახს ეკუთვნოდა და საჭირო იყო მათი იდენტიფიცირება. ნაპოვნი ძვლებიდან გამოყვეს ღმ-ის მოლეკულები, მაგრამ რასთან შედარებინათ

ისინი? საბედნიეროდ, ნიკოლოზ მეორე, როდესაც ის ჯერ კიდევ უფლისწული იყო, სტუმრებია იაპონიას, სადაც ერთ-ერთ სამურაის დანით დაუჭრია. დოლბანდი, რომელზეც ნიკოლოზის სისხლის კვალა შემორჩენილი, დღემდე ინახება იაპონიის ერთ-ერთ მუზეუმში. ამ დოლბანდიდან აიღეს გამხმარი სისხლის ნიმუში, გამოყვეს ღმ-ი და შედარეს ეკატერინბურგის მახლობლად აღმოჩენილი ჩონჩხებიდან გამოყოფილ ღმ-ს. ასე მოხდა ნიკოლოზ მეორის ჩონჩხის იდენტიფიცირება. მიღებული შედეგის საფუძველზე, ეკატერინბურგის მახლობლად აღმოჩენილი ნაშთები, როგორც ნიკოლოზ მეორისა და მისი ოჯახის წევრების აღმოჩნდა. ისინი რამდენიმე წლის წინ პატივით დაკრძალეს სანკტ-პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

მეორე მაგალითი — უცნობი ჯარისკაცის საფლავი არლინგტონის სასაფლაოზე, აშშ-ში. ამ ჯარისკაცის ძვლებიდან გამოყოფილი ღმ-ის საფუძველზე ცხედარი იქნა იდენტიფიცირებული. მისი ნეშტი გადასვენეს და მშობლებს ის გვერდით დაკრძალეს.

ავიღოთ განმარტებული სასიყვარულო კავშირი პრეზიდენტ კლინტონსა და მონიკა ლევენსკის შორის. პრეზიდენტი თავიდან უარყოფდა მას, მაგრამ, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ მონიკას კაბაზე მისი სპერმის კვალი იყო შემორჩენილი, მან ეს კავშირი აღიარა, რადგან ღმ-ტესტი ამას ადვილად დაადგენდა.

ამერიკის მესამე პრეზიდენტს — თომას ჯეფერსონს ჰყავდა უკანონო შვილები შაკანინი ქალისაგან. მათმა მემკვიდრეებმა ღმ-ტესტის საფუძველზე შეძლეს დაემტკიცებინათ, რომ მართლაც ჯეფერსონის შთამომავლები არიან.

— როგორი სიტუაციაა საქართველოში? იცის თუ არა ხალხმა, რა არის ღმ-ტესტი? ან კიდევ — რამდენად ხშირად დამდგარა თქვენ წინაშე სადავო მამობის პრობლემა?

— შეიძლება ითქვას, რომ ღმ-ტესტის პოპულარიზაციის საქმეში დიდი როლი სატელევიზიო სერიალებმა შეასრულა. როგორც მითხრეს, ამ სერიალებში ხშირად არის სიტუაციები, როდესაც ბავშვის მამა არ აღიარებს მამობას და საჭირო ხდება ამას დამტკიცება ღმ-ტესტის მეშვეობით.

ჩვენს ლაბორატორიაში ხშირად კეთდება სადავო მამობის ანალიზი და ეს პროცედურა ჩვენთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. გავიხსენებ ერთ შემთხვევას: 80-იანი წლების ბოლოს დაიბადა ბავშვი. მამას ახარეს ბიჭის დაბადება, მაგრამ შემდგომ დედას გოგონა მიუყვანეს. გაჩნდა ეჭვი — ხომ არ მოხდა ბავშვის შეცვლა შემთხვევით ან წინასწარი განზრახვით. ამ ოჯახის წევრებს ჩავუტარეთ ტესტი და დადასტურდა, რომ გოგონა ნამდვილად ამ წყვილის შვილი იყო. როგორც ჩანს, ბებიაქალი შემცდარა. ბავშვი ამჟამად 13 წლისაა და ბედნიერად იზრდება თავის მშობლებთან.

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, საქართველოში, სადავო მამობის დადგენის მიზნით, ყოველწლიურად დაახლოებით 60 სასამართლო პროცესი იმართებოდა: მამაკაცები სხვადასხვა მიზეზის გამო არ აღიარებენ მამობას, თუმცა, როგორც ექსპერტები ამბობენ, მათ მშვენივრად იციან სიმართლე. წინათ, მათთვის თავის დაძვრენის საშუალება ის იყო, რომ ადრინდელი მეთოდები არ იძლეოდა მამობის ზუსტი დადგენის საშუალებას. თუმცა, ზოგ შემთხვევაში შესაძლებელი იყო სისხლის ჯგუფების განსაზღვრის საფუძველზე მამობის გამორიცხვა. დღეს ღმ-ტესტი სადავო მამობაზე ერთმნიშვნელოვან პასუხს იძლევა.

რუსეთში უფრო ხშირად, სხვა ტიპის პრობლემებთან ჰქონდათ საქმე. ქალი ცდილობდა მამობა დაებრალებინა სამხედრო მოსამსახურისთვის, რადგან მათ მაღალი ხელფასი და პენსია ჰქონდათ და ბავშვს შედარებით დიდი ალიმენტის მიღების შესაძლებლობა უჩნდებოდა.

ჩვენ გვქონია შემთხვევები, როდესაც მამას სურდა დარწმუნებულიყო, რომ ბავშვი მას ეკუთვნოდა, რათა შემდგომში მისთვის ნამდვილი მამობა გაეწია. ასეთ დროს მამა ცდილობს, საქმე არ გაახმაუროს და ყველაფერი კონფიდენციალურად ჩატარდეს.

არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ღმ-ტეს-

ტის ჩატარების თაობაზე და მამა თავს არიდებს ანალიზს. მან იცის, დარწმუნებულია, რომ ბავშვი მისია და ანალიზისთვის საჭირო ხარჯის გაწევა არ სურს. ამ დროს სასამართლოს აქვს სრული უფლება, სადავო საქმე დედის სასარგებლოდ გადაწყვიტოს.

როგორც საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, აშშ-ში დნმ-ტესტის ჩატარებას ხშირად მამები მოითხოვენ: მათ ეჭვი აქვთ, რომ ბავშვი სხვა მამაკაცს ეკუთვნის. ყოველი სამიდან ერთი მამაკაცი მართალია, ე.ი. მათი ეჭვი უსაფუძვლო არ არის.

— მამობის დადგენის გარდა, სხვა შეკვეთები თუ გქონიათ, მაგალითად, ნეშტის იდენტიფიცირების დადგენა?

— გვქონდა ერთი ასეთი შემთხვევა. ეს იყო აფხაზეთში დაღუპული მეომრის ნეშტი. ორ ოჯახს ჰქონდა ეჭვი, რომ ნეშტი მათი ოჯახის წევრს ეკუთვნოდა. ჩვენ მეომრის სავარაუდო დედების მოლუკულები გამოვყავით და შემდგომ, გერმანიაში ჩავატარეთ მათი შედარება მეომრის ძვლის ტვინიდან გამოყოფილი დნმ-ის მოლეკულებთან. სიტუაცია გართულებული იყო იმით, რომ ნეშტი 7 წლის განმავლობაში წყლიან გარემოში იმყოფებოდა და დნმ-ის მოლეკულები ნაწილობრივ დაშლილი იყო. მაინც მოხერხდა ნეშტის იდენტიფიცირება და ოჯახმა ცხედარი ძმათა სასაფლაოზე დაკრძალა.

— ხომ არ ჩაგიტარებიათ ტესტი რომელიმე გახმაურებული მკვლელობის გასახსნელად?

— „რუსთაველი მანიაკის“ საქმესთან დაკავშირებით, დახმარებისთვის მოგმართა ტრანსპორტის პროკურატურამ, რომელიც ამ საქმეს იძიებდა. პროკურატურას ერთ-ერთი დაღუპული გოგონას სხეულიდან აღებული ნაცხი ჰქონდა და მოსალოდნელი იყო, რომ ამ ნიმუშში დამ-

ნაშავის სპერმაც იქნებოდა. სამწუხაროდ, დამნაშავეს კვალი ნიმუშში არ აღმოჩნდა და დნმ-ტესტი ამ შემთხვევაში ვერ იქნა გამოყენებული. ალბათ გაინტერესებთ, ხომ არ მიგვიღია მონაწილეობა გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეში. გეტყვი, რომ ჩვენთვის დახმარებისთვის არავის მოუმართავს. ჩემთვის ისიც უცნობია, თუ რა ნიმუშები იქნა ამერიკაში გაგზავნილი. ახლახან მოკლეს დედუ დადინი. ვინ იცის, რამდენი ნიმუში იყო იქ, რაზეც ყურადღება არავის მიუქცევია. არც ამჯერად მოუმართავთ დახმარებისთვის. არადა, დნმ-ტესტს შეუძლია, პასუხი გაგვცეს კითხვაზე — მართლა არის თუ არა მკვლეელი ის, ვისაც მკვლელობაში სდებენ, ან დასდებენ ბრალს. ასეთი ტესტირების მეშვეობით ძალიან ბევრი უდანაშაულო ადამიანი გადაურჩა სასჯელს. აშშ-ში უამრავი საქმე იქნა ხელახლა გადასინჯული. ერთ-ერთ შაკანთან მოქალაქეს საშუალო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. საქმეში ინახებოდა ბიოლოგიური მასალა. დნმ-ტესტის შემოღების შემდეგ, გადამოწმდა ეს საქმე და დადგინდა, რომ პატიმარი უდანაშაულოა. ის გაათავისუფლეს და ნიუ-იორკის შტატმა მას კომპენსაციის სახით რამდენიმე მილიონი დოლარი გადაუხადა.

ჩვენი სამართალდამცავი უწყებების საქმიანობაში, ადრე თუ გვიან, მოხდება ამ ტესტის დანერგვა. სასურველია, ეს რაც

ქვეთ მანი თავისი შვილის — ჩედეკის მიერ 1983 წელს მოკლული, ლინდას სურათით ხელში





შეიძლება მალე მოხდეს, რადგან მეთოდი თვით სამართალდამცავებს გაუიოლებს დამნაშავეს იდენტიფიცირებას. ეს უფრო მაღალ დონეზე აიყვანს ადამიანის უფლებების დაცვასაც, რადგან სამართალდამცავებს აღარ დასჭირდებათ უკანონო ხერხების გამოყენება აღიარების მისაღებად. დნმ-ტესტს მხოლოდ ერთ შემთხვევაში არ შეუძლია ორი ეჭვმიტანილიდან ერთი დამნაშავეს დადგენა, თუკი ეს ეჭვმიტანილები ერთი კვერცხუჯრედიდან განაყოფიერებული ტყუპია.


— რა თანხას უკავშირდება დნმ-ტესტის ჩატარება?

— შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს პირობებში ეს მომსახურება ძვირად ღირებულია, თუმცა, სხვა ქვეყნებთან შედარებით, გაცილებით იაფი ჯდება. დნმ-ტესტის სრული ანალიზი სადავო მამობის შემთხვევაში (დედა, მამა, შვილი) რუსეთში 500-700 დოლარი ღირს, ჩვენს ლაბორატორიაში კი ჯერჯერობით 300 დოლარის ეკვივალენტია ლარებში. ასეთი მაღალი ფასის მიზეზი ის ქიმიური რეაქტივებია, რომელიც ანალიზს ესაჭიროება და ძალიან ძვირი ღირს. თანაც ეს რეაქტივები დროთა განმავლობაში იშლება და ყოველ წელს საჭიროა მათი ხელახალი შექმნა. სიძვირის გამო, რუსეთში ვერ ხერხდება ჩეჩნეთში დაღუპული ჯარისკაცების იდენტიფიცირება. როსტოვში არსებობს თავდაცვის სამინისტროს ლაბორატორია, რომელიც გვამებს რამდენიმე წელია ინახავს სპეციალურ მატარებელ-რეფრიგერატორში. უფულობის გამო, დაიწყეს ჯარისკაცების დამარხვა, თუმცა, შენახული აქვთ ბიოლოგიური მასალა. თუ თანხა გაუჩნდებათ, შესაძლებელი გახდება დნმ-ტესტის საფუძველზე მათი იდენტიფიცირება. ბათუმთან, მტირალის მთაზე დაღუპული სამხედრო

ქალაქ ლისგერის უნივერსიტეტის მეცნიერი 28 წლის ალექ ჯეფრიში, რომლის მიერ შემუშავებული მეთოდის წყალობით, 1987 წელს გაიხსნა ინგლისის ერთ-ერთ სოფელში მომხდარი მკვლელობის საქმე

17 წლის მკვლეელი, ნევილ ჩედეკი, რომლის მხილება დნმ-ტესტის საშუალებით მოხდა





თენგიზ ბერიძე

თვითმფრინავის ზოგიერთი მგზავრის იდენტიფიცირებაც დნმ-ტესტით განხორციელდა.

— ამბობენ, რომ გენური ინჟინერიის გამოყენებით დამზადებული პროდუქტები ჯანმრთელობისათვის საზიანოა.

— მე არაფერი მაქვს ამ მეთოდით დამზადებული პროდუქტების საწინააღმდეგო. თუმცა, მომხრე ვარ იმისა, რომ ასეთ პროდუქტებზე იყოს წარწერა, სადაც მითითებული იქნება — დამზადების მეთოდი. გენური ინჟინერიით გამოყვანილი პროდუქტების წინააღმდეგ უფრო დიდი ანტირეკლამა მიდის, ვიდრე იმ შხამქიმიკატების წინააღმდეგ, რომელსაც ბოსტნეულის, ხილისა და სხვა მცენარეების შესაწამლად იყენებენ, — არადა, ისინი გაცილებით საზიანოა ჯანმრთელობისათვის. ავიღოთ ღვინო, რომელიც ყურძნისგან მზადდება. ვენახი თუ არ შეიწამლა, გლეხი მოსავალს ვერ მიიღებს. შაბიამანი კი, რომელსაც შესაწამლ საშუალებად იყენებენ, ავთვისებიანი სიმსივნის გამომწვევია. რატომ უნდა იყოს საზოგადოება იმის წინააღმდეგ, რომ გამოიყენოთ გენური ინჟინერიის მეთოდი და იზაბელას გენი (რომელსაც შეწამულა არ სჭირდება) გადავიტანოთ საფერავში? გენური ინჟინერიის საწინააღმდეგო აზრის ჩამოყალიბება, რაც, სამწუხაროდ, მთელ მსოფლიოში შეინიშნება, იმის შედეგია, რომ ამ მეთოდის რეალური არსის შესახებ საზოგადოებას მწირი ინფორმაცია აქვს.

— ინფორმაციის ეს ნაკლებობა იმით ხომ არ არის განპირობებული, რომ დნმ-თან დაკავშირებული ექსპერიმენტები, ძირითადად, დახურულ და გასაიდუმლოებულ ლაბორატორიებში მიმდინარეობს?

— გასაიდუმლოებულ ლაბორატორიებში, ალბათ გასამხედროებულ ლაბორატორიებს გულისხმობთ. იქ სულ სხვა მიმართულების სამუშაო ტარდება. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ იქაც

იყენებდნენ დნმ-ტესტის მეთოდს.

— არა მხოლოდ გასამხედროებულ ლაბორატორიებში. რამდენადაც ვიცი, კლონირების მეთოდი, რომელიც მთლიანად დნმ-ტესტის პრინციპზეა აგებული, სამედიცინო პროფილის ჩვეულებრივ სამეცნიერო ლაბორატორიებში იხვეწებოდა.

— კლონირების მეთოდი აკრძალულია განვითარებულ ქვეყნებში. პირველად ეს მეთოდი გამოიყენეს ინგლისში, სადაც მოახდინეს ცხვრის კლონირება. ამის შემდეგ აიკრძალა. კლონირება ნიშნავს ერთი უჯრედიდან ზუსტად ისეთი ცოცხალი ორგანიზმის შექმნას, რომელიც იდენტური იქნება იმ ნიმუშისა, რასაც უჯრედი ეკუთვნოდა. მიუხედავად აკრძალვისა, ადამიანები მაინც ფიქრობენ კლონირებისა და მისი შესაძლებლობების შესახებ. დიდი ხანი არ არის, რაც ჩემთან მოვიდა ერთი რუსი ქალბატონი და მითხრა, რომ სამი თვის წინ რუსეთში მოუკლეს შვილი. ის მზად იყო, გაეყიდა ყველაფერი, გადაეხადა ნებ-ისმიერი თანხა, სანაცვლოდ კი, მოეხდინა შვილის კლონირება. თეორიულად, ამისთვის საჭირო იყო, შვილის უჯრედი მოთავსებულიყო ქალის კვერცხუჯრედში და იქ განეცადა ინკუბაცია, მაგრამ სამი თვის წინ გარდაცვლილ ადამიანში, მოგეხსენებათ არც ერთი ცოცხალი უჯრედი არ შეიძლება იყოს... იყო ასეთი შემთხვევა: ქალს უკვდებოდა მამა, რომელიც ძალიან უყვარდა. მასაც ანალოგიური სურვილი გაუჩნდა — თავის კვერცხუჯრედში მამის რომელიმე ცოცხალი უჯრედის მოთავსება უნდოდა. გამოდიოდა, რომ ქალი გააჩენდა საკუთარ მამას... კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ეს მეთოდი დღესდღეობით აკრძალულია და მასზე მსჯელობა მხოლოდ თეორიულად შეიძლება.

— თეორიული მსჯელობის დროსაც კი, ძალიან ბევრი უხერხულობა იქმნება. რელიგიის თვალსაზრისით, შეიძლება მსჯელობაც კი მიუღებელი იყოს.

— გეთანხმებით, რომ ბევრისთვის მიუღებელია კლონირების მეთოდი, მათ შორის — რელიგიის მამებისთვისაც. იმ უხერხული მდგომარეობიდან, რაზეც თქვენ ბრძანებთ, მე მგონი, კლინტონმა მშვენიერი გამოსავალი იპოვა: შარშან აშშ-ში დაადგინეს ერთ-ერთი ადამიანის ყველა — 30000-ზე გენის ქიმიური ფორმულა. ეს არის

კაცობრიობის უდიდესი მიღწევა. ამ მოვლენის აღსანიშნავად, პრეზიდენტმა კლინტონმა და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბლერმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. კლინტონის თქმით, „გაიმიფრა ის ენა, რომლითაც ღმერთმა ადამიანი შექმნა...“ — და დასძინა, რომ მომავალში ჩვენს შვილიშვილებს დაავიწყდებათ მრავალი დაავადების არსებობა, რომელიც კაცობრიობას დღეს მძიმე ტვირთად აწევს. მისი აზრით, სიტყვა „კიბო“ მომავალში გამოყენებული იქნება, მხოლოდ როგორც ასტროლოგიური ტერმინი (კიბორჩხალის თანავარსკვლავედი) და ეს დაავადება საშუალოდ გაქრება. რას ეყრდნობოდა კლინტონის ეს განცხადება? ითვლება, რომ ადამიანებს დაახლოებით 5000 დეფექტური გენი აქვთ, რომელიც ხელს უწყობს ამა თუ იმ დაავადების წარმოქმნას. ადამიანის გენების ფორმულის დადგენა ექიმს მიანიშნებს, თუ რა დაავადება შეიძლება გაუჩნდეს ამ კონკრეტულ ადამიანს სიცოცხლის მანძილზე. შესაბამისად, ადამიანს საშუალება ექნება, მთელი ცხოვრების მანძილზე მიაღწეოს თვალი საკუთარ ჯანმრთელობას.

გარდა ამისა, შესაძლებელი იქნება სპეციალური სამედიცინო პრეპარატების შექმნა, რომელიც დეფექტური გენების გასაწივრებად იქნება გამოყენებული. ერთი სიტყვით, მზადდება ნამდვილი რევოლუციური ძვრები მედიცინაში. ცნობილია, რომ ზოგ ადამიანს (მაგალითად, ჩვენს პრეზიდენტს) აბსოლუტურად ჯანსაღი კბილები აქვს და მას მთელი სიცოცხლის მანძილზე სტომატოლოგი არ დასჭირდება. ეს ყველაფერი გარკვეულ გენებთანაა დაკავშირებული. როდესაც ეს გენები გაირკვევა, შეიქმნება სპეციალური პრეპარატები და ადამიანს კარიესი აღარ განუვითარდება. მომავალში შეიძლება სტომატოლოგები თერაპევტებად გადაიქცნენ...

ბევრ დადებითთან ერთად, კაცობრიობას ეს გამოკვლევები მრავალ საფიქრალს შეუქმნის: ეს ის გამოკვლევებია, რომელიც დაბერებასთანაა დაკავშირებული. ადრე თუ გვიან (ფიქრობენ 30-40 წლის განმავლობაში), დადგინდება ის გენები და მექანიზმები, რომელიც დაბერებას იწვევს. თუ ცნობილი გახდება დაბერების მექანიზმი და მასში მონაწილე გენების სტრუქტურა, შესაძლებელი გახდება მათი გათიშვა ან მოდიფიკაცია, ანდა რაიმე სხვა ზეგავლენის მოხდენა. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი შეიძლება უკვდავი გახდეს — წლები მოემატება, მაგრამ უცვლელი დარჩება.

რა დაემართება კაცობრიობას ასეთ შემთხვევაში, როგორ მოიქცევა ადამიანი ასეთ სიტუაციაში? არა მგონია, ვინმემ დღეს ამის განჭვრეტა შეძლოს.

რამდენიმე დღეც და ცხენის წელიწადი აღმოსაგლური კალენდრითაც ძალაში შევა. რა ადგილი უკავია თანამედროვე ყოფაში კეთილშობილ ცხოველს, რომელიც ადამიანს საუკუნეების მანძილზე ემსახურებოდა? რა მდგომარეობაა საცხენოსნო სფეროში ჩვენთან, საქართველოში — ქვეყანაში, რომელიც ოდითგანვე დიდად აფასებდა ცხენის საბრძოლო თუ სპორტულ თვისებებს? ვესაუბრებით „ყოვენი-კლუბის“ (იპოდრომის) გენერალურ დირექტორს, ბატონ ლაშა ჯანიანს.



ნიკო შივარდნაძე

სსენოსნობის პასპორტის სერტიფიკატით გასსვენ

— ცხენოსნობა სპორტის ლამაზი და რთული სახეობაა. ის ქართველებს ისტორიულად მოგვცდამს. თავის დროზე ჩვენში არსებობდა სამი ეროვნული შეჯიბრება: ჭიდაობა, ლელო-ბურთი და ცხენოსნობის სხვადასხვა სახეობა. საცხენოსნო თამაშობები მეომართა გაწვრთნის საუკეთესო საშუალებად ითვლებოდა. ჯერ კიდევ ძველი რომაელები განცვიფრებულები იყვნენ ქართველი მხედრების უზადლო ოსტატობით. ამის დასტური გახლდათ

ის, რომ მათ რომში, „მარსის მოედანზე“ ძეგლი დაუდგეს ფარსმან მეფეს. შუა საუკუნეებში მოღვაწე ბევრ მეცნიერსა თუ მოგზაურს აღწერილი აქვს ქართული ცხენოსნობის სხვადასხვა სახეობა: ცხენბურთი, ისინდი, მარულა, თარჩია, ყაბახი, მკრდაობა, მოჭევა, ჩხა, ბოლითიფრება და ა.შ... ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მსოფლიოს არც ერთ ხალხს არა აქვს ისეთი ლამაზი ეროვნული თამაშობები, როგორც ქართველებს. ჩემი ოცნებაა, ისინი ნახოს მსოფლიომ, როგორც ეს XX საუკუნის დასაწყისში მოხდა: მაშინ გურული მხედრების ტურნეს ამერიკაში გრანდიოზული წარმატება ხვდა წილად. მათ თავიანთი ოსტატობით ასახელებს საქართველო და მოაჯადოეს ამერიკისა და კანადის მოსახლეობა... დღესდღეობით, ძველი ეროვნული ცხენოსნობის სახეობებიდან განსაკუთრებით პოპულარულია: ცხენბურთი, ისინდი და მარულა (დოლი დიდ დისტანციაზე). რაც შეეხება კლასიკურ სახეობებს — ისინი ძალიან მაღალ დონეზეა დაყენებული განვითარებულ ქვეყნებში. დასავლეთის ქვეყნებში პრაქტიკულად, კვირაც არ ჩაივლის ისე, მაღალი რანგის შეჯიბრი რომ არ ჩატარდეს. ჩვენში ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. თუმცა, ისიც მინდა აღვნიშნო,

რომ ბოლო დროს თვალში საცემია გარკვეული პროგრესი, განსაკუთრებით — სამჭიდსა და კონკურში. განმარტებისათვის გეტყვით, რომ სამჭიდი არის ცხენოსნობის ძალზედ რთული სახეობა: მხედრები ერთი და იმავე ცხენით 3 დღის განმავლობაში ეჯიბრებიან ერთმანეთს: პირველ დღეს ცხენის გაწვრთნის უმაღლესი სკოლის ელემენტების გამარტივებული პროგრამის დემონსტრირებაში, მეორე დღეს აბარებენ საველე გამოცდებს, რომელიც მოიცავს საველე გზის ორ მონაკვეთს — სტიპლ-ჩეიზსა და კროსს, მესამე დღეს კი, კონკურში ეჯიბრებიან ერთმანეთს, რაც შემოღობილ მოედანზე წინალობათა გადალახვას ნიშნავს.

— რა მიგაჩნიათ ცხენოსნობის, როგორც სპორტის სახეობის უმთავრეს სიბლად?

— როგორც ცნობილია, კლასიკური ცხენოსნობა ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სპორტის სახეობაა, მის გამორჩეულ მიმზიდველობაზე კი თუნდაც ის მეტყველებს, რომ ოლიმპიადის დახურვისას ყოველთვის იმართება კონკურისტების შეჯიბრება... ყველა განვითარებულ ქვეყანაში ცხენოსნობა უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. ამავე დროს, ეს ყველაზე ძვირად ღირებულ და აზარტულ



ინფორმაციულ-მედიის სექტორი

ეონა დვალის უბის ნიგნაკიანი:

- 1. ლულოვიკო XIV კოჭლი იყო.
- 2. ზღვის ღორები დღეღინები არიან.
- 3. გვირა არასოდეს ყვავის, იგი სპორებით მრავლდება.
- 4. კვიპროსის დროშაზე თავად კუნძული კვიპროსია გამოსახული.



- 5. კიმ ბესინჯერმა ორმოცი წლის ასაკში გააჩინა შვილი.
- 6. ილია ჭავჭავაძის „კაცია აღამიანი?!“ ფრანგულ ენაზე მარი ბროსემ თარგმნა.
- 7. ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ-ოპერა ცხელაზე დიდი ოპერა მთელ მსოფლიოში.
- 8. „ქალს სწორედ ისეთ

დროს უნდა წააგო ხელი, როცა ჭოჭმანს მოჰყვება“, – ამბობდა კონსტანტინე გამსახურდია.

9. რომის წმინდა პეტრეს ტაძარი მსოფლიოში ცხელაზე დიდი ეკლესიაა.

10. თხის, ცხვრის, სასაბურის, კვერნის და ზოგი სხვა ცხოველის ნაზ ბალანს თივითი ეწოდება.

11. ერთხელ საავადმყოფოში მწოლიარე ნიანს დიაგნოზის მეგობრებმა მიაკითხეს და ქვემოდან დაუძახეს. „ამოდიო!“ – ფანჯრიდან გადმოსხმა ნიანსმა მხაკაცებს. „როგორ ამოვიდეთ, კარისკაცი არ გვიშვებს!“ „თქვენც აღეკით და ბოთლი ჩაარტყით თავში!“ „არა გვაქვს ბოთლი!“ „აბა, აქ რას მოდიოდით!“ – გაბრაზდა ნიანსი.

12. „ყველა ვერაუბელი, რომელიც საქართველოში მოხვედრილა, ერთხელ ლაპარაკობს ქართველი ქალიშვილების სრულიად გამორჩეულ მშვენიერებაზე“, – წერდა იმანუელ კანტი.

13. მიქელანჯელო (ასე უფრო მართებულად ბუონროტი, სხვანაირად მიქელანჯელო დი ლოდოვიკო დი ლიონარდო დი ბუონროტი სიმონი – ასე ერქვა დიდ მხატვარს. P.S. მიქელანჯელო ქანდაკების კეთების დროს ქვის ბლოკს ყოველი მხრიდან კი არ ამოშავებდა, არამედ ფიგურას ერთი მხრიდან ამთავრებდა და შემდეგ სხვა მხარეს იწყებდა. მუშაობის ასეთი მანერა გამოიყენებდა მოწაფეების ან თანამემწეთა დახმარებას. ასევე დამხმარეთა გარეშე არის შექმნილი ყველა მისი ფერწერული ტილო.

14. მიშკარბაში სამონადირეო უწყების მალაღობი მონღოლი იყო ქართლ-კახეთის სამეფოში. ეს ტერმინი XVIII საუკუნის ორმოციან წლებში მონადირეთუხუცესის მნიშვნელობით დამკვიდრდა.

15. ვალტორნა მონადირის საყვირის (რქის) დახვეწისა და სრულყოფის საფუძველზე წარმოიშვა.

16. იმერეთის ეპისკოპოსს, გაბრიელ ქიქოძეს, ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ქართული



სახეობადაც ითვლება.

— ცნობილი ქართველი ცხენოსნებიდან ვის დაასახელებდით და დღეს თუ გვაქვს რაიმე საამაყო ამ სფეროში?

– საქართველოში იყვნენ საკმაოდ ცნობილი ცხენოსნები: მიხეილ ტატიშვილი – საბჭოთა კავშირში ჩატარებული შეჯიბრებების მრავალჯერ გამარჯვებული; გვყავდა კარგი სამჭიდლები: ოთარ ნარმანია, ოთარ ჯაფარიძე, ვლადიმერ ტულაევი, რეზო მესტიერიშვილი, აჩიკო მაისაია. ცნობილ მწვრთნელებს შორის კი კუკური მანჯავიძესა და ალექსანდრე დგებუაძეს დავასახელებ. თბილისში იპოდრომი ჯერ კიდევ 1840 წელს დაარსდა და დღემდე მდებარეობდა. ეს ერთ-ერთი უძველესი – რუსეთის იმპერიაში, მოსკოვის შემდეგ მეორე იპოდრომი იყო. 1945 წლის შემდეგ მან ფუნქცია დაკარგა: ომის დროს მის ტერიტორიაზე ნაალაფარი ჯავშან-ტექნიკა ინახებოდა, შემდეგ ტექნიკური მიზეზების გამო, ველარ გაიტანეს და გადაწყვიტეს, საბურთალოზე ახალი იპოდრომის აშენება. 1947 წლიდან აქ უკვე ტარდებოდა საცხენოსნო შეჯიბრებები, 1953 წელი კი, თბილისის

იპოდრომის ოფიციალურად გახსნის წლად ითვლება. რაც შეეხება იპოდრომზე გამართულ ბოლო შეჯიბრებას – ეს იყო შარშან ჩატარებული კავკასიის თასის გათამაშება, კლასიკურ სახეობა – კონკურში. ჩამოსულები იყვნენ აზერბაიჯანელი და სომეხი მხედრები. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა... საერთოდ კი, დღეს, სპორტის ამ სახეობაშიც ისეთივე მდგომარეობაა, როგორც საერთოდ ქვეყანაში, შეიძლება – ცოტა უკეთესი: იპოდრომი მაინც ახერხებს რეგულარულად დოლის ჩატარებას და კლასიკურ სახეობებში შეჯიბრებების მოწყობას. რა თქმა უნდა, ის რაოდენობა კლუბებისა, რომელიც ადრე იყო, აღარ არის, მაგრამ რაც არის, იმით ვახერხებთ ფონს გასვლას.

— როგორ ფიქრობთ, ჩვენთან სპორტის ამ სახეობას პოპულარიზაცია ხომ არ აკლია?

– საქართველოში პოპულარიზაცია მთელ სპორტს აკლია. საერთოდ, ჩვენში ჯანსაღი ცხოვრების წესს სჭირდება პოპულარიზაცია, ამ დროს სივარეტისა და ღვინის რეკლამის მეტს არაფერს ვაკეთებთ: სპორტის რეკლამირებით ნაკლებად არიან დაინტერესებულნი და მისი დაფინანსებითაც თავს არაავინ იწყებენ.

— თქვენ თქვით, რომ ცხენოსნობა სპორტის ძვირად ღირებული სახეობააო. მაინც რა ღირს კარგი ცხენი?

– ეს დამოკიდებულია ცხენის ჯიშზე, მის ფიზიკურ კონდიციაზე, წლოვანებაზე. ყოფილა შემთხვევა, რომ ცხენი 30 მილიონ დოლარადაც კი გაყიდულა. თუმცა, კარგი შედეგი ამ სპორტში მართლ კარგ ცხენზე როდია დამოკიდებული. საჭიროა, უფრო მეტი ადამიანი მის-



ისინდი



ცხენბურთი

დევდეს სპორტის ამ სახეობას. ახლა საქართველოში ცხენოსნობით 100-150 კაცი თუ იქნება სერიოზულად დაკავებული. შედარებისთვის გეტყვი, რომ გერმანიაში, მარტო ერთ დაბაში, ცხრა მაგდენი მხედარია.

— ცხენის ჯიშებზე რას გავტყვი და რამდენ ხანს ცოცხლობს კარგად მოვლილი ცხენი?

— საერთოდ, კულტურული ჯიშის ყველა ცხენი აზიზია. მას სჭირდება რეჟიმული კვება და ტრენინგი ზუსტად დანიშნულ დროს. ცხენი, საშუალოდ, 25 წელიწადს ცოცხლობს, მაგრამ გინესის რეკორდების წიგნში შესული არის ფაშატი, რომელმაც 66 წელი იცოცხლა, თუმცა კი, 35 წლისა დაბრმავდა. როგორც წესი, 20-25 წლის ასაკს მიღწეული ცხენი მუშაობის უნარს კარგავს.

— რა ასაკიდან ხედნიან ცხენს და რა უნდა იცოდეს ადამიანმა ცხენთან ურთიერთობისას?

— წლინახევრის ცხენი უკვე იხედნება; 2, 3, 4 წლისა, სადღე გამოცდას გადის, რის შემდეგაც ზოგს სპორტში ტოვებენ. ცხენთან ურთიერთობის მსურველმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ამ ცხოველს ფრთხილი, მშვიდი მოპყრობა სჭირდება, ის ვერ ეგუება უხეშობას. ცხენოსნობა საკმაოდ ტრავმატული სპორტია: ხშირია მოტეხილობა, ტვინის შერყევის შემთხვევა. ცხენი უმიზეზოდ არ ბრაზდება და შეჯიბრებაზე მომხდარი უსიამოვნება ძირითადად მხედრის შეცდომის გამო ხდება ხოლმე.

— როგორც ცნობილია, დღეს ბევრ შემდეგულ თბილისელს ჰყავს საკუთარი ცხენი. როგორ

მხედრები არიან ისინი?

— კერძო პირებს შორის, რომლებმაც სთვინაც იჯარით გვაქვს გაცემული თავლები, ყველაზე ხშირი კატეგორიის ადამიანები არიან: პარლამენტარიდან დაწყებული, ჩვეულებრივი მოქალაქით დამთავრებული. ცხენებს ძირითადად, ყულარის ცხენსაშენში ყიდულობენ. მათი მხედრობისა კი, რა მოგახსენოთ... თუ ცხენი გყავს, მისთვის დროც უნდა გემეტებოდეს, — ბევრი მათგანი კი ძირითადად, შაბათ-კვირებით — ბავშვებთან, ოჯახთან ერთად განტვირთვის მიზნით აკითხავს ხოლმე ოთხფეხა მეგობარს...

— რამდენად დიდ ხარჯთან არის დაკავშირებული ცხენის შენახვა?

— ცხენის პატრონი დამატებით თანხას უხდის მეჯინიბეს, რომ მისი ცხენი ყოველდღე დატვირთოს — ავარჯიშოს, თანხა მათ მოლაპარაკებაზეა დამოკიდებული. ცხენის სადგომის იჯარა თვეში 60 ლარი ღირს. მოკლედ რომ ვთქვათ, საშუალოდ, ცხენის შენახვა თვეში 100-120 დოლარი ჯდება.

— დაბოლოს, როგორ ურჩევენ ცხენს სახელს?

— ცხენის სახელი მისი დედ-მამის სახელების პირველი ასოებისაგან ღებება ხოლმე. იმდენად მკაცრად ვუღებთ ცხენის პასპორტის შედგენის საკითხს, რომ ასეთი პასპორტები მგონი, ადამიანებსაც არ ექნებათ: ხდება სისხლის იდენტიფიკაცია, დედ-მამის სისხლის შედარება და ასე ღებდება ცხენის წარმომავლობა. სისხლს ვგზავნით რიაზანის მეცნიერების ინსტიტუტში, რომელსაც ინგლისიდან აქვს აღებული წმინდა ჯიშის ცხენებისთვის პასპორტის გაცემის სერტიფიკატი.

ინფორმაციულ-მედიასფეროში კოლაი

ეოზა დვალის უბის წიგნაკიდან:

ენის მოსაბობის მოსურნე იანოვსკის და გადაგვარების მოსურნე გიორგი მუხრანსკის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც ქართველთა დიდ ერებში გათქვევას ესწრაფოდა. P.S. „დაახ, ბატონებო, მისი ბავით სწორედ თვით ღმერთი მეტყველებდა და ვაი, რომ დაღუძმდნენ იგი ბავენი და ვინ იცის, როდისღა გვაღირსებს ღმერთი იმისთანა კაცს, როგორც დღეს წავვართვა...“ — ეს სიტყვები ილია ჭავჭავაძემ გაენათის ტაძარში ამ დიდი პატრიოტის პანაშვილზე წარმოთქვა.

17. „უძინართა მზე“ თემურ ბაბლუანმა მამის ხსოვნას მიუძღვნა. P.S. ამ ფილმის სცენარისა და მუსიკის ავტორი თავად რეჟისორი გახლავთ.

18. მსოფლიოში არსებული წიგნებიდან გერმანული ენის ლექსიკონი ყველაზე დიდხანს, 1854 წლიდან 1971 წლამდე, იწერებოდა.

19. წიგნების დაწვა პირველად ჩინეთის იმპერატორმა ცინ ში ზუანხიმ დაიწყო. მან ჩვ.წ.აღ-მდე 213 წელს ბრძანება გასცა, დაწვით ქვეყანაში არსებული ყველა წიგნი.

20. დათა თუთაშხია და მისი შვილი გულენა, გიორგობისთვის იყვნენ დაბადებული, ოთარანთ ქვრივის შვილი, გიორგი — შობის წინა დღეს, ბაჩანა რამიშვილი — 14 ივლისს, კვაჭი კვაჭანტრაძე — პირველ აპრილს.

21. „თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ, კარგი შვილები რად გვებადება? შვილის სიკეთე მშობელს შემურდეს, ნამდვილს მშობელსა ეს ეკადრება? ცრემლები მასწრობს, ვეღარას ვამბობ, კარგის დაღუპვა რად გვენატრება? ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლე, არ გეკადრება, არ გეკადრება!“ — ეს სიტყვები ვაჟა-ფშაველამ გიორგი სააკაძის შესახებ წარმოთქვა.

22. „ემილი, ანუ აღზრდის შესახებ“ — ჟან ფაკ რუსოს ამ პედაგოგიკურ ტრაქტატს გოთიემ ბუნებრივი აღზრდის სახარება უწოდა.

23. ბელგეელი ასტრონომის ს. არენდის მიერ 1930 წელს აღმოჩენილი პლანეტა გ. ნეუიმანმა შეისწავლა და სახელად რუსთაველი უწოდა.

24. როდესაც გერმანული არმია მოსკოვს ორმოც კილომეტრზე მოუახლოვდა, პიტლერმა შეუთვალა სტალინს, — უკვე მოსკოვთან ვარ, შენ კი წადი და საქართველოში იმეფეო. „ლო ვსტრჩი ვ ბერლინე“, — უპასუხა სტალინმა და თავისი სიტყვაც კაცურად აასრულა.

25. პოემს „ბორის გოდუნოვზე“ მუშაობისას ალექსანდრე პუშკინი ისე აღფრთოვანდა თავისი თავით, რომ შესძახა: „აიდა პუშკინი!.. აიდა სუკინი სინი!...“



მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უნამუსო“ რამდენიმე წლის წინ იხილა პირველად მაცურებელმა და შეიძლება ითქვას, უმოკლეს დროში შეიყვარა და კარგადაც დაიმასსოვრა. ოროდეს სიტყვით შეგახსენებთ: მსახიობ მამუკა ლორიას პერსონაჟი შედის სახინკლეში, ყიდულობს ლუდს, ხინკალს და ხელის დასაბანად გადის. დაბრუნებულს, სუფრასთან მის ხინკალს დაპატრონებული, ბესო ხიდაშელის პერსონაჟი ხვდება... ალბათ გახსოვთ, როგორ ცდილობს მამუკა ლორიას გმირი „უნამუსოში“ სინდისის გამოღვიძებას, დაჟინებით უყურებს, მერე გამომწვევად იღებს ხინკალს და ლუდის კათხასაც მოიყუდებს... და როცა „მონინალმდეგე“ ხელს ჩაიქნევს — ვაი, შენს პატრონსო, — და ნავა, როგორ გამოჩნდება კადრში ხელუხლებელი ხინკალიცა და ლუდიც, რომელიც მამუკა ლორიას პერსონაჟს თურმე სულ სხვა მაგიდაზე დაუტოვებია...



გიორგი ხარტეაია

„უნამუსო“ რეჟისორს საქართველოში იტალია ენატრება, იტალიაში – საქართველო

ლელა ჯიყაშვილი

ეს ფილმი კინორეჟისორმა **გიორგი ხარტეაიამ** ოთხი წლის წინ – ოცდაერთი წლის სტუდენტმა გადაიღო, კინოს სამყარო კი, მის წინაშე გაცილებით ადრე გაიშალა.

– სკოლაში დავდიოდი, როცა მაშინდელ პიონერთა (ახლანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის) სასახლეში დავიწყე სიარული კინოს მოყვარულთა წრეში. ოთხი წელი გავატარე იქ, ვმონაწილეობდი პატარა-პატარა ფილმების გადაღებაში, ასე რომ, სკოლის დამთავრებისთვის კარგად ვიცოდი, რა მინდოდა. თუმცა, ისიც მართალია, რომ ძალიან უიმედოდ გავედი

თეატრალური ინსტიტუტის მისაღებ გამოცდებზე. მაგრამ მოხდა ისე, რომ გამომართლა. გაა ჭუბაბრიას დოკუმენტალისტთა ჯგუფში მოვხვდი. თავიდან, მხატვრული კინო უფრო მიზიდავდა, მაგრამ თანდათან ვხვდები, რომ დოკუმენტური ფილმშიც ძალიან საინტერესო გადასაღებია...

— „უნამუსო“ თქვენი პირველი ფილმია?

– არა, პირველი საკურსო ფილმი იყო „ერთი დღე სკაუტებთან“. დღეს ამ ფილმს რომ ვუყურებ, მსიამოვნებს, მეღიბება. იმიტომ კი არა, რომ ძალიან კარგია, უბრალოდ მაშინდელ ჩემი ფიქრებს, ხედვას, დამოკიდებულებას ვხედავ... „უნამუსო“ ჩემი მეორე საკურსო სურათი იყო.

— ამ ფილმის გადაღების იდეა როგორ გაგინდა?

– ეს სიუჟეტი ანეკდოტის დონეზე დადიოდა ქალაქში. ზოგი ხინკალზე ჰყვებოდა, ზოგი – ბორშჩზე, ზოგი კიდევ, რა ვიცი, რაზე... მე ხინკლის ამბავი ავირჩიე. გადავიღეთ ფილმი კადრსმიგა მონტაჟის ხერხით. სხვათა შორის, ამ მეთოდს მთელი გადამღები ჯგუფი უარყოფდა, მაგრამ ჩემი გაეიტანე, და გამოვიდა „უნამუსო“, რომელიც უყურადღებოდ არ დარჩენილა.

— ვიცი, რომ რამდენიმე ფესტივალის პრიზი მიიღო...

– მოსკოვში, წმ. ანას სახელობის VII საერთაშორისო ფესტივალის II ხარისხის პრემია მიენიჭა. ამ კონკურსზე 142 ფილმი იყო წარდგენილი, პირველი პრემია არავისთვის მიუნიჭებიათ, ორი II პრემია გაიცა. შემდეგ კიევში გამართულ საერ-

თაშორისო ფესტივალ „ოქროს რაინდში“ ვმონაწილეობდი და იქაც მთავარი პრიზი – „ოქროს რაინდი“ მივიღე. შარშან კი მამუკა ლორიას ერგო პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის, რაც ძალიან გამიხარდა, რადგან მამუკა მართლაც იმსახურებდა ამას.

— როგორც ვიცი, ახლახან დაბრუნდი იტალიიდან. როგორ მოხვდი იქ და რას საქმიანობდი?

– პირველად ჩემი ფილმის წყალობით მიმიწვიეს: „უნამუსო“ გერმანიაში უნახავს იტალიის კინოსკოლის პრეზიდენტს და მან მიმიწვია. შემდეგ სულ იმაზე ვოცნებობდი, რომ როგორმე რომის კინოსკოლაში მესწავლა და როცა იტალიის საელჩომ გამოაცხადა იტალიაში ენის შემსწავლელ კურსებზე წასვლის მსურველთა კონკურსი, მონაწილეობა მივიღე. კონკურსში გავიმარჯვე და წავედი. თუმცა, ოცნება ოცნებად მრჩებოდა. იტალიის კინოსკოლაში არ არსებობდა კურსები, რომელზეც შესაძლებელი იქნებოდა თავისუფალ მსმენელად მოხვედრა. რამდენიმე თვით დაგბრუნდი საქართველოში, მაგრამ ფარ-ხმალი არ დამიყრია და როცა ისევ გამოაცხადა იტალიის საელჩომ კონკურსი, ისევ მივიღე მონაწილეობა. გააგზავნეს ჩემი საბუთები რომში და იქიდან მოვიდა თანხმობა. რაღაც საოცრება მოხდა: კინოსკოლაში სწავლის ნებაც დამრთეს. იქ ჩასულს ჩვენი კინოსკოლის ხელმძღვანელის, გოგი დოლიძის მეგობარი – ქალბატონი კატერინა დამიკო დამხვდა, რომელიც საქართველოდან მიცნობდა – კინოსკოლის საერთაშორისო გაერთიანების დირექტორია. მან დამართო ნება, დავსწრებოდი ნებისმიერ ლექციას, რომელიც დამაინტერ-



ნაფონას მოედანი რომში (გ.ხარტეაიას ფოტო)

ესებდა. კიდევ ერთი სასიამოვნო სიურპრიზიც მქონდა: აღმოჩნდა, რომ ბევრ სტუდენტს ჰქონდა ნანასი „უნამუსო“, – მათ ვიდეოთეკაში ყოფილა ამ ფილმის კასეტა, როგორც სტუდენტური ნამუშევრის ერთ-ერთი ნიმუში.

— რით განსხვავდებიან ქართველი და იტალიელი სტუდენტი რეჟისორები?

— იქ დებრესიამდეც კი მიდიან, იმდენად უჭირთ თემის შერჩევა. ჩვენთან საპირისპირო მდგომარეობაა: იდეა უამრავია, ხორცშესხმის საშუალება კი არ გვაქვს... იქ ძალზედ ძვირად ფასობს იდეა. მე და ჩემმა მეგობარმა — ანტონ დელიკოვმა იტალიაში ფილმის გადაღებაც მოვახერხეთ.

— როგორც ჩანს, იტალია ძალიან მოგწონს...

— უსაზღვროდ მიყვარს. საქართველოში იტალია მენატრება, იტალიაში — საქართველო. მართალი ყოფილა, რომ ამბობენ — ყველა გზა რომში მიდისო, და — თუ იტალიაში არ ხარ ნამყოფი, ევროპა არ გინახავსო. იქ სიცოცხლე გიხარია. ახალგაზრდები ფერადოვნად ჩაცმულები, მხიარულები დადიან. ყოველ ფეხის ნაბიჯზე წყვილები გხვდება, ერთმანეთს თვალებში შესცივინებენ. რომი სიყვარულის ქალაქია...


— მოკლედ, იტალიელების ყველაფერი მოგწონს...

— არა, ყველაფერი არ მომწონს. იქ რომ ატარებენ ერთ ყურზე შეიდ საყურეს ან ენაზე რაღაც სამკაულს, ეს სულაც არ მომწონს, არც თმაშეღებილი ბიჭები მხიბლავენ... განათლებაც საკმაოდ ვიწრო აქვთ. მე მინახავს იტალიელი, რომელმაც არ იცის, ვინ არის ნინო როტა, რობერტინო ლორეტი, თანაც ისინი ერთეულები არ არიან... როცა საუბარში პუჩინი ახსენეს

და ჩვენ ქართველებმა მასზე საუბარი ავითაცეთ, გაცდინენ: როგორ, თქვენ პუჩინის იცნობთ?..

— ქართველებსაც შეხვდებოდი იტალიაში...

— სასაცილო ამბები გვემართებოდა ქართველებს. ერთი ბიჭი ჩამოვიდა თბილისიდან, ჩემს ოთახში დაბინავდა. ავუსენი, როგორ უნდა გასულიყო ქალაქში, როგორ დაბრუნებულიყო. გავიდა სასეირნოლ. მეც წავედი საციგურაო დარბაზში. იმ დღეს გვიან დაბრუნდი. მობილური ტელეფონი შინ მქონდა დატოვებული. ოთახში შევედი თუ არა, — დაახლოებით, ღამის 1 საათი იქნებოდა, — ტელეფონმა დარეკა. ავიღე — ეს ბიჭი მირეკავს: სად ხარ, რამდენი ხანია გირეკავ, დავიკარგე და რამე მიშველეო... ვუთხარი: აბა, მოიხედე, რაიმე იქნებ დაინახო და მითხრა, სად ხარ, — ან ქუჩის წარწერა, ან რაიმე სხვა საცნობი ნიშანი მოგხვდება-მეთქი თვალში. აქ ასეთი არაფერია, ეზოში ვარ სადღაც და შეიძლება ძაღლებმა შემჭამონო... ტელეფონში მართლაც ისმოდა ძაღლების ყეფა. იქნებ როგორმე, ცენტრალურ ქუჩამდე გამოხვიდე-მეთქი, ვურჩიე, ავიღე ჩემი მობილური და ქალაქში გავედი. დავდივართ და თან დროდადრო ერთმანეთს ვურეკავთ. ბოლოს, მოთმინება დაკარგულმა ვუყვირე: რაღაც მაინც იქნება ახლომხლო, მიმოიხედე-მეთქი! კი, ნაკავსაყრელიაო... „მიმოიწო“ გამახსენდა: Там ящик стоял, а там женщина кур-ила... ბიჭო, რომში ნაკვის მეტი ვე-



კადრი ფილმიდან „უნამუსო“

რაფერი იპოვე? — იქნებ, ჭრელი მამალი დაინახო, ყველაზე მაღლა რომ დგას, აბა აიხედე-მეთქი... ეს მამალი ღამით ანათებს და რომ არ შენიშნო კაცმა, შეუძლებელია... ჰო, მაგ მამალთან ვარო, მეუბნება. — კაცო, მაგ მამალთან მე ვარ და შენ სადღა ხარ-მეთქი?... გავიხედე და რას ვხედავ: ქუჩის მეორე მხარეს, ნაკვის ყუთებთან არ დგას?! ამ ამბის მერე სულ დავცინიოდი, რომში ნაკვის მეტი რომ ვერაფერი ნახა...

— იტალიიდან დაბრუნებულებს საინტერესო ფოტოგამოფენა მოგიწყობია TMS-ის გალერეაში...

— ეს ჩემი იდეა იყო და ნელ-ნელა შევასხი ხორცი. ამ ფოტოებით იტალიისადმი დიდი სიყვარული გამოვხატე.

— ბოლოს, შენი სადიპლომო დოკუმენტური ფილმი — „ნანინაც“ ვახსენოთ.

— ეს ფილმი შარშან უჩვენეს თბილისის კინოს სახლში. თემატურად უპატრონო ბავშვებსა და მოხუცებს ეხება. ერთხელ ტელევიზიითაც იყო ნაჩვენები, მაგრამ ძალიან მძიმე ფილმიო — და აღარ უჩვენებენ. მეც არ მიყვარს ამ „ნანინას“ ყურება, ოღონდ, არა იმიტომ, რომ მძიმეა, — უბრალოდ, ძალიან ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული მისი გადაღება ორი ახალგაზრდისათვის: მე და ჩემი ოპერატორი საშინელ სიტუაციაში ვიღებდით ამ ფილმს...


— უახლოეს მომავალში რას აპირებ?

— იტალიაში რომ ვარ, სულ იმას ვფიქრობ — აი, ჩავალ საქართველოში, ამას გადავიღებ, იმას გავაკეთებ... ჩამოვალ და აქ იმდენი პრობლემაა: ლაბორატორია არ მუშაობს, არაფრის საშუალება არ არის... — ისევ გინდა წასვლა?

— მინდა, იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს იტალია, ძალიან მენატრება...



ამ ცოტა ხნის წინ, თბილისში რაფიელ მაყაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიხსნა, რომელიც მსატყრის 70 წლის იუბილეს დაემთხვა. საინტერესო მსატყარი, ძირძველი თბილისელი და უაღრესად მდიდარი ბიოგრაფიის მქონე ბატონი რაფიელი, გამოჩენილი ქართველი მწერლის — რაფიელ ერისთავის შვილთაშვილია.



მარუნია მაყაშვილი

ჩაფიქრებული ერისთავის შვილიშვილი დამ გათხოვებით გადააჩინა

მარი ჯაფარიძე

— დავიბადე 1932 წელს, მსატყრების — ალექსანდრე მაყაშვილისა და ანა არხიპოვას ოჯახში. მამაჩემის დედა გახლდათ ფეოლოსია ერისთავი — რაფიელ ერისთავის უფროსი ქალიშვილი. მყავდა უშვილო მამიდა — მარუნია მაყაშვილი, რომელმაც მიშვილა და 1937 წლამდე მასთან ვიზრდებოდი. ბიძაჩემი (მამიდის ქმარი. — ავტ.) იყო პეტრე აღნიაშვილი, რომელიც სხვადასხვა პარტიულ და ნომენკლატურულ თანამდებობაზე მუშაობდა, ბოლოს კი, საქართველოს ცაკის (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. — ავტ.) თავმჯდომარეც იყო. 1937 წელს დაიჭირეს და დახვრიტეს. მალევე დახვრიტეს ჩემი მამიდაც და ამის შემდეგ, ბებიასთან ვიზრდებოდი.

— რა მიზეზით დაიჭირეს და დახვრიტეს ბიძათქვენნი?

— ჯერ იმას ვიკვირებოდა, როგორ მოხდა მამიდაჩემის ქორწინება. 1924 წელს პეტრე აღნიაშვილი სამთავრობო დავალებით, თელავში იყო მივლინებული. მამაჩემის ოჯახი იყალთოში ცხოვრობდა. „განკულისკების“ დროს მამაჩემს ხელისუფლებისთვის წინააღმდეგობა გაუწევია, დაუჭერით, თელავში წაუყვანიათ და დახვრიტეს უპირებდნენ. ამის შესახებ მამიდაჩემს გვიან საღამოს გაუგია. დილით ადრე მარუნია ფეხით ჩასულა იყალთოდან

თელავში, შესულა კაბინეტში პეტრე აღნიაშვილთან და ძმის გათავისუფლება უთხოვია... მამიდაჩემი ულამაზესი ქალი იყო. პეტრეს მოსწონებია და უთქვამს: ცოლად თუ გამოიყვები, შენს ძმას გაათავისუფლებო. მარუნია იძულებული იყო, ძმის გადასარჩენად, შეუხვდა კაცს გაყოლოდა ცოლად... შემდეგ პეტრე თბილისში დაბრუნებულა საცხოვრებლად და მარუნიაც თან წამოუყვანია. მალე ის ცაკის თავმჯდომარედ დაუნიშნა. ცაკის მდივნად იმ პერიოდში ლავრენტი ბერია მუშაობდა. მას, პეტრეს თავიდან მოშორება უნდოდა და ერთ დღეს, მოსკოვში, სტალინთან იმისთვის ჩავიდა, რომ ბიძაჩემის „შავნელი“ საქმეების შესახებ მოესხენებინა. ამის შემდეგ, სტალინმა ბერია მოსკოვში დატოვა სამუშაოდ, ბიძაჩემი კი დაიჭირეს და დახვრიტეს.

— ე.ი. სტალინმა ბერიას დაუჯერა?

— დიახ, რადგან ბერიას მისი ნდობა უკვე მოპოვებული ჰქონდა. ბებიაჩემისგან — ფეოლოსიასგან გამიგონია, რომ როდესაც სტალინი გაგრამი დასასვენებლად ჩამოდიოდა, რამდენჯერმე თურმე ასეთი შემთხვევა ყოფილა: სტალინზე ხორციელდებოდა თავდასხმა და სწორედ ბერია ახერხებდა თავდამსხმელის ლიკვიდაციას... ბერიას თავდამსხმელი წინასწარ დაქირავებული ჰყავდა. იმ უბედურმა რა იცოდა, რომ ვიდრე ის სტალინს მოკლავდა,



მარუნია მაყაშვილი (მარჯვნივ) მეგობართან ერთად. აბასთუმანი.

თვითონ მას გააგორებდა მისივე დაძვინკარებული?! ამგვარად, ბერია სტალინის დიდი ნდობით სარგებლობდა.

— როგორც ბრძანეთ, მამიდაც დაგიხვრიტეს...

— ღიას — ის ხომ პეტრე აღნიაშვილის ცოლი იყო! კიდევ ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით: როდესაც მამიდაჩემი დასახვრეტად გაუყვანიათ, მისი სილამაზით მოჯადოებულ ვალათებს ტყვის გასროლა ვერ მოუხერხებიათ. ბოლოს, მისთვის თავზე ვედრო ჩამოუშნიათ და ისე დაუხვრეტიათ... შემოგვრჩა მამიდის სურათები და მისი ბიუსტი, რომელიც იაკობ ნიკოლაძემ გამოაქანდაკა. მამიდის დახვრეტის შემდეგ, მამაჩემის დაპატიმრების საშიშროებაც იდგა. ის სასწრაფოდ გადამაღეს მეგობრებმა და სამი წლის განმავლობაში, ოჯახისგან მოშორებით ცხოვრობდა.

— როგორც ვიცო, თქვენ პეროვსკაიაზე (დღევანდელი ელენე ახვლედიანის ქუჩა), პეტრე აღნიაშვილის ბინაში ცხოვრობდით. რეპრესიების დროს რა ბედი ეწია თქვენს ბინას?

— იქიდან გამოგვასახლეს, ავეჯი და მამიდაჩემის ძვირფასეულობა გაინაწილეს, ჩვენ კი ერთ-ერთი სკოლის სარდაფში შეგვასახლეს, სადაც წლების განმავლობაში დენიც კი არ გვქონდა. ბებიჩემმა —

რაფიელ მაყაშვილის „ძველი თბილისი“



ნარსულის ანაბეჭდი



რაფიელ მაყაშვილი

ფეოლოსიამ წერილი მისწერა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ მდივანს, კანდიდ ჩარკვიანს, სადაც წერდა, რომ იყო დავრდომილი, შრომის უუნარო, ცხოვრობდა სარდაფში და დღიურ ლუკმასაც სამადლოდ, ახლობლები აწვდიდნენ. ანამუსებდა საბჭოთა ხელისუფლებას: რაფიელ ერისთავის ქალიშვილი ასე არ უნდა გყავდეთ მიგდებული და მიტოვებულიო, — და მცირედ დახმარებას ითხოვდა, მაგრამ უშედეგოდ.

— თქვენი ცხოვრება როგორ წარიმართა?

— მე თბილისის მე-9 საშუალო სკოლა დავამთავრე, შემდეგ იაკობ ნიკოლაძის სახელობის სასწავლებელში, 1952 წლიდან კი — სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობდი. დავოჯახდი. მყავს შესანიშნავი მეუღლე, ორი შვილი და რძალი. 1959 წლიდან, ხატვისა და ფერწერის პედაგოგად, მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში ვმუშაობ. ახლა უკვე ჩემი ყოფილი მოსწავლეების შვილებს ვასწავლი... შექმნილი მაქვს 500-ზე მეტი ტილო და სულ ახლახან, ჩემი მეოთხე პერსონალური გამოფენა მოეწყო. ჩემს საქმიანობას ჩემი შვილი — მარი მაყაშვილი განაგრძობს.

სასარგებლო აზრები

რეპრესიების დროს



სადაც აზრი ნათელია, ნათელია მონათხრობიც, და საჭირო სიტყვაც მაშინ მოდის თითქოს თავისთავად.

ნიკოლა ბუალო

ის არის ბრძენი, ვინც გზას ინათებს, შეცდება, მაგრამ ებებს სიმართლეს, და ვინც არ არის ამის მსურველი, იცავს შეცდომას — არის სულელი.

თეოდორ შტორმი

ადამიანს ისე არაფერი აწუხებს, როგორც უსუფთაო სინდისი.

ერაზმ როტერდამელი

სარწმუნო მოყვასის შერისხვა სჯობს მტრის პირისპირ ქებასა.

არჩილ მეფე

უთხარი ადამიანს, რომ ის ცდება და რატომ, მაგრამ ნუ შეეხები მის გულს უხეშად და ნუ უწოდებ გიჟს.

ნიკოლაი კარამზინი

უვიცობის შედეგად გონება ჭკნება, საკვების ნაკლებობის გამო.

კლოდ ადრიან პელეციუსი

სიმართლე ჩვენი უძვირფასესი ქონებაა. უნდა გაუფრთხილდეთ.

მარკ ტვენი

წარმოთქმული სიტყვა და გატყორცნილი ქვა

უკან აღარ მოგივლენ, რაც არ უნდა თქვა.

ესპანური ანდაზა

დალიან ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ქამარი მხოლოდ შარვლის დამჭერი საშუალებაა. სინამდვილეში, სწორად შერჩეული ქამარი თავისი მფლობელის საზოგადოებრივ სტატუსზე მეტყველებს და საკმაოდ დელიკატურ და თავისებურ მიდგომას მოითხოვს.

ქამარი

ნაშრომიანი ემპყვნილი

არასწორად შერჩეულ ქამარს თურმე ნებისმიერი ელევანტური სამოსისთვის ელფერის სრულად დაკარგვა შეუძლია. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად სჯობს, წესად მიიღოთ რამდენიმე რჩევა: პირველ რიგში, ეცადეთ, მხოლოდ ნატურალური ტყავისგან დამზადებული ქამარი შეიძინოთ. მართალია, იგი იაფი არ არის, სამაგიეროდ, რამდენიმე წლის მანძილზე ღირსეულ სამსახურს გაგიწევთ.



როგორ უნდა გაარჩიოთ ნატურალური ტყავის ქამარი მისი მდარე ხარისხის სუროგატისგან? ფრჩხილით შეამოწმეთ ნაკერის ადგილი - ტყავის შემცველი აუცილებლად დაიშლება ძაფებად. ან კიდევ, მაგრად მოუჭიროთ ქამარს ხელი - ნამდვილი ტყავი მუჭში გათბება. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ხარისხიანი ქამარი კარგად იტანს დეფორმაციას და წრიულად დახვევას. ამასთან, კლასიკური მოდელის შარვლისთვის განკუთვნილ ქამარზე დახვევის შემდეგ კვალი არ უნდა რჩებოდეს, ხოლო ჯინსისთვის განკუთვნილი ქამარი ნაოჭებს იკეთებს და ეს კვალი მას კოვბოურ ხიბლს მატებს.

ნორმალური აღნაგობის მამაკაცის ტანზე, სწორად შერჩეული ქამრის ქვედა ნაწიბური შარვლის სალტის ქვედა ნაკერს უნდა გასდევდეს. მსუქან და არცთუ ისე მაღალ მამაკაცებს - ვიწრო ქამრები უხდებათ, გამხდრებსა და მალღებს კი - ფართო. როგორც წესი, ქამარს მესამე ნახვრეტზე იკრავენ და მარჯვენა და მარცხენა მხარეს ორ-ორი თავისუფალი ნახვრეტი რჩება.

ბევრი მამაკაცი ვერც კი აფასებს

იმ სასარგებლო წვრილმან დეტალებს, რომელიც შარვლის მოდელში იყრის თავს. მაგალითად, პატარა მარყუჟი, რომელიც შესაკრავთანაა მოთავსებული, მკერავთა ჩანაფიქრით, ქამრის შესაკრავის ენის დასამაგრებლად არის განკუთვნილი. თუ ამ პატარა დეტალს არ უგულვებლყოფთ, თქვენი ქამარი აღარ იმორჩავენ და შესაბამისად, შარვლის შესაკრავიც არ გამოჩნდება.

არსებობს კიდევ ერთი, საკმაოდ ყურადსაღები პრობლემა: ქამრის, შარვლისა და ფეხსაცმლის ფერების შეხამება. გაითვალისწინეთ, რომ შავ და მუქ-ლურჯ შარვლებს მხოლოდ შავი ქამარი უხდება, ღია ფერის შარვლებს კი, ქამარი ფეხსაცმლის ფერის მიხედვით უნდა შეურჩიოთ. რაც შეეხება ქამრის



გ. ლეონიძე „... და ჩიკოტა“	მადლიყვ-ლიანი კალოში	მთვარის მგერისებური მასალა	გროპიკული გირჩისებური ნაყოფი	ბოსტნეული	ყუშპარა შესქელებული ბენზინით
ჩიჩი	კობოლი	ჩი	კოდი	ში	ნი
გამხმარი ხიდი	წყლის მარწყხებიანი ცხოველი	სასკენი ნიშანი	კარში ვაჭაროლი ბუდი	მთათა სისტემა ... შანი	... კურნი-კუჩა
					ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალი რგალიაში
					კანის ფესტივალს ჯილოდ ... რგ

პირველი

ბალთას, ამ საკითხში რჩევის მიცემა ძალიან ძნელია, რადგან ყველაფერი გემოვნებაზეა დამოკიდებული, თუმცა, მაინც ეცადეთ, არ გაგიტაცოთ ბრჭყვიალა ფურნიტურამ, ყველაზე მისაღები და უპრეტენზიო კი, მაინც მკრთალი თეთრი ლითონია.

კარგი ქაშარი შესანიშნავ საჩუქრად ითვლება, მაგრამ მას მხოლოდ ახლობელ ადამიანს უძღვნიან. ამასთან, საჩუქრად სჯობს, ჯინსის შარვლისთვის განკუთვნილი რაიმე ორიგინალური ქაშარი შეარჩიოთ, რადგან კლასიკური შარვლისთვის განკუთვნილი ქაშარი მამაკაცმა თავად უნდა შეარჩოს.

მსახიობ ჩაკ ნორისის კოლექციაში თურმე სამასზე მეტი ქაშარია, მათ შორის ბევრია ექსტრავაგანტური მოდელიც – მაგალითად, თეთრი მარტორქის ტყავისგან შეკერილი ქაშარი.

სილვესტერ სტალონე უპირატესობას „გუჩის“ ფირმის სადა, მაგრამ ძალიან ძვირად ღირებულ ქაშარებს ანიჭებს. დღემდე იხსენებენ, რომ თურმე ადრე, როცა სტალონე ჯერ კიდევ არ იყო ესოდენ პოპულარული და მდიდარი, იგი ერთ-ერთ წვეულებაზე მიუპატიჟებიათ, სადაც აუცილებლად სმოკინგით უნდა მისულიყო. „რემბომ“ სმოკინგი კი ჩაიცვა, მაგრამ ეტიკეტის წესები ბოლომდე ვერ დაიცვა და შარვალი ქაშრით დაიმშვენა – მაშინ, როცა სმოკინგი აუცილებლად ატლასის ქაშარს მოითხოვს.


ზოგიერთ მამაკაცს ძალიან უყვარს შარვლის აჭიმების ტარება. გაითვალისწინეთ, რომ ეს დეტალი თვალში საცემი არ უნდა იყოს და სჯობს, პიჯაკის შიგნით დაიფაროს. მიუხედავად ამისა, აჭიმების ფერი ჰარმონიულად უნდა ერწყმოდეს ჰალსტუხის ფერს. მაღაზიებში ხშირად შეხვდებით ჰალსტუხის, აჭიმებისა და ჯიბის პატარა ცხვირსახოცისგან შემდგარ ნაკრებს, მაგრამ ყველა ამ აქსესუარის ერთად ტარება კარგ გემოვნებაზე სრულიად არ მეტყველებს. გაითვალისწინეთ ისიც, რომ აბსოლუტურად მიუღებელია აჭიმებისა და ქაშრის ერთდროულად ტარება. ასე რომ, თუ ქაშრით ან აჭიმებით თავის შებორკვას გადაწყვეტთ, სჯობს, ეს ღირსეულად და ელეგანტურად გააკეთოთ.



ჯეკ ნიკოლსონი და შონ პენი



სილვესტერ სტალონე



ოლივიე ლაპიდუსი

ამონური არაყი	ნივთების ბილწუბით	ანცი, მოუსვენარი	თავისუფლების მოედანს ერქვა ... მოედანი	პანგომი-მსტი ქაქ ...	გამრჯევის ქალღმერთი	მშვილდით სასროლჯობი
ქხეაქა	სსაქი	ნიჩე	ქელქი	ქიქი	ქიქი	ქიქი
მგელი „მაუ-გლიდან“	რაქმს სახელური	აირი. იყენებენ შესაღებულ აპარატებში	სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატი	ძველი რომის იმპერატორის გიგული		

სალომე მომიტაშვილი

თბილისელ ლამაზმანებს «ქმასროლია» გაშკაცებაც მოსწონდათ!..

„მუხამბაზის“ ლობიანა გვარიანი მოჩხუბარი ყოფილა...

მუშტი-კრივი თბილისელთა რჩეულ სანახობად ითვლებოდა.

სტეფანე ფალავანს ბანიდან ჩამოვარდნილი აგური დასცემია თავზე შუა ჩხუბში...

„ღმობიერმა“ ნიკოლოზ პირველმა თბილისელებს ჩხუბის ნება დართო, ოღონდ... ქლაქარეთ.

ქვის სროლით, ანუ სალდასტით „თავშექცევა“ მიღად უსაფრთხო როდი ყოფილა...

„აბა, მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ!“ – დარდიმანდულად უმღერდა სატროს გრიგოლ ორბელიანის ლობიანა ყარაჩოხელი.

ლობიანას და გიჟუას მუშტებით ჩხუბი არცთუ ისე ძელი წარმოსადგენია, მაგრამ ნახევარი თბილისი თუ ქვის სროლით (სალდასტით) იქცევა თავს საუკუნის წინ, ერთხანს დაუჯერებლად მეჩვენებოდა.

სამაგიეროდ, ამ ჩხუბებს გუშინდელივით იხსენებს ძველი თბილისის მკვლევარი, პროფესორი **თეიმურაზ ბერიძე**.

– მუშტი-კრივი თბილისელთა რჩეული სანახაობა იყო – ავლაბარში, სიონის ქუჩაზე, აბასაბადისა და პურის მოედანზე იმართებოდა. ჯერ პატარა ბიჭები იწყებდნენ, მერე ვაჟკაცები ენაცვლებოდნენ, ვგუფურადაც ჩხუბობდნენ.

– **იქნებ ასეთი ორთა თუ მრავალთა ბრძოლა უფრო დანჯრილებით აღწეროთ...**

– ფალავანები ძირითადად ხელოსნები და ვაჭრები იყვნენ. კრივი უთვალავ მაყურებელთა შეძახილით იწყებოდა. იბრძოდნენ უქედოდ, ფეხშიშველნი, მკერდგადელინი. ყოველ მოკრივეს თავისი ქიმაგი ჰყავდა – ქლაქის წარჩინებულნი, რომელნიც გამარჯვებულთ გვარიანადაც ასაჩუქრებდნენ. ისეთი ფალავანებიც ყოფილან, მათზე ლეგენდებს რომ თხზავდნენ. იოსებ გრიშაშვილი მოკრივე სტეფანეზე ასეთ ამბავსაც ჰყვება – ერთხელ, სიონის ქუჩაზე კრივის დროს ბანიდან ჩამოვარდნილი აგური დაეცა თავზე. აგური ოთხად გადატყდა, ხოლო სტეფანემ აინუნშიაც არ ჩააგდო, მალა აიხედა და ხუმრობით წარმოთქვა, ვინ ოხერია, რომ მეკენჭავებაო!

– **რამდენ ხანს გრძელდებოდა ორთაბრძოლები?**



აი, ისინიც – ძველი თბილისელების პროტოტიპები სუფრასთან: მურაბ ქაფიანიძე, თეიმურაზ ბერიძე და დოლო აბაშიძე კინოფილმ „ფიროსმანის“ გადაღებისას

– ისე გამეტებით იბრძოდნენ, რომ 15-20 წუთში ორივე მხარე გვარიანად დაბეველდა-აჟეული ტოვებდა ასპარეზს და შერკინება ღუქებში გადაინაცვლებდა ხოლმე (ღვინის სმაში გადაიზრდებოდა)...

– **ნიკოლოზ პირველმა რის გამო აკრძალა თბილისური კრივი?**

– 1851 წლის 2 თებერვალს თბილისურ მუშტი-კრივს ქვებისა და აგურების სროლა მოჰყვა. მოჩხუბრები დაშვდნენ. ამ ამბავმა რუსეთის მეფის ყურამდეც მიაღწია და მანაც აკრძალა თბილისში კრივი. შემდეგ კი მთავარმართებელმა ვორონცოვმა მოხსენება წარუდგინა რუსთ ხელმწიფეს, სადაც ითხოვდა – ქართველები მებრძოლი ხალხია, კრივი მათი ზნე-ჩვეულების განუყოფელი ნაწილია და მისი მთლიანად აკრძალვა აქაურ მოსახლეობას ძალიან დააღონებსო... „ღმობიერმა“ ნიკოლოზ პირველმაც თბილისელებს კრივის ნება მხოლოდ ქლაქარეთ დართო, ოღონდ მუშტების გარდა, სხვა რამ იარაღი არავინ იხმაროს და პოლიციამაც ბრძოლის ადგილიდან ფეხი არ მოიცივალოსო.

– **მართლა იბრძოდნენ ქვებით და შურდულებით?**

– მართლა იბრძოდნენ და ამ ბრძოლას ქვის კრივი, ანუ სალდასტი ერქვა. იბრძოდნენ შურდულებით და ხის ხმლებით (მებრძოლებს, ბუნებრივია, თავდასაცავად ქულები ესურათ). ბრძოლა ქვის სროლით იწყებოდა. ზოგი შურდულს იმარჯვებდა, ზოგიც ხელით ისროდა მომცრო ქვებს. შემდეგ ხელჩართულ ბრძოლაზე გადადიოდნენ ხის ხმლებითა და მუშტით. ხელჩართული ბრძოლის დროს უკვე ვეღარავინ გამოიყენებდა ქვას...

– **მერე, თბილისელ ლამაზმანებს მოსწონდათ „ქვასროლია“ ვაჟკაცები?**

– თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ძალიანაც მოსწონდათ. კრივში გამარჯვებულ ვაჟკაცს უარს რომელი ქალი შეჰკადრებდა... ამ სამშომ ორთაბრძოლებს დადებითი მხარეც ჰქონდა. მტერთან ბრძოლის მეტოდებსა და ხერხებს ითვისებდა ქართველი კაცი და მარჯვენასაც ავარჯიშებდა. მართალია, კრივის მეორე დღეს თბილისში ბლომად იყვნენ თავგახეთქილი და ცხვირპირდალღურჯეული „რაინდები“, რომლებიც ერთმანეთს „ცოდვებს“ კი არ უხსენებდნენ, არამედ შერიგების ნიშნად ერთად მხიარულობდნენ და ლამაზმანებსაც ერთად აწინებდნენ თავს.

– **ალბათ ამ ბრძოლებს მკაცრად დადგენილი წესებიც ჰქონდა.**

– კრივში თუ ერთმანეთს რაიმეს წართმევდნენ (ქულს, ნაბადს, ქამარს, შურდულს თუ ხის ხმალს), ეს ნადავლად ითვლებოდა და რაგინდ ძვირფასი ნივთიც არ უნდა ყოფილიყო, უკან არავინ დააბრუნებდა. შეჯიბრებებიც განსაზღვრულ დროს იმართებოდა, ძირითადად კვირა დღეს, ყველიერის დღეებში, ნათლისღების მეორე დღეს, კვირაცხოვლობას... ერთი ასეთი წესიც იყო: ყოფილან მოკრივენი, „მაგარი მუშტი“ რომ ჰქონიათ და ვისაც შემოჰკრავდნენ, მტრისას, ცოცხალ-მკვდარს ძლივს წამოაყენებდნენ თურმე. ასეთ „მოკრივეებს“ ასპარეზობა ეკრძალებოდათ...

– **როდემდე გასტანა თბილისურმა „ომებმა“?**

– მთავარმართებელმა ბარიატინსკიმ XIX საუკუნის 50-იან წლებში საბოლოოდ აკრძალა სალდასტის კრივი. მუშტი-კრივი კი გასული საუკუნის დასაწყისში იმართებოდა კანტიკუნტად...

ელენე სალარიძე

ჭყონდიდში მარტვილთა სახელზე აგებულ ეკლესიას სახელადაც მარტვილი უწოდეს. შეიძლება ბევრ ჩვენგანს ყურადღება არც მიუქცევია იმისთვის, რომ მარტვილი ბერძნული სიტყვაა და ნამებულს ნიშნავს. ამჯერად არ შევჩერდებით არც მარტვილის ეკლესიის და არც ყოფილი საეპისკოპოსოს აღწერაზე, რაც თავის მხრივ, შუა საუკუნეების სუროთმოდგრულ ძეგლს წარმოადგენს — მეტის-მეტად მნიშვნელოვანს ეროვნული კულტურის ისტორიისათვის.

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ მარტვილის ღვთისმშობლის ოქროს ხატზე და მოოქრულ ვერცხლის საწინამძღვრო ჯვარზე. ორივე მათგანი ქართული ოქრომჭედლობის გამორჩეული ნიმუშია.

გვესაუბრება ხელოვნებათმცოდნე ნანა ბელოვანი.

— ქალბატონო ნანა, X საუკუნიდან ქართველ ლითონმქანდაკებელთა ნამუშევრებში ჩნდება ახალი პლასტიკური ფორმები, აღნიშნულის თვალსაჩინო ნიმუშად შეიძლება თუ არა ჩათვალოს მარტვილის ხატი და ჯვარი?

— ორივე ნაკეთობა იმ ეპოქის ერთგვარი სტილისტური ნიმუშებია წარმოდგენილი, როცა ოქრომჭედლობის ნიმუშებში თვალსაჩინო ხდებოდა პლასტიკურ ფორმათა შეგრძნებისა და მხატვრულად გამოსახვის მაღალი დონე, როცა ხელოვანი მთელი სიღრმით გადმოსცემს პერსონაჟების ფსიქოლოგიურ ხასიათსაც კი.

— რაც ასე საგრძნობია მარტვილის ღვთისმშობლის ხატზე...

— ეს ოქროს ჭედური ხატი ზომით არცთუ ისე დიდია (32 X 33 სმ), მაგრამ უმთავრესი გამოსახულების (ღვთისმშობელი ყრმით) გარდა, მასზე თერთმეტი წმინდანის ფიგურაა, თერთმეტივე ტიხრული მინაქრის განსაკვივრებელი ნიმუში და გარდა ამისა, მორთულია ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვებით, რომელიც ძალზედ ორიგინალურ თვალბურთავს ჩასმული. პროპორცია თითქოს დაცულია და არც არის დაცული, თუმცა კი მილიანობაში ვიღებთ ძალზედ შთამბეჭდავ ნამუშევრს, რომელზეც თითოეულ ღურსამსაც კი (ოქროს მოჭედილი ფირფიტები ხეზე დაამარტებული) თავისი ადგილი აქვს. ამ ხატის „შექმნა“ ორი საუკუნე მინც გრძელდებოდა. საკუთრივ ხატი X საუკუნეშია მოჭედილი ქართველი ხელოსნის მიერ, ხოლო ჩარჩო მასზე გამოსახული წმინდანთა ფიგურებით (მათ შორის ორი ფიგურა უშუალოდ ხატის ზემოთაც არის მოვით-



მარტვილის მოოქრული ვერცხლის საწინამძღვრო ჯვარი



მარტვილის ღვთისმშობლის ოქროს ხატი

მარტვილის ჭედური ხატი და ჭედური P.S.-ით

ანებით დამატებული) შედარებით გვიანი პერიოდისა (XI-XII საუკუნეები) და ქართული ზანტიურ ნაკეთობას წარმოადგენს.

— თქვენ ახსენეთ მარტვილის ხატზე „მიმოფანტული“ ღურსმნები... ასეთივე ღურსმნები და მათი ამოცლის შემდეგ დარჩენილი წერტილები თითქოს პენს უკარგავს მარტვილის ჭედურ ჯვარს.

— ვერ დაეთანხმებით. ეს საწინამძღვრო ჯვარი, რომელიც ზომითაც საკმაოდ დიდია (75 X 42 სმ) და ამავდროულად მონუმენტურიც, ამ ერთი შეხედვით ზედმეტი ნალურსმნევით ერთგვარ მისტიკურ საბურველშია თითქოს გახვეული...

— ალბათ ამიტომ არ ახლეს ხელი რესტავრატორებმა ამ ჯვარს...

— როგორც წესი, ამ ტიპის ძვირფასი ნივთების რესტავრაციას უდიდესი სიფრთხილით ეკიდებიან. რესტავრაცია არც ერთ შემთხვევაში არ უნდა აფერიოთ გაახლებაში, თორემ მარტვილის ჭედურ ჯვარზე ნახვრეტების ამოვებას ჩვეულებრივი ოქრომჭედელიც კი ერთ საათში „მოახერხებს“...

— რით გამოირჩევა მარტვილის ჯვარი ამ სტილის საწინამძღვრო ჯვარებისგან?

— მარტვილის ჯვარზე ყველა ფიგურა დასრულებული სკულპტურული ნამუშევარია და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვიცით, თუ ვინ არის ამ უნიკალური ძეგლის ავტორი. ჯვრის მეორე მხარეს იკითხება ოსტატი-გამომქანდაკების იოანე დიაკონის სახელი. ვიცით ისიც, რომ ჯვარი ბეგრატ მეთიხის შემოწირუ-

ლობაა. საწინამძღვრო ჯვრის მთავარი ფიგურა არის ჯვარცმული ქრისტე. მის მარჯვნივ მარიაშია გამოსახული, მარცხნივ იოანე ჯვრის ზემო მკლავზეც ქრისტეს გამოსახულებაა, ქვემოთ წმინდანი, ასევე ბასილი დიდი და გრიგოლი...

— ერთი სიტყვით, შუა საუკუნეებში ქართულმა ოქრომჭედლობამ მხატვრული გამოსახვის ძალიან მაღალ დონეს მიაღწია.

— დიახ, ასეა. და ამ პერიოდის ლითონზე პლასტიკის საუკეთესო ძეგლებიდან მარტვილის საგანძური მართლაც გამორჩეულია.

— ეს საგანძური დღეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება...

— ასე რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის, მოაღწევდა კი ჩვენამდე არაერთგზის გაძარცვული მარტვილის ტაძრიდან ამ ჯვრისა და ხატის გარდა, კიდევ მრავალი ფასდაუდებელი ნივთი?!

P.S. ქალბატონ ნანას სიტყვებს ვერაფერს დავუმატებთ. თუმცა კი აქვე გვინდა მოვიყვანოთ ბოლო დღეების ერთი სენსაციური განცხადება იმის შესახებ, რომ ზუგდიდში, დადიანების ისტორიულ სასახლეში (რომელიც ეკატერინე ჭავჭავაძის ხელშეწავლებით არაერთ უნიკალურ ნივთს ინახავს), რაიონის საკანალიზაციო სამსახურის(!) ოფისის გახსნას აპირებენ. ეს ერთი ფაქტიც საკმარისია იმის დასტურად, თუ როგორ „მზრუნველობს“ ზოგიერთი ადგილობრივი ხელისუფალი ისტორიულ ძეგლებსა და ეროვნულ საგანძურს...

«მილანის» ბოლქაადორს

დედის გაკათებული ბორბი ყველანაირ კარძს ურჩივნია

უკვე რამდენიმე წელია, რაც უნიჭიერესი უკრაინელი ფორვარდო, ანდრეი შევჩენკო, იტალიაში საყოველთაო ყურადღების ცენტრში იმყოფება. უფრო მეტიც, დღეს აპენინის ნახევარკუნძული შევჩენკომანიითაა შეპყრობილი და დიდი და პატარა, დნეპრისპირეთში გაზრდილი ფეხბურთელი ვარსკვლავის შესახებ ლაპარაკობს. შეიძლება ითქვას, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ერთადერთმა „შევამ“ (როგორც მას იტალიელი გულშემატივრები ეძახიან) შეძლო მსოფლიო მასშტაბის ნამდვილი ვარსკვლავი გამხდარიყო და თანამედროვე საფეხბურთო ელიტაში თამამად დამდგარიყო ისეთი დიდოსტატების გვერდით, როგორებიც დელ პიერო, ტოტი, ბატისტუტა, რაული, რივალდო, ოუენი არიან. ამავე დროს ანდრეი შევჩენკო უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს შორისაც და იტალიაში ერთ-ერთ სექსუალურ ფეხბურთელად ითვლება, თუმცა „მილანის“ ფორვარდი ჯერ დაოჯახებაზე არ ფიქრობს და სურს, უახლოესი რამდენიმე წლის მანძილზე თავი მხოლოდ ფეხბურთს მიუძღვნას.

ალექსი რეხვიაშვილი

უკრაინული ფეხბურთის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი კიევის მახლობლად მდებარე დაბა დვირკივშია დაიბადა. მისი მშობლებისა და უფროსი დის გარდა, ახლა ალბათ არავის ახსოვს ის დღე, როდესაც შევჩენკოების ოჯახში ვაჟიშვილის დაბადების აღსანიშნავად, უკრაინული დელიკატესებით გაწყობილი პატარა სუფრა გაშალეს. მაშინ განსაკუთრებულად გახარებული ლენა იყო, რომელიც შემდგომში დედას დიდი გულმოდგინებით ეხმარებოდა უმცროსი ძმის, ანდრეის მოვლაში. მომავალი ვარსკვლავის მამა, ნიკოლაი შევჩენკო საბჭოთა არმიის პრაპორშნიკი იყო, სამხედრო წრეებში ერთ-ერთ

დოსია:

დაბადების თარიღი: 1976 წლის 29 სექტემბერი
 დაბადების ადგილი: დვირკივშინა (კიევის ოლქი, იაგოტინსკის რაიონი)
 სიმაღლე: 183 სმ
 წონა: 73 კგ
 მთავარი მიღწევები: უკრაინის ჩემპიონი (1995, 1996, 1997, 1998, 1999 წლებში); უკრაინის თასის მფლობელი (1996, 1998, 1999 წლებში); უკრაინის საუკეთესო მოთამაშე (1997, 1999, 2000, 2001 წლებში); იტალიის სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი 2000 წელს.



საუკეთესო სნაიპიერად ითვლებოდა და ახალგაზრდობაში ფეხბურთსაც თამაშობდა. ანდრეის დედა, ლუბა კი, საბავშვო ბაღში ბუღალტრად მუშაობდა. ანდრეი ბავშვობაშივე დაინტერესებულა ფეხბურთით, თუმცა მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ გავიდოდა წლები და იგი მსოფლიოში ერთ-ერთი პოპულარული ფორვარდი გახდებოდა და თავისი ოჯახით საცხოვრებლად იტალიაში გადავიდოდა. „სკოლაში სიარული არ მიყვარდა. ჩემთვის ძალიან მოსაწყენი იყო საკლასო ოთახ-

ში ჯდომა და იმაზე ფიქრი, თუ რომელი იყო კათეტი და რომელი – ჰიპოტენუზა. არც ამოცანების ამოხსნა მიყვარდა, სადაც ერთმანეთთან შესახვედრად ორი სხვადასხვა პუნქტიდან გასულ მგზავრზე იყო ლაპარაკი... გაკვეთილების მსვლელობის დროსაც კი, ყველაზე საყვარელ საქმიანობად ჩემთვის ფეხბურთის თამაში და გოლების გატანა რჩებოდა, რისთვისაც ბიჭებს თავად შევკრებდი ხოლმე. სკოლის დირექტორი ხშირად ჩემს მშობლებს უხმობდა და ითხოვდა, რომ სხვა სკოლა-

ში გადავეყვანე“, – იხსენებს „მილანის“ ფორვარდი, რომელსაც ფეხბურთის თამაშისთვის არც მას შემდეგ დაუნებებია თავი, რაც მისი ოჯახი საცხოვრებლად კიევში გადავიდა. მას დილიდან დაღამებამდე შეეძლო ბურთის დეკნა, სახლში კი, ხშირად დაკაწრული, დასვრილი ბრუნდებოდა და ოჯახის წევრებს დაწვრილებით უამბობდა იმის შესახებ, თუ როგორ გაიტანა გოლები. ოჯახში ანდრეის გატაცებას მაინცდამაინც დიდი ენთუზიაზმით არ ხვდებოდნენ და ხშირად ეჩხუბებოდნენ კიდეც იმის გამო, რომ ნიკოლაი შევჩენკოს არცთუ ისე დიდი ხელფასი ჰქონდა და მისთვის ყოველთვე ახალი კვლების ყიდვას ვერ აუდიოდა. რა თქმა უნდა, პატარა ანდრეის სპორტული ფეხსაცმლის უქონლობის გამო ფეხბურთის თამაშისთვის თავის დანებება არ სურდა, ხშირად ფეხშიშველა თამაშობდა და გოლებიც გაჰქონდა. „ვერ წარმომედგინა, რომ ფეხბურთის ვარდა, შეიძლებოდა სხვა რამით ვყოფილიყავი დაკავებული. ფეხბურთის თამაში ის იყო, რაც მე ყოველთვის მსიამოვნებდა. საბედნიეროდ, დღესაც ამას ვაკეთებ“, – ამბობს ანდრეი შევჩენკო, რომელსაც ბავშვობაში ფეხბურთის შესახებ წიგნების კითხვაც ძალიან ჰყვარებია და თავის ოთახში კიევის „დინამოს“ მოთამაშეთა ავტოგრაფებიანი პლაკატებიც ჰქონია გაკრული. „კედლებზე მხოლოდ ავტოგრაფებიან ფოტოებს ვაკრავდი, – იხსენებს ანდრეი, – „დინამოს“ მატჩებზე ბურთის მიმწოდებელი ვიყავი და გუნდის ყველა ფეხბურთელს ვიცნობდი. თამაშის შემდეგ კი, მათთან მისვლა და მაისურის ან ავტოგრაფის თხოვნა შემეძლო. რა თქმა უნდა, „დინამოსზე“ ვქომაგობდი, თუმცა ბევრი საფეხბურთო კერპი მყავდა. პირველი, „დინამოს“ თავდამსხმელი ოლეგ ბლოხინი იყო, რომელმაც 1975 წელს „ოქროს ბურთი“ მოიპოვა. შემდეგ ალექსანდრ ზაჯაროვი – ერთ-ერთი პირველი საბჭოთა ფეხბურთელი, რომელიც სათამაშოდ სხვა ქვეყანაში წავიდა და იტალიის „იუვენტუსის“ ღირსებას იცავდა. ასევე ძალიან მომწონდა 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი და იმავე წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი, იგორ ბელანოვი. უცხოელი ფეხბურთელებიდან პელეს, ზიკოს, პლატინისა და რომარიოს ვაღმერთობდი“.

ანდრეი შევჩენკოს პირველი მწვრთნელი ალექსანდრ შიჩკოვი იყო. „ჩემი პირველი მატჩი კარგად მახსოვს. მაშინ

10 წლის ვიყავი. თუმცა ანგარიშს ვეღარ ვიხსენებ. ეს ჩემთვის ნამდვილი პირველი თამაში იყო, რომელსაც მსაჯიც ჰყავდა და მაყურებლებიც ესწრებოდნენ. თავიდან ფეხები მიკანკალებდა, მაგრამ მალე თამაშს გემო გაუგე და დიდი სიამოვნებაც განვიცადე. ის თამაში კიევის ცენტრალურ ვაგზალთან მდებარე „ლოკომოტივის“ სტადიონზე ჩატარდა. დღესაც, როდესაც კიევში ვიმყოფები, ჩემი პირველი მატჩის გასახსენებლად „ლოკომოტივის“ სტადიონზე მივდივარ ხოლმე“, – იხსენებს შევჩენკო, რომელიც საბავშვო გუნდთან ერთად საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ სათამაშოდ პირველად 12 წლის ასაკში წაიყვანეს, მოგვიანებით კი, მან მილანის „სან-სიროზეც“ ითამაშა, სადაც მაშინ ვან ბასტენ-გულიტ-რაიკაარდის ტრიო ბრწყინავდა. აბა, რას იფიქრებდა პატარა ანდრეი, რომ სულ რაღაც ათი წლის შემდეგ, იგი სწორედ იმ საფეხბურთო მინდვრის „ბატონ-პატრონი“ გახდებოდა.

უნდა ითქვას, რომ დიდი ფეხბურთისაკენ მიმავალ გზაზე ანდრეის მრავალი დაბრკოლება ხვდებოდა. გასაკვირია, მაგრამ კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტში შევჩენკომ ფეხბურთის სპეციალიზაციით მისაღები გამოცდა ვერ ჩააბარა. მიუხედავად ამ პარადოქსული შემთხვევისა, ნიჭიერი მოზარდი მწვრთნელებმა – ვლადიმერ ონიშენკომ და ვალერი ზუევემა შენიშნეს და კიევის „დინამოს“ მეორე გუნდში ჩარიცხეს. მანამდე ანდრეი შევჩენკო „დინამოს“ სპორტულ სკოლაში სწავლობდა და უკვე გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი დრიბლინგითა და გოლის გატანის ალღოთი. მას თავისუფლად შეეძლო რამდენიმე მცველისთვის გვერდი აეგლო, მკარავც ზედ მიეყოლებინა და გოლი ცარიელ კარში გაეტანა. ანდრეი თავად ქმ-



კრისტინთან ერთად

ნიდა საგოლე სიტუაციებს და ყველაზე უხერხული პოზიციიდანაც კი პოულობდა გამოსავალს. „ვოცნებობდი, რომ კიევის „დინამოს“ მაისური ჩამეცვა და ეს ოცნება ამისრულდა“, – ამბობს ანდრეი შევჩენკო, რომელიც 1993 წელს 12 გატანილი ბურთით კიევის „დინამოს“ მეორე გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მალე ანდრეი უკრაინის ოლიმპიურ ნაკრებსა და კიევის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაშიც მიიწვიეს. ევროპულ ასპარეზზე შევჩენკომ პირველი მატჩი 1994 წლის 23 ნოემბერს მოსკოვის „სპარტაკთან“ ჩაატარა. ევროპულ ტურნირზე პირველი გოლი კი, 18 წლის ასაკში მიუნხენის „ბაიერნის“ კარში გაიტანა. იმ მატჩში გერმანელებმა უკრაინელებზე 4:1 გაიმარჯვეს. 1997 წელს კიევის „დინამომ“ 4:0 მოუგო „ბარსელონას“. კატალონიელთა კარში სამი გოლი ანდრეი შევჩენკომ გაიტანა.

ანდრეი შევჩენკოს დიდ ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი



მწვრთნელ დაკერონისთან ერთად



ცნობილმა უკრაინელმა მწვრთნელმა და ათწლეულების მანძილზე კიევის „დინამოს“ თავკაცმა, ვალერი ლობანოვსკიმ შეიტანა. „ის დიდი ადამიანი და ფანტასტიკური მწვრთნელია, – ამბობს „შევა“, – ამავე დროს, ძლიერი პიროვნებაცაა. თამაშის ორგანიზება, მინდორზე ეფექტური მოქმედება – ალბათ მისი უმთავრესი იარაღია. ლობანოვსკი ძალიან დიდ გავლენას ახდენს ფეხბურთელებზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებზე. მასთან ურთიერთობისას ყველა უდიდეს გამოცდილებას იძენს. მან დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში, არა მარტო მინდორზე, არამედ მის გარეთაც. ვალერი ლობანოვსკიმ ხელი შემიწყო, ძლიერ პიროვნებად რომ ჩამოვყალიბებულიყავი. იგი ცოცხალი ლეგენდაა და ჩემს მიღწევებში უდიდესი წვლილი მიუძღვის“.

ცხადია, უკრაინელთა ამომავალი ვარსკვლავი ევროპული საკლუბო გრანდების თავკაცებისთვის შეუძნეველი არ დარჩენილა. შევჩენკო 1999 წელს „მილანში“ 25 მილიონ დოლარად შეიძინა. „დინამოში“ თამაშის დაწყებიდან გარკვეული დროის შემდეგ, უცხოურ კლუბში გადასვლის სურვილი გამიჩნდა. იტალიაში გადასვლისთანავე ჩემთვის ნათელი გახდა: იმისათვის, რომ აღიარება მომპოვებინა, დიდი ნებისყოფა უნდა გამომეჩინა. განსაკუთრებით პირველი სეზონის ბოლოს გამიჭირდა, მაგრამ ჯიუტად ვიმეორებდი: „ასეა საჭირო, ასეა საჭირო!“ საერთოდ, იტალიის ჩემპიონატში გოლის გატანა სეზონის დასაწყისში იც, შუაშიც და ბოლოშიც ერთნაირად რთულია. გუნდს შეუძლია ამოცანა შეუმსუბუქოს ბომბარდირს, თუ საგოლე მომენტს მრავლად შეუქმნის. თავიდან

მე ნაწყენი ვიყავი იმის გამო, რომ დასავლეთ ევროპის საფეხბურთო ბიზნესში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან გამოსულ მოთამაშეებს წარუმატებლობას უწინასწარმეტყველებდნენ. მსურდა, წლების მანძილზე დამკვიდრებული ეს შეხედულება შემეცვალა და ამის შესახებ პირდაპირ თერში, საფეხბურთო გადაცემაში მონაწილეობისას განვაცხადე კიდევ. ისე კი, იტალიაში ყველაფერი მომწონს – ბუნება, კლიმატიც, არქიტექტურაც და, რა თქმა უნდა, ადამიანებიც, რომლებიც საოცრად თბილები და ტემპერამენტიანი არიან. მართალია, ხანდახან მათი ტემპერამენტი ზღვარსაც კი სცილდება ხოლმე, მაგრამ რომ იტყვიან, ყოველგვარი ნაკლი, ადამიანის ღირსების გაგრძელება“, – ამბობს „შევა“, რომლის დებიუტიც იტალიის სერია A-ში 1999 წლის 29 აგვისტოს შედგა. იმავე წელს 24 გატანილი გოლით შევჩენკო იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და უკან მოიტოვა ისეთი ცნობილი გოლეადორები, როგორებიც ბატისტუტა და კრესპო არიან.

დღეს იტალიაში ვერავინ იტყვის, რომ ცნობილმა პოლიტიკოსმა და „მილანის“ მფლობელმა, სილვიო ბერლუსკონიმ ტყუილად დახარჯა 25 მილიონი დოლარი ანდრეი შევჩენკოს შეძინისას. სხვათა შორის, ერთხელ ბერლუსკონიმ შევჩენკო პოლანდიელ ვან ბასტენსაც შეადარა, თუმცა უკრაინელი ბომბარდირი არავის ჰბადავს და სურს დარჩეს იმდ, რაც არის. ამბობენ, რომ 1999 წელს სარდინიაში „მილანის“ საწვრთნელი შეკრების დროს, ანდრეისათვის სილვიო ბერლუსკონის დაურეკავს და საკუთარ ორჩხომელზე გასასვირნებლად დაუპატიჟებია. „ვიდრე ასეთ სიამოვნებას მივიღებდი,

იტალიის ჩემპიონატში 25 გოლი უნდა გავიტანო“, – უთქვამს „შევას“. „მე 24-იც მეყოფა“, – სიცილით უპასუხია ბერლუსკონის. იმ სეზონში შევჩენკომ მართლაც 24 გოლი გაიტანა და არდადეგების ნაწილი „მილანის“ მფლობელის ორჩხომელზე გაატარა. იტალიურ პრესაში ხშირად წერენ იმის შესახებ, რომ სილვიო ბერლუსკონი კლუბის საუკეთესო მოთამაშეს სეზონის ბოლოს თვითმფრინავს ან ორჩხომელს აჩუქებს. „ყველაზე მეტად მე მის გულისხმიერებას ვაფასებ, – ამბობს შევჩენკო, – რაც შეეხება ძვირფას საჩუქრებს, ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ. თვითმფრინავი საერთოდ არ მჭირდება, ორჩხომელს კი, თუ დამჭირდა, ვიქირავებ კიდევ. ბერლუსკონიმ ორჯერ მიმიპატიჟა თავის სახლში ვაზამზე, სადაც ძალიან თბილი ატმოსფერო დამხვდა და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამ ადამიანის დემოკრატიულობაში, სიფაქიზესა და გულისხმიერებაში“.

ანდრეი შევჩენკომ თავისი დიდი ნებისყოფისა და შრომისმოყვარეობის წყალობით ყველას დაუმტკიცა, რომ ისეთი მძიმე კონკურენციის პირობებშიც კი, როგორც იტალიის ჩემპიონატშია, შეეძლო საუკეთესო ფეხბურთელთა შორის დარჩენილიყო. „ისეთ ფეხბურთს, რომლის დროსაც, 22 ჩასკენილი მამაკაცი მძაფრ ბრძოლაში ერთმანეთის დაჯახნას ცდილობს, თამაშს ვერ დავარქმევ. ჩემი აზრით, თამაში დასვენებაა, რომლის დროსაც სიამოვნებასაც ღებულობ და ჯანმრთელობასაც იკაჟებ. იტალიური ფეხბურთი – მძიმე, ქანცის გამწვევტი შრომაა. თუმცა, თუ ამგვარი შრომა გიზიდავს, მასში საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა შეგიძლია და ფულსაც გამოიმუშავებ, წუწუნის მიზეზი





ადარ უნდა გქონდეს, მით უმეტეს, რომ ხშირად ისეთ ბედნიერ წუთებსაც განიცდი, რომლის შესახებაც სხვებს მხოლოდ ოცნება შეუძლიათ“, – ამბობს „შევა“, რომელიც იტალიაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე გრძნობს თავის უსაზღვრო პოპულარობას. ხშირად იგი ქუჩაში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოთმინებით არიგებს ავტოგრაფებს, ესაუბრება თავყვანისმცემლებს და სურათებს იღებს მათთან ერთად. „მაგრამ როდესაც შენ ფიზიკურად და სულიერად იღლები, უცნობ ადამიანებთან კონტაქტი ადარ გსურს, – ამბობს ანდრეი, – ასეთ მომენტებში მხოლოდ ერთი სურვილი გაქვს – საკუთარ თავთან მარტო დარჩე“.

„შევას“ ძალიან ბევრი თავყვანისმცემელი ქალი ჰყავს. ამ ფაქტის გამო, „მილანის“ ფორვარდს ხშირად ეკითხებიან უკრაინელი და იტალიელი ქალების შესახებ. „ჩემი აზრით, ლამაზი ქალები ყველგან არიან. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, გოგონა შავგვრემანი იქნება თუ ქერა. მე ისეთ გოგონასთან ვამჯობნებ ურთიერთობას, რომელიც მომწონს და რომელთანაც ურთიერთობა მსიამოვნებს. საერთოდ, ლამაზი და უბრალო ადამიანების მიმართ განწყობილი ვარ სიმპატიით, მნიშვნელობა არა აქვს – ქალი იქნება ეს თუ კაცი. ვერ ვიტან ისეთ ადამიანებს, რომლებსაც საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვთ,“ – ამბობს ანდრეი შევჩენკო, რომელსაც უკანასკნელ ხანს ხშირად ხედავენ ამერიკელ ქერათმიან მოდელთან,

კრისტინ ჰაზიკთან ერთად. 23 წლის კრისტინი წარმოშობით მინეაპოლისელია, თუმცა ამჟამად იტალიაში ცხოვრობს. ის წარსულში ცნობილი ბეისბოლისტის (რომელიც ამჟამად მწვრთნელად მუშაობს) შვილია, სპორტი თავადაც ძალიან უყვარს და ერთ დროს აშშ-ის მოცურავე ქალთა ნაკრების წევრიც იყო. კრისტინს ძალიან უყვარს ავტომობილები და ძაღლები. მისი სურვილია, პროფესიონალი ჟურნალისტი გახდეს. ანდრეი და კრისტინი ხშირად ერთად დადიან რესტორნებსა და დისკოთეკებზე, რაც, რა თქმა უნდა, ფოტორეპორტიორებისა და ჟურნალისტების დიდ ინტერესს აღვივებს, თუმცა უკრაინელი ფორვარდი ყველას გასაგონად აცხადებს, რომ დაოჯახებას ვერ არ აპირებს. „ჯერ ახალგაზრდა ვარ, დაოჯახებამ კი, შეიძლება ჩემს საფეხბურთო კარიერაზე უარყოფითად იმოქმედოს. ის რიტმი, რომლითაც მე დღეს ვცხოვრობ, ოჯახურ იდილიასთან სრულიად შეუთავსებელი იქნებოდა. ხშირად რამდენიმე თვის მანძილზე საწვრთნელ შეკრებებზე ვიმყოფები, ამიტომ დაოჯახებაზე რამდენიმე წლის შემდეგ ვიფიქრებ“, – ამბობს „მილანის“ გოლელდორი, რომლის სახელმაც ცოტა ხნის წინ ვირტუალური ბორდელის გამოაშკარავებასთან დაკავშირებულ სკანდალშიც გაიჟღერა: შევჩენკო, იტალიის სერია A-ში მოთამაშე ფეხბურთის სხვა ვარსკვლავებთან ერთად, არალეგალური საროსკიპოს მეძავებთან

კავშირში ამხილეს.

ფეხბურთის გარდა, ანდრეი შევჩენკოს ძალიან უყვარს პოკეი და ჩოგბურთი. მისი საყვარელი სპორტსმენები კი, მაიკლ ჯორდანი, სერგეი ბუბკა და ბორის ბეკერი არიან. თავის საუკეთესო მეგობრებად „შევა“ ოჯახის წევრებს მიიჩნევს და ცდილობს, რომ თავისუფალი დროის მნიშვნელოვანი ნაწილი მათთან გაატაროს. „მილანის“ ფორვარდს ძალიან მოსწონს იტალიური სამზარეულო, თუმცა ყველაზე მეტად მაინც დედამისის მიერ მომზადებული ნამდვილი უკრაინული ბორში უყვარს. მისი საყვარელი მსახიობები ევგენი ლეონოვი, ალექსანდრ აბდულოვი, ბრედ პიტტი, მელ გიბსონი, ჯულია რობერტსი და შერონ სტოუნი არიან, მუსიკოსებიდან კი, რობერტ მაილსი, მადონა, ბარი ვაითი და ეროს რამაზოტი მოსწონს. ისე კი, ანდრეი ყველანაირ მუსიკას სიამოვნებით უსმენს, გარდა მძიმე როკისა.

„შევას“ კიდევ ერთი დიდი გატაცება ავტომობილის მართვაა.

„პირველად საჭეს ცხრა წლის ასაკში მივუჯექი. მანქანის ტარებას მამა მასწავლიდა, თუმცა პედლებს წესიერად ვერც ვწვდებოდი. უკვე თორმეტი წლის ასაკში მამამ აგარაკის ახლოს მანქანით სეირნობის უფლებაც მომცა. 18 წლის ვიყავი, როდესაც 09 მარკის „ჟიგული“ საკუთარი ხელფასით ვიყიდე,“ – იხსენებს უკრაინელი თავდამსხმელი, რომელსაც ძალიან უყვარს კითხვაც, უპირატესობას კი, სათავგადასავლო და ისტორიულ ლიტერატურას ანიჭებს. „ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი ძველი რომაელებით, მათი კულტურითა და ტრადიციებით, მაგრამ ჩემზე ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას მეცხრამეტე საუკუნეში მოღვაწე დიდი უკრაინელი პოეტის, ტარას შევჩენკოს კიევი ადმართული მონუმენტური ფიგურა ახდენს“, – ამბობს „შევა“, რომელსაც უკრაინელ პოეტთან საერთო მხოლოდ გვარი აქვს. ცოტა ხნის წინ კი ანდრეის სამშობლოში გავრცელდა ხმები, რომ ერთ-ერთი „ახალი უკრაინელი“ კიევი, ტარას შევჩენკოს ძეგლთან ახლოს, მისი მოგვარე ფეხბურთელის ქანდაკების დადგმასაც აპირებს, რითაც სახელოვანი ფორვარდის სიცოცხლეშივე უკვდავყოფა სურს.



„ტყვის სყიდვა“ საქართველოში

ანტიკური ხანიდან ლაიკიანოზამდე

პანკისის ხეობის ირგვლივ განვითარებული მოვლენები — ადამიანის გატაცება და ვაჭრობა, ხეობაში ათასი ჯურის ბანდიტური დაჯგუფების თარეში, ისტორიულად ნაცნობ თემას წარმოადგენს საქართველოსთვის. ამ საშინელ მოვლენას ბერძენ-რომაელთა დაპყრობების პერიოდშიც ვხვდებით, ფეოდალურ ხანაშიც და XVIII საუკუნეშიც. სახე და სახელშეცვლილმა „ტყვის სყიდვამ“, „მონებით ვაჭრობამ“ და „ლეკიანობამ“ დღეს სრულიად შეუწინარებელი ფორმები მიიღო — მიუხედავად იმისა, რომ საშინელი სენი პრაქტიკულად მთელ ჩვენს ისტორიას გასდევს ტრაგიკულ ზოლად.

ქახა მაისურაძე

დასავლეთ საქართველო

საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანთა გატაცების პირველი ორგანიზებული ტრადიცია ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში — ბერძენ-რომაელთა დაპყრობების პერიოდში ჩამოყალიბდა. მართალია, მაშინ ადამიანს ფულის გამოძღვის მიზნით არ იტაცებდნენ, მაგრამ ეს საქმე საკმაოდ მომგებიან ბიზნესს წარმოადგენდა ბერძენ-რომაელი მონათმფლობელებისა და კოლხი სკვებულებისთვის (ერისთავებისთვის). მაგალითად, ცნობილია, რომ ძველ ბერძნებს აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში დაარსებული სავაჭრო ფაქტორების (ფაზისი, გიენოსი, დიოსკურა) მეშვეობით საქართველოს ტერიტორიაზე შემოჰქონდათ ისეთი ფუფუნების საგნები, როგორც იყო ძვირფასი ქსოვილი, სამკაული, ჭურჭელი, სამაგიეროდ, სხვა ძვირფას ნივთებთან ერთად, კოლხი სკვებულებისაგან შესყიდული ქართველი მონები გაჰყავდათ. ეს ნივთიერი კულტურის ძეგლებითაც დასტურდება. მაგალითად, თანამედროვე საბერძნეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია შავფეხურანი ჰიდრია (წყლის ჭურჭელი) წარწერით: „კოლხმა გამაკეთა“ (დაცულია ბერლინის მუზეუმში). ათენის მასლობლად ნაპოვნი აგრეთვე ამფორა (თინის ჭურჭელი), რომელსაც სიგნატურული წარწერა ამშვენებს: „ეპქსილემ გამაკეთა, კოლხმა მომხატა“. როგორც პირველის, ისე მეორის ავტორად, მეცნიერულ ლიტერატურაში მიჩნეულნი არიან კოლხი მონები, რომლებიც დასავლეთ საქართველოდან საბერძნეთში — ატიკის ოლქში უნდა ყოფილიყვნენ თავის დროზე წაყვანილები.

საქართველოს ტერიტორიიდან ადამიანთა გატაცებას განსაკუთრებით მწვავე ფორმები მიუღია XII საუკუნის შუა ხანებში, კერძოდ გიორგი მექაძის მეფობის დროს. მდგომარეობა იმდენად კრიტიკული ყოფილა, რომ მეფე იძულებული გახდა, სპეციალური „სამპარავომებლო“ ინსტიტუტიც დაეარსებინა, რომლის მთავარ ფუნქციასაც „მპარავთა და მეკობრეთა“ ძებნა და აღმოჩენა წარმოადგენდა. შეპყრობილებს კი უსასტიკესი ფორმებით ანგარიშსწორება — ჩამოხრჩობა ან „ძელზე აღბეჭვა“ ელოდათ.

სომეხი ისტორიკოსის, ვარდანის ცნობით, მიღებული ზომების შედეგად, 1180 წლისათვის, გიორგი მექაძემ, აღნიშნულ მოვლენასთან ბრძოლა ძირითადად დაუსრულებია, ხოლო მეკობრეთა და კრიმინალთა მთავარი მასა ფიზიკურად გაუნადგურებია.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული მოვლენა მომდევნო საუკუნეებშიც არაერთხელ იჩენდა თავს, განსაკუთრებით კრიტიკული ფორმები კი, საქართველოს სამეფო სამთავროებად დაშლის წინა პერიოდში — XV საუკუნეში მიუღია, რაც იმ პერიოდში შავი ზღვისპირეთში დაარსებული გენუელთა კოლონიების სავაჭრო-საშუამავლო ინტერესებთან იყო განპირობებული. მდგომარეობის უკიდურესობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ იმ პერიოდის საქართველოში ჩამოსული იტალიელი (ვენეციელი) ელჩები იოსავატ ბარბარო და ამბროსო კონტარინი რამდენჯერმე გაუძარცვავთ, ხოლო აფხაზეთისაკენ ვაზლ მიმავალი ანტიოქიის კათოლიკე პატრიარქი, ლულოვიკო მოუკლავთ კიდევ. ეკონომიკურ ნიადაგზე აღმოცენებულ ამ სენს ვერც ქართული წყარო (მცნება სასჯულო, XV ს. 70-იან წლები) მალავს, სადაც ვიღაც „მეკობრე ხუცესიც“ კი არის ნახსენები.

XV საუკუნის შუა ხანებიდან მნიშვნელოვნად იცვლება საერთაშორისო ვითარება. 1453 წლიდან, კონსტანტინოპოლის აღებით, ყოფილი



ბიზანტიის იმპერია თურქთა ხელში გადადის. 1461 წელს თურქები ანადგურებენ საქართველოს მეზობელ ერთდერთ ქრისტიანულ სახელმწიფოს — ტრაპიზონის იმპერიას, 1475 წელს კი ნადგურდება შავი ზღვისპირეთის გენუელთა კოლონიებიც. ასეთ ვითარებაში, როგორც ზღვით, ისე ხმელეთით, საქართველო მთლიანად თურქების გარემოცვაში მოექცა და იმ სავაჭრო მონოპოლიას, რომელსაც მანამდე შავი ზღვის აუზში გენუელი კომერსანტები ფლობდნენ, თურქი ვაჭრები დაეპატრონნენ. XVI საუკუნიდან, სწორედ თურქთა წაქეზებითა და აქტიური დახმარებით, ახალი მასშტაბები შეიძინა ადამიანთა გატაცების იმ ფართო სოციალურ-კრიმინალურმა მოვლენამ, რაც „ტყვის სყიდვის“ სახელით არის ცნობილი. „ტყვის მსყიდველთა“ იმდროინდელ „პანკისად“, აფხაზეთი იქცა, რადგან სწორედ იმ პერიოდიდან დაიწყო აფხაზეთის ბარში ჩრდილოკავკასიელი მთიელების (ადიღეური ეთნოსი) ჩამოსახლება, რაც მხარის ათასობით მკვიდრი ქართველის დატყვევებითა და თურქ ვაჭრებზე მიყვდით მთავრდებოდა. ამ სენს იმთავითვე შეებრძოლა დასავლეთ საქართველოს მეფე ბაგრატ III (1510-1565). მისი თაოსნობით 1533 წელს უკრიისა და სამეგრელოს მთავრებმა — მამია პირველმა და მამია დადიანმა ზღვით აფხაზეთსა და ჯიქეთში (სოჭის მხარე) გაილაშქრეს. პირველი ბრძო-

ლა მთავრების გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ მომდევნო შეტაკებაში გავრასთან ქართველთა ჯარმა სასტიკი დამარცხება განიცადა და ბაგრატ III იძულებული გახდა, დროებით ხელი აეღო აფხაზეთის გაკონტროლებაზე.

აღნიშნული მარცხის კომპენსაციას იმერთა მეფე საკლესიო კრების მოწვევით შეეცადა. მისი ინიციატივით მოწვეულ იქნა დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსთა კრება, რომელსაც ქართლის კათალიკოსიც დაესწრო. საკლესიო კრებამ მიიღო დადგენილება „ტყვეის მსყიდველთა“ სიკვდილით დასჯის შესახებ, მაგრამ ეს დადგენილება მხოლოდ მის სიცოცხლეში თუ სრულდებოდა, შემდეგ კი იმერეთი ანარქიამ მოიცვა. აფხაზეთსა და სამეგრელოში ჩამოყალიბდა ორგანიზებული ბანდები, რომელსაც ადამიანთა მოტაცებისა და თურქების გემთსადგომებთან მიყვანის მთელი სისტემა ჰქონდა შემუშავებული. მათ ხელში ტყვეთა ვაჭრობის ძირითად ცენტრებად გადაიქცა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ისეთი უმნიშვნელოვანესი ნავსადგურები, როგორებიც იყო: ქობულეთი, ანაკლია, ყულევი, ასევე ცხუმში, რომელსაც შემდგომ თურქებმა სოხუმში უწოდეს.

მონებით ვაჭრობა უდიდეს მოგებას აძლევდა თურქ ვაჭრებს, განსაკუთრებით არ ზოგადდნენ ფულს ლამაზი ქალების შექენისას: ზოგჯერ თითოეულ ქალში 300-400 ცენხინსაც (ცენტური ოქროს ფული) იხდიდნენ. თუმცა, არც ჯანმრთელ ვაჭრებზე ამბობდნენ უარს. ფრანგი მოგზაურის, შარდენის ცნობით, ჩვეულებრივ, მამაკაცი 25-40 წლამდე ასაკის 15 კეიუ (ძველი ფრანგული ფული) ფასობდა, უფროსები - 8-10 კეიუ, ქალები - 12, ბავშვები კი - 3-4 კეიუ განუკითხაობა დასავლეთ საქართველოში მთელი ორი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა - ვიდრე XVIII საუკუნის შუა ხანებიდან იმერეთის ენერგიულმა მეფემ სოლომონ პირველმა (1752-1784) აქტიური ნაბიჯები არ გადადგა ადამიანის გატაცებისა და „ტყვეის სყიდვის“ წინააღმდეგ. ახალციხის ფაშამ კატეგორიულად მოითხოვა, კვლავ აღედგინათ ტყვეებით ვაჭრობა და როცა უარყოფითი პასუხი მიიღო, მრავალათასიანი ლაშქარი გამოგზავნა იმერეთის ასახორბელად. გადამწყვეტი ბრძოლა 1757 წელს ხრესილთან (ტფილისის რაიონი) მოხდა, სადაც ქართველთა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა მტერი.

ადამიანებით ვაჭრობის საბოლოოდ აღსაწყვეთად, ორი წლის შემდეგ - 1759 წელს სოლომონ პირველმა მოიწვია დასავლეთ საქართველოს საკლესიო კრება, რომელსაც ესწრებოდა სამეფოს ყველა დიდი ფეოდალი, აფხაზეთის მთავრის გარდა. სხვაობაზე იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის საერო და სასულიერო გამგებლებმა იმერეთის მეფის მორჩილებისა და „ტყვეის სყიდვის“ აკრძალვის პირობა დადეს. საკლესიო კრებამ „ტყვეის მსყიდველნი“ შეაჩვენა, საერო ხელისუფლება კი მათ სიკვდილით დასჯით დაემუქრა. 1760 წელს ახალციხის

ფაშამ კიდევ ერთხელ წაუყენა ულტიმატუმი სოლომონს „ტყვეის სყიდვის“ აღდგენის შესახებ, მაგრამ იმერთა მეფემ კვლავ კატეგორიული უარი შეუთვალა. სწორედ ამ ხანებში მეფეს უღალატა ტახტის მძიბელმა ბიძაშვილმა - თეიმურაზ მამუკას ძემ. მან თურქეთის მთავრობას აღუთქვა, რომ იმერეთში გამეფების შემთხვევაში, „ტყვეის სყიდვას“ აღადგენდა.

სულთანმა არ დაყოვნა და იმერეთზე გალაშქრების ბრძანება გასცა. 1760-64 წლებში თურქთა მრავალათასიანიმა ჯარებმა 4-ჯერ დალაშქრეს იმერეთი, მაგრამ სოლომონ პირველმა მტერი სასტიკად დაამარცხა და განდევნა სამეფოდან. მიზანს თურქებმა მხოლოდ მეხუთე ლაშქრობისას მიაღწიეს, - როდესაც მტრის დაახლოებით 100 ათასიანი ლაშქარმა, 31-დღიანი აღყის შემდეგ, სვერის ციხე აიღო, შეიჭრა ქუთაისში და თეიმურაზ მამუკას ძე მეფედ გამოაცხადა. დამპყრობელს მამინვე მიემხრნენ მეფის პოლიტიკის მოწინააღმდეგე ტყვეებით მოვაჭრე ქართველი თავადაზნაურები, რომლებიც თურქთა ჯარის ბანაკში გამოცხადდნენ და თეიმურაზს მორჩილება აღუთქვეს. სოლომონი ბრძოლის ველს დროებით გაეცალა. იგი მისმა ერთგულმა თავადებმა - წერეთლებმა მოდინახეს ციხეს (საჩხერეში) შეაფარეს. მაგრამ ერთი წლის შემდეგ - 1766 წელს, იმერეთის მორბევის შემდეგ, თურქულმა ჯარებმაც დატოვეს დასავლეთ საქართველო - ამით კარგად ისარგებლა სოლომონ პირველმა - თურქთა მიერ გამეფებული თეიმურაზი დაამარცხა და მთელ იმერეთს დაეუფლა.

დასავლეთ საქართველოში სამხედრო მოქმედებების გაგრძელების საშუალება ამიერიდან აღარც თურქეთს ჰქონდა. სამხედრო კამპანია სტამბოლის ძალიან ძვირად დაუჯდა, ამიტომ ის მზად იყო, იმერეთთან ღირსების შეუღალავი, საპატიო ზავი დაელო. ზავი სოლომონსაც აძლევდა ხელს და ერეკლე მეორის შუამავლობით, 1767 წელს მხარეებმა საბოლოო შეთანხმებას მიაღწიეს.

1767 წელს დაიღო სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც თურქეთმა იმერეთი ცნო არა ვასალურ, არამედ მფარველობაში მყოფ სახელმწიფოდ. თურქეთის სულთანი აღიარებდა სოლომონს იმერეთის ერთპიროვნულ მმართველად და, რაც მთავარია, „ოტომანთა იმპერია“ ხელშეკრულებით უარს ამბობდა იმერეთის სამეფოდან „ტყვეთა სყიდვის“ აღდგენის მოთხოვნაზე, რაც დასავლეთ საქართველოს მრისხანე დამპყრობელთან სამსაუკუნოვან ბრძოლაში მოპოვებული უდიდესი გამარჯვება იყო.

აღმოსავლეთ საქართველო

აღმოსავლეთ საქართველოში ადამიანთა გატაცებასა და საერთოდ პანკისის პრობლემატიკაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის როლი, რომელიც ოდიოვანე კაკა ხეობას საქართველოს სინამდვილეში. მაგალითად, XIX საუკუნემდე ხეობა ეთნიკური ქართველებით იყო დასახლებული. ქის-



სოლომონ I

ტური მოსახლეობა პანკისში მხოლოდ XIX საუკუნის 60-ანი წლებიდან გაჩნდა, როდესაც ჩენთი-ინგუშეთის ოკუპაციის შემდეგ, მეფის რუსეთმა ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი მეზობელ საქართველოში გადასახლა პანკისის ხეობის ტერიტორიაზე პირველი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული - პანკისის საერისთავოს სახით, XI საუკუნეში შეიქმნა. მას საფუძველი ჩაუყარა კახეთ-ჰერეთის მეფემ, კვირიკე მესამემ (1010-1037). როდესაც ბაგრატ მეოთხემ (1027-1072) ერთიან საქართველოსთან კახეთ-ჰერეთის შემოერთება განიზარა, იმხანად პანკისის ერისთავები კახთა მეფეების ერთგულ მოკავშირეებად დარჩნენ. ყველაზე მედგარ წინააღმდეგობას საქართველოს მეფეს სწორედ ისინი უწევდნენ, მაგრამ XI საუკუნის 40-ანი წლებისთვის ბაგრატის პანკისის ხეობაში ბრძოლით შეიჭრა, შეიპყრო სტეფანოზ ვარჯანის ძე პანკისის ერისთავი და აიძულა პანკისელები, საქართველოს მეფის სიუხერენობა ელიარებინათ.

ამის შემდგომ, ორი საუკუნის მანძილზე პანკისი მყარად შედიოდა ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ წინააღმდეგობებმა ცენტრალურ ხელისუფლებასთან XIII საუკუნის შუა ხანებიდან კვლავ ახალი ძალით იჩინა თავი. ეს იყო პერიოდი, როდესაც საქართველოში მონღოლები ბატონობდნენ. საქართველოს მეფე, დავით VII ულუ მონღოლთა ყაენის კარზე იყო გავწვეული. ქვეყანას, ფაქტობრივად, სამეფო კარის მოხელე მესტუმრე ვიქტორი განაგებდა. ასეთ ვითარებაში პანკისის ერისთავმა თორღვა პანკელმა ხეობაში კვლავ სეპარატიზმის გავლივებას მიჰყო ხელი და წამოიწყო ახალი ბრძოლა არათუ პანკისის, არამედ მთელი კახეთის ერთიანი საქართველოსაგან ჩამოშორებისათვის, მაგრამ მესტუმრე ვიქტორმა იგი ფიცით მიიწვია, მოსალაპარაკებლად მიიწვია, შემდეგ კი



ვახტანგ VI

შეიპრო და კლდეკარის ციხიდან გადააგდო. ასე დაესვა წერტილი პანკისის ერისთავთა სეპარატისტულ ტენდენციებს შუა საუკუნეების საქართველოში.

რაც შეეხება ყაჩაღობასა და ადამიანთა გატაცებას, პანკისი კრიმინალთა ბუდე ისტორიულად არასოდეს წარმოადგენდა. ადამიანის გატაცების პირველი შემთხვევები აღმოსავლეთ საქართველოში XVI საუკუნიდან დაფიქსირდა. ამ პერიოდიდან დაელო სათავე იმ მანკიერ სენს, რომელიც კახეთსა და მიუღ აღმოსავლეთ საქართველოში „ლეკიანობის“ სახელით იყო ცნობილი.

აღნიშნულმა მოვლენამ პირველი მწვავე ფორმები კახეთის მეფე ლევანის (1518-1574) დროს შეიძინა. დაღესტნის საზღვრებიდან ლეკთა შემოსევების აღკვეთა ამ პერიოდიდან იმდენად შეუძლებელი გახდა, რომ კახთა მეფე იძულებული შეიქნა, დასახმარებლად ივანე IV მრისხანესათვის მიემართა. აღნიშნულ მიმართვას მოსკოვიდან მალე სათანადო გამოხმაურებაც მოჰყვა და 1564 წლისთვის რუსი ჯარისკაცები კახეთის სამეფოში შემოვიდნენ. ლევანმა ისინი კახეთის მთავარ სასაზღვრო ციხეებში ჩააყენა. მათ ძირითად ფუნქციას დაღესტნის მოსაზღვრე საგუმბაგოების გაკონტროლება შეადგენდა. მაგრამ რუსული ჯარის საქართველოში ყოფნა მაშინ დიდხანს არ გაგრძელდებოდა: კავკასიაში რუსეთის ენერგიულმა ამოქმედებამ მეტისმეტად შეაშფოთა, როგორც ოსმალეთი, ისე ირანი, ამიტომ, მათი მოთხოვნით, რუსეთმა არსებული საგუმბაგოები მალე მოშალა და ჯარაც გაიყვანა საქართველოდან. ამის შემდეგ ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლა აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა.

მიუხედავად ამისა, კახეთის მეფეები თანდათანობით ახერხებდნენ ვითარების გაკონტროლებას და რომ არა ყიზილბაშთა აგრესია, ალბათ ყოველივე თავის ადგილზე დადგებოდა. მაგრამ XVII საუკუნის დასაწყისში შაჰ-აბას

პირველის შემოსევებმა ჩარხი უკუღმს დაატრიალა. აღმოსავლეთ კახეთის ბარი მოსახლეობისგან დაიკალა. ამით კარგად ისარგებლეს დაღესტნელმა ფეოდალებმა და გარდა მოსახლეობის დატყვევებისა, აღმოსავლეთ კახეთის – საინგილოს მასობრივ კოლონიზაციას შეეცადნენ. საინგილო გადაიქცა „პანკისად“, სადაც თავს იყრია ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმობეჭვილი ათასი ჯურის ბანდითური ელემენტი.

პირველი რეალური ნაბიჯების გადადგმა ლეკიანობის ასალგამავად, მხოლოდ XVIII საუკუნის დასაწყისიდან გახდა შესაძლებელი. ამ პერიოდში ქართლის სამეფოს ვახტანგ VI განაგებდა, კახეთს კი, ფაქტობრივად, ეპისკოპოსი ნიკოლოზ ალავერდელი მართავდა. იმის მაგივრად, რომ ამ რენეგატ მმართველს საერთო მტრის წინააღმდეგ ვახტანგთან ერთობლივი ნაბიჯები გადაეღვა, ლეკებს შეეკრა და კახეთისთვის საფრთხის აცილების მიზნით, ლემანს გზა გაუხსნა ქართლისაკენ. არსებულ ვითარებასთან შეგუება, ქართლსაც კახეთის მსგავს კატასტროფას უშმახდებდა. ეს იმთავითვე გაითვალისწინა ვახტანგ მეექვსემ და როდესაც კახეთში დავით ერეკლეს ძე (იმამ-ყული ხანი) გამეფდა, წინააღმდეგ მისცა, ერთობლივი ძალებით გაელაშქრათ ჭარბელაქანში (საინგილო). 1720 წელს კახეთში გაიგზავნა ქართლის მოწინავე სადროშოს – საბარათიანოს ლაშქარი, ერასტი ყაფლანიშვილის მეთაურობით, მაგრამ გადაწყვეტ მომენტში, კახთა მეფემ ჭარბელაქანში შეჭრისგან თავი შეიკავა. ასე ჩაიშალა ქართლ-კახელთა ერთობლივი ძალებით ლეკთა განადგურების საუკეთესო შანსი.

1721 წელს ვახტანგ VI ირანის შაჰმა სამხრეთ აზერბაიჯანის სპასალარად დანიშნა. ქართველი მეფის ხელში თავი მოიყარა ირანის მთელი ჩრდილოეთი ნაწილის სამხედრო ძალაუფლებამ. ამით ისარგებლა ვახტანგმა და გადაწყვიტა, საბოლოო დარტყმა მიეყენებინა ჭარბელაქანში დაბანაკებული ლეკებისათვის. საამისოდ ყველაფერი გაკეთდა. ვახტანგის ჯარები ჭარში შეჭრილნიც კი იყვნენ, მაგრამ სწორედ ამ დროს, ირანიდან მოვიდა ბრძანება დაღესტნელთა წინააღმდეგ ლაშქრობის შეწყვეტისა და თბილისში დაბრუნების შესახებ. 1722 წელს მან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი დაამყარა პეტრე პირველთან, ხოლო ჩრდილოელი მეზობლისაგან დახმარების ჩაშლის შემდეგ, მთელი თავისი ამაღლით რუსეთში გადაიხვეწა... 1723 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოში ოტომანთა იმპერიის სამხედრო-პოლიტიკური ბატონობა – ე.წ. ოსმალთა დამყარდა, რომელიც მთელი 12 წლის მანძილზე გრძელდებოდა. უმეფო ქვეყანაში ლეკთა თარეშმა თავის აპოგეას მიაღწია. ქართველთა დატყვევება და მონათა ბაზრებზე გაყიდვა დაღესტნელთათვის, შეიძლება ითქვას, „რჯულის დგომათაც“ კი იქცა.

სწორედ ამ პერიოდში გაუტაციათ მოთარეშე ლეკებს კასპის რაიონის სოფელ ლამისყანდან დავით გურამიშვილი. მაგრამ სტამბოლის ბაზარზე გაყიდვას სახელოვანმა ქართველმა მამულიშვილმა ტყვეობიდან გაქცევით დააღწია თავი.

უკეთესი მდგომარეობა ამ მხრივ არც საუკუნის მეორე ნახევარში ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ გაერთიანდა, ლეკიანობა კვლავაც აღმოსავლეთ საქართველოს „აქილევსის ქუსლად“ რჩებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზუნდახის (მხარე დაღესტანში) მფლობელის ნურსალ-ბეგის ორგზის – 1754-55 წლების ლაშქრობა აღმოსავლეთ საქართველოში. ქართლ-კახეთი ლეკთაგან დაპყრობის რეალური საფრთხის წინაშე იდგა. მაგრამ მჭადიჭვართან და ყვარელთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებების შემდეგ, მეფეებმა – ერეკლემ და თეიმურაზმა შეძლეს, თავიდან აეცილებინათ მტრისაგან დაპყრობის საშიშროება.

ამის შემდგომ მტერი ძველ შემოსევათა ტაქტიკას დაუბრუნდა: ორი-სამი ათასი კაცით ქართლში დიდროვან ტყეებსა და ხეობებში უჩინარდებოდა, შემდეგ კი დაუცველ სოფლებს მოულოდნელად ესხმოდა თავს. „მართალია, ქართლ-კახეთის ლაშქარი მას ფეხდაფეხ მისდევდა, მაგრამ მინდვრად ვერ დაიხელეს შესაბამელად“, – აღნიშნავდა ქართული მემატიანე პაპუნა ორბელიანი. მოთარეშე ურდოებმა XVIII საუკუნის 50-იანი წლები-სათვის თითქმის დაასრულეს სომხით-საბარათიანოს (ქვემო ქართლი) საბოლოო განადგურება. ორბელიანთ მამულში ქართველი მოსახლეობა გაქრობის პირას იყო მისული.

1801 წლის 12 სექტემბრის რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტის საფუძველზე, ქართლ-კახეთის დამოუკიდებელმა სამეფომ არსებობა შეწყვიტა. აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის ნაწილად იქცა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ლეკიანობა და ადამიანთა გატაცებები კვლავ აჩანავდა ლისსაქეთა ქართველობას. რუსეთის საიმპერატორო მოხელე საქართველოში, მთავარსარდალი პავლე ციციანოვი (ციციშვილი) იმუქრებოდა, რომ „ზღვის ფსკერიდან ამოიყვანდა ავაზაკებს“. ჭარბელაქნელი ლეკები მოლაპარაკებას ცდილობდნენ, მაგრამ ციციანოვი მათგან სრულ კაპიტულაციას მოითხოვდა: „განა ბუზებს შეუძლიათ მოლაპარაკება არწივებთან?! ვისაც ძალა ერჩის, ის სუსტს კი არ ევაჭრება, არამედ მას უბრძანებს“, – ამბობდა იგი. 1803 წლის შემოდგომაზე რუსთა ჯარები გენერალ გულიაკოვის სარდლობით ჭარში შეიჭრნენ. რუსებთან ერთად 4500 ქართველიც იბრძოდა. მტერი საბოლოოდ დამარცხდა. ლეკმა ფეოდალებმა სრული კაპიტულაცია გამოაცხადეს. საინგილოს შემოერთებით ლეკიანობას წერტილი დაესვა. ■

დასაწყისი იხ. „გზა“ №5

დიდი ქორწილი ჰქონდათ... განსაკვირებლად ლამაზი წყვილი იყო... განსაკუთრებით – პატარძალი!... ზღაპრულ ფერიას ჰგავდა... გელას ასეთი ბედნიერი თვალები აღარასოდეს ჰქონია...

ლარისა კარგი მეოჯახეც გამოდგა... მაგრამ მამამთილის გული ვერაფრით მოინადირა... გელას მამას არ სიამოვნებდა, რუსი რძალი რომ ჰყავდა... მისთვის ყველა რუსი ბოზი იყო!... ყველაფერში შავოს აღანაშაულებდა...

– იმ შობელძალს, თუ მანქანით უნდოდა გასეირნება, მამამისის მანქანა წაეყვანა მაშინ!... – ამბობდა ხშირად, თითქოს სწორედ მისი მანქანის ბრალი იყო, ლარისა რომ გაიცნეს...

შეიძლება მართალიც კი იყო... იქნებ, ძველი მანქანით რომ ყოფილიყვნენ, არც კი ჩასხდომოდნენ გოგონები?!

შეიძლება... საწყალი ისე მოკვდა, რომ შავოს ერთხელაც არ დალაპარაკებია, ვერ აპატია მაშინდელი საქციელი...

მეორე ზაფხულს გოგონა შეეძინათ... პატარაც ედვასავით ოქროსფერთმიანი და ცისფერთვალა იყო... ლენას საპატივცემულოდ ელენე დაარქვეს და ელას ეძახდნენ. ვერც ბავშვის გაჩენამ დაამოშინა გელას მამა...

ლარისას ყოფა თანდათან გაუსაძლისი გახდა და მშობლებმაც რუსეთში წაიყვანეს...

გელამ ერთი კვირაც ვერ გაძლო უცოლშვილოდ და თან გაჰყვა.

უკან მალე დაბრუნდა... ელასთან ერთად...

არავინ იცის, რა მოხდა იქ... არც შავოს უკითხავს რაიმე ოდესმე... ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ ლარისა აღარასოდეს გამოჩენილა...

გელამ სიკვდილის შემდეგაც ვერ აპატია მამამისს ოჯახის დანგრევა. ცოლის შერთვაც, მას შემდეგ აღარ უცდია...

ელა თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა. შავოს სიგიჟემდე უყვარდა პატარა. სულ კისერზე შესმულს დაატარებდა, ხან ზოთპარკში და ხან – ვაკის პარკში...

სუსტი ჯანმრთელობის ბავშვი გამოდგა ელა. ხშირად ავადმყოფობდა. წამდაუწუმ ცივდებოდა და სიცხეს აძლევდა, სიცხიანს კი გულისრევა ეწყებოდა... ერთხელ, შავომ მთელი ღამე ხელით ატარა სიცხიანი, არაფრით მიეკარა სხვას... არადა, ხუთი წლის იყო და უკვე საკმაო წონა ჰქონდა. შემდეგ ორი დღე კუნთები სტკიოდა...

სპორტზე ატარეთო – ურჩიეს ექიმებმა და გელამ და შავომ იპოდრომზე წაიყვანეს – ცხენით ჯირითი ვასწავლოთო...

სასაცილოდ ჩანდა ცხენზე ამხედრებუ-



ნუგზ ბაგელი

ელა

ლი, ციცქნა, გამხდარი გოგონა... ელას ძალიან შეუყვარდა ცხენები... შავოს თითქმის ყოველდღე დაჰყავდა იპოდრომზე... ელასთან შავო უფრო მეტ დროს ატარებდა, ვიდრე მამამისი. შეიძლება, შვლთან ურთიერთობა მტანჯველ მოგონებებს უღვიძებდა გელას... ელა თანდათან უფრო და უფრო ემსგავსებოდა დედამისს... სკოლაში წასვლასთან დაკავშირებით, შავომ პატარა, ორთვილიანი ველოსიპედი უყიდა ელას. ახლა ახალი გასართობი გაუჩნდა... ველოსიპედის ტარებას ასწავლიდა პატარას... ელამაც გასაოცარი ნიჭი გამოავლინა და ერთ დღეში ისწავლა... ქმრის სიკვდილის შემდეგ, გელას დედამ მშობლიურ ქალაქში გადაწყვიტა გადასვლა, ბათუმიდან იყო... იქ მამის დანატოვარი სახლიც ჰქონდათ და იმ საბაბით, რომ ზღვა უფრო გააკაჟებდა, ელაც იქ გადაიყვანა... თავიდან შავოსაც სიგიჟემდე ენატრებოდა ელა. ერთი-ორი ზაფხული მან და გელამ ბათუმშიც გაატარეს, მაგრამ მერე, დაიწყო თბილისის და აფხაზეთის ომები, არეულ-დარეულობა და დრომ თავისი გაიტანა...

ერთი პერიოდი ფინანსურად ძალიან გაუჭირდათ შავოსაც და გელასაც. რა არ სცადეს... ჯერ პროლუქტები ჩამოჰქონდათ სოფლებიდან და თბილისში აბარებდნენ, მერე სასაბიუროს გახსნა სცადეს, მაგრამ არც ერთიდან დარჩათ რაიმე და არც მეორიდან...

ბოლოს, პატარა ჯიბური ჩადგეს გარეუბანში, ნაცნობებისგან შორს, რათა ნისიად წამლებთაგან დაეზღვიოს თავი... შედარებით გაამართლა... მიჰყვნენ მაგ საქმეს... თავიდან პროლუქტებით დაიწვეს, შემდეგ კი ყოველგვარი წვრილმანიც შემოიტანეს...

ახლა ტანსაცმლის სექციაც ჰქონდათ, ელექტროაპარატურისაც, ავტოსათადარიგო ნაწილებისაც (ავტო-სატრანსპორტო ფაკულტეტი ჰქონდათ დამთავრებული და მშენებრად ერკვეოდნენ ავტომობილებში) და წიგნებისაც... წიგნები ხომ შავოს სისუსტე იყო!

უკვე სამი მთხრელი მალაზიას ფლობდნენ და თავს ღარიბებად ნამდვილად აღარ მიიჩნევდნენ... ყოველ შემთხვევაში, იმისი ფული, რომ ყოველ საღამოს რესტორანში შესულიყვნენ, ჰქონდათ...

არ უყვარდა თავისი საქმე შავოს... არასდროს უფიქრია, რომ ოდესმე ვაჭრობას მოჰკიდებდა ხელს... რამდენჯერ უფიქრია: მიეფურთხებინა ყველაფრისთვის და სადმე მთაში გადაკარგულიყო! ერთი-ორჯერ სცადა კიდევ – დედამისის სოფელი იყო რაჭაში... მიტოვებული კარ-მიდამო... მაგრამ ორი დღეც ვერ გაძლო თავისი საქმის გარეშე... მიეჩვია, ალბათ...

სწორად უთქვამთ: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო!...

ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავდა: დილით თავის ტკივილი, შემდეგ მაგარი ჩაი (რატომღაც ნაბასუსეზე მაგარი ჩაი შეელოდა ყველაზე მეტად), რაღაც ორი ლუკმა და მალაზიები... საღამოს კი ისევ რესტორანი...

ველარ იტანდა ამდენ სმას, მაგრამ წრე ჰყავდა ისეთი, რომ არ წასულიყო რესტორანში, არ შეიძლებოდა!...

და შემდეგ ყველაფერი ისევ თავიდან იწყებოდა: დილით თავის ტკივილი და ა.შ.

უკვე ორმოცს იყო მიტანებული... ამკარად გრძობდა, რომ სიბერე თანდათან ეპარებოდა სხეულშიც და სულშიც...

წინარი საღამო იდგა. როგორც ყოველთვის, რესტორანში შევიდნენ საჭმელად. ჭიქას ჭიქა მიჰყვა და კარგად დათვრნენ...

ბავშვობა მოიგონეს... სკოლაში სწავლა... პირველი სერიოზული ჩხუბი გოგოს გულისთვის თანატოლებთან...

მაყვალა გაასხენდათ... მათი მესაიღუმ-
ლე... სწორედ მისგან გაიგო პირველად
ორივემ, თუ რას წარმოადგენდა ქალი სა-
წოლში!..

– ჯერ კიდევ მაშინ იყო მაყვალა
ორმოცს კარგად გადაცილებული... ახლა
რამდენის იქნება, ნეტავ?!.. აუჰ!.. თითქმის
სამოცდაათის!.. – გელამ გაოცებისგან
დაუსტვინა...

მაყვალას მამა მეორე მსოფლიო ომის
დროს იტალიაში იყო ნაბრძოლი. გერ-
მანელების ტყვეობიდან გაქცეულა და იქ
მოხვედრილა... როგორც მაყვალა ამბობდა,
იტალიის ომის გმირი იყო, თუ რაღაც
ამდგავარი... ყოველ შემთხვევაში, რაღაც
მედლებს აჩვენებდა ხოლმე ბიჭებს...

მაყვალას სახლში მამის პატარა სახლ-
მუზეუმშიც ჰქონდა მოწყობილი ერთ ოთახ-
ში. ოთახი უამრავი ფოტოსურათით და
ათასგვარი იტალიური წიგნით და სუვე-
ნირით იყო სავსე...

ასე იყო, თუ ისე, ჯერ კიდევ მაშინ,
რკინის ფარდის დროს, მაყვალას სახლში
საცხრამაისოდ უამრავი იტალიელი იკრიბე-
ბოდა!..

ისე გემოვნება კი ჰქონდა მაყვალას!..
ლამაზად ცხოვრობდა... ბინა შესაშურად
კონტად ჰქონდა მოწყობილი!.. მაგრამ პა-
ტარა, გამოუცდელი ბიჭები უყვარდა სივითე-
მე და რა ექნა?!.. უზარმაზარ სიამოვნებას
ღებულობდა, როცა მათ გარყვნილებას ას-
წავლიდა... ისე, არც „ქორფა“ გოგონებზე
ამბობდა უარს...

ერთხელ, საღდაც გაემგზავრა მაყვალა,
მგონი რიგაში, ძველ საყვარელთან და სახ-
ლის გასაღები მათ დაუტოვა... რატომ
სწორედ მათ – ახლაც ვერ ხვდებოდნენ...

მეორე დღესვე შეკრიბეს მაყვალასთან
გაცნობილი გოგონები და მაყვალას ჩამოს-
ვლამდე თითქმის არც გამოსულან ბინიდან...
მთელი დღეები პორნოფილმებს ატრიალებდ-
ნენ იტალიელების მიერ ნაჩუქარ ვიდეოზე
(ვიდეო მაშინ საკმაოდ იშვიათი სიამოვნე-
ბა იყო!) და არაქათის გამოცვლამდე არ
გადმოდიოდნენ საწოლიდან...

ელას ბავშვობაც მოიგონეს... მოიგონეს,
როგორ დაუტოვეს ცხრა თვის ელა მთე-
ლი დღე-ღამით შავოს, როგორ წვალობდა
ჩასვრილ-ჩასველებული საცვლების გახდა-
ჩაცმაზე, ჩვილის დაბანაზე... შემდეგ,
წამოზრდილს როგორ ასწავლიდნენ ცხენ-
ით ჯირითს, ველის პედის ტარებას...

– ისე, რამდენი წელია, არც მინახავს?!..
– მეხუთე დაიწყო...
– მეხუთე?!.. როგორ გარბის დრო?!..
თითქოს გუშინ იყო, ბათუმში რომ ვიყავით
იმ ზაფხულს!..
– რას იზამ... ვბერდებით!..
– ლარისას აღარ უნახავს მას შემ-
დეგ? – ამდენი წლის მერე პირველად
შეეკითხა შავო.

– არა... რამდენი ხანია მას ქმარიც
ჰყავს და შეილებიც... – ნათქვამს მთელი
გული ამოაყოლა გელამ...

„ახლაც უყვარს... არ უნდა მეკითხა...“
– ინანა.

ცულ გუნებაზე დადგნენ. რამდენიმე ჭიქა
ისე დალიეს, კრინტიც არ დაუძრავთ.

– სხვათა შორის, ხვალ ჩამოდის ელა.

– მართლა?! არდადეგებზე?

– არა, უკვე დაამთავრა.

– ასე მალე?!
– რაღა მალე? უკვე თვრამეტი წლი-

საა.
– ჰოო... მართალი ხარ... ვბერდებით,
ძმალ!.. ესე იგი მალე ბაბუაც გახდები!..
გაუფრთხილდი, ცულმა არავინ მოგტაცოს!

– რა ვიცი... არა მგონია, მაინცდამაინც
ჩემს ჭკუაზე გაიაროს...

– შენც ცოტა მოსცხე საჯდომზე.

– ეჰ, ხომ იცი, მე ეგეთები არ მეხერხ-
ება, თანაც ამდენი წელია, თითქმის უჩემოდ
იზრდება... ახლა რომ დაეუწყო ჭკუის
ღარიგება, უკვე გვიანია!..

ისევ დუმოლი... ისევ რამდენიმე ჭიქა
უხმოდა...

– წამო, გინდა მაყვალა ვნახოთ?! გუნებას
გამოგვიკეთებს!.. – შავოს გაეხარდა, რომ
ასეთი აზრი მოუვიდა.

– იქნებ, ცოცხალიც აღარ არის?!

– ცოცხალი კი არა, ყვავის თურმე!
ამას წინათ მითხრა ვიღაცამ, რომ ჩინებუ-
ლი სასტუმრო აქვს და გადასარევი ქაღე-
ბი ჰყავსო. იტალიელებთან ერთად გაუსხ-
ნია, ხომ გახსოვს, ჯერ კიდევ მაშინ იყო
იტალიელებთან ჩახუტებული.

– მერე, მე ელას რომ უნდა დავხვდე
დილით?

– დავხვდეთ, მერე...

– ნეტა, თუ გვიცნობს მაყვალა?..

– გვიცნობს კი არა... ჩვენისთანა მილ-
იონი ჰყავდა...

შენობა არც ისე დიდი იყო, მაგრამ
საოცრად კონტა და მოვლილი.

– ყოჩად, მაყვალა! არ დაგიკარგავს
ძველი გემოვნება! – აღტაცება ვერ დაფარა
შავომ.

– გახსოვს, ბინაც რა ლამაზად ჰქონდა
მოწყობილი?..

დირესთან საქართველო თავდებოდა და
„დასავლეთი“ იწყებოდა, თავი პარიზში გე-
გონებოდა!..

მაყვალაც გამოჩნდა... ზუსტად ისეთი,
როგორც თითქმის მეოთხედი საუკუნის
წინ!..

– ააა, ორი გელაც მოვიდა!..

შავომ და გელამ ერთმანეთს თვალებდაჭ-
ყვტილებმა გადახედეს...

– შენ კი – ვერ გვიცნობსო...
– მე არავინ, არასდროს მევიწყებია!..
ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში... მე ისიც

მშვენივრად მახსოვს, რიგაში რომ გავფრინდი
და თქვენ კი, გიჟური ორგები მომიწყვეთ
ბინაში, თქვე ცულუტებო!.. მთელი კვირა
ვრეცხავდი თქვენგან დასვრილ თეთრეულს!..
ასე უნდა ძველი ნაცნობების დავიწყება?!
– კეთილად გაიღმა.

– თქვენ ისევე გამოიფურებით, როგორც
მაშინ, სულ არ შეცვლილხართ!.. – ძალიან
თეატრალურად გამოუვიდა შავოს.

– ოო, მიყვარს ქათინაურები და რა
ექნა?! კარგო... გააპატიებთ მაშინდელ
ცულუტებო...

იქვე პატარა ბარი იდგა. შავომ სამი
ჭიქა ძვირფასი კონიაკი ჩამოასხმევინა. ერთი
მაყვალას გაუწოდა.

– ეს თქვენს სახლს გაუმარჯოს და
ჩვენს დაბრუნებას თქვენთან!

შავო ფეხზე ძლივს იდგა. იქვე სავარ-
ძლებში ლამაზმანები ისხდნენ და სიგა-
რეტს ეწეოდნენ. შავოს თვალები გაუბრწყ-
ინდა.

– ქალბატონო, მაყვალა! ჩვენთვის თავის-
უფალი ნომერი ხომ გექნება? – ველარ
ისვენებდა შავო.

– უკვე ქალბატონი გავხდი?! ცხვირ-
მოუხტოცავი ღლაპები როცა იყავით, მაშინ
არ მომძარტავდით ქალბატონობით!..

– მაშინ მართლაც ღლაპები ვიყავით...
და ეს გოგონები რომ დავპატიოთ ნომერ-
ში, ხომ შეიძლება?..

– ესენი სწორედ მაგისტვის სხედან
აქ... მაგრამ ყველაფერი ჯიბეზეა დამოკ-
ილებული! ცხოვრება შეიცვალა...

– რა თქმა უნდა!..

შავომ ორი ამოიჩნია – ქერა და
შავგვრემანი.

– ვითომ ერთი არ გეყოფოდა?! ისე-
დაც ფეხზე ძლივს დგახარ! – მხარი წაჰ-
კრა გელამ.

– მთავარია, ის იდგეს და მე დაწო-
ლილიც კარგად ვიგრძნობ თავს! მიყვარს
მრავალფეროვნება... აბა, გოგონებო, ახლა
საწოლამდე მიმიყვანეთ...

– არა, შენი გამოსწორება არ იქნება...

– მხოლოდ საიქიოში...

ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა გამოედვი-
და...

გაბრუებული იყო. ბარბაცით მივიდა
მაგიდასთან. ხილი, შამპანური და რაღაცის
წვენი დახვდა ზედ. შამპანურის დანახვაზე
უსიამოდ შეაჭრყოლა. წვენი მოსვა, რისი
იყო, ვერ მიხვდა, მაგრამ ესიამოვნა და ბო-
ლომდე დაცალა. შემდეგ ლიმონი გაჭრა
და პირში ჩაიწურა. სიმჟავემ სახე დაუბრი-
ცა...

საბაზანოში შევიდა. შუაში მრგვალი
აბაზანა იდგა. ცხელი წყალი მოუშვა და
შამპანი ჩაასხა. კიდევ ჩამოჯდა. უაზროდ
დაამტვრდა, თუ როგორ ქაფდებოდა წყა-
ლი და როგორ ივსებოდა აბაზანა...

შემდეგ მოაგონდა, რომ აბაზანა შიგ ჩასაწოლად აავსო.

ჩაწვა. ეამა. ცხელმა წყალმა ალკოჰოლი სულ გამოწვოვა სხეულიდან, მაგრამ უცნაურად მოთენთა. თვალი მილულა და ბურანში გაეხვია...

— ასე არ დაიხრჩო...

აბაზანაში უკვე სამნი იწვნენ... ერთი ქერა იყო, მეორე — შავგვრემანი...

— თქვენ ვინა ხართ?..

— რა, წუხანდელი არაფერი გახსოვს?!

— არ ვიცი... ჯერ არ მიცდია გახსენება...

— შენ რა მაგარი ყოფილხარ!.. გათიშული მთვრალიც კარგად მუშაობ!.. — ქერა უკვე ეალერსებოდა...

გელა შემოვიდა.

— შენ კიდევ ჩაუტყელი ხარ?!.. გოგონებო, ბოდიში, მაგრამ ეს კაცი უნდა მოგტაცოთ!..

— რატომ?! ჩვენ იგი ძალიან მოგვეწონა!..

— არ მოიწყინოთ. ეს ისეთია, კიდევ არაერთხელ მოვა თქვენთან!..

მანქანა დიდი სიჩქარით მიქროდა. სარკმლიდან მონაქროლი ნიავე სახეზე ეალერსებოდა და ისიც კნუტით თვალუბრაზე უჭული გატვინულიყო... რაღაც ვერ იყო კარგად, საფეთქლებში გრძობდა საკუთარ გულისცემას...

— არა!.. გადავივარჯანსაღ ცხოვრების წესზე! შორს ალკოჰოლი და ქაღებები!.. ამაში ელა დამეხმარება!.. მორჩა, ხელს ვკიდებ მის აღზრდა-განათლებას!.. ისე, რა გინდა, რომ გამოვიდეს?.. და საერთოდ, საით მივდივართ?!

— ჩემთან.

— აბა, ელას უნდა დაგვხვდეთ?!

— ელას უკვე დაგვხვდა. შენი ამბავი რომ ვიცი, პახმელიაზე ისე ადრე ადგომი არ იყავი... წუხელ ფეხზე ძლივს იდექი... ელამ — ძალიან მომენტარაო და იმისთვის მოვედი. აბა, ელას ხომ არ წამოვიყვანდი იქ?!

მანქანა გელას სახლის წინ გაჩერდა. გელას დიდ დილომთან პატარა კოტეჯი ჰქონდა აშენებული, პატარა და სუფთად მოვლილი ეზოთი.

მამისეული ბინა ძმას დაუტოვა. ძმას უკვე ცოლ-შვილი ჰყავდა და გელამ იქ ზღმეტად მიიჩნია თავი...

გელას ეზოს გვერდით შავოს ნაკვეთი იყო. ერთად იყიდეს. დროზე მოასწრეს, მამინ იაფი ღირდა, ახლა კი ცეცხლის ფასი დაედო. შავოს ნაკვეთი ერთი ჭერმის ხის მეტი არაფერი იდგა, წელამდე ბალახი იყო ყველაფერს მოდებული... გული ვერ დაუღო სახლის აშენებას... ან ვისთვის



უნდა აეშენებინა?! ცოლ-შვილი არც მას ჰყავდა და არც მის ძმას...

შავომ მანქანიდან გადმოსვლაც ვერ მოასწრო, რომ ლამაზი, ოქროსფერთმიანი ქალწული ტურნებზე დაეკონა...

უშუალოდ შეიგრძნო მისი მკვრივი მკერდი, რბილი თეძოები, მისი გულისცემა და თბილი სუნთქვა...

ქალწული მოსცილდა და გაბრწყინებული სახით მიაჩერდა. შავო კი იდგა თვალუბრაზე და განძრევასაც ვერ ახერხებდა...

მის წინ საოცრება ყვოდა!.. განა შეიძლებოდა, იმ წვრილფეხება, ავადმყოფური სახის მქონე ბავშვიდან, ასე უცებ, ასეთი სილამაზე აფეთქებულიყო?!

— შავო, რატომ ერთხელაც არ მინახულე?!

შეკითხვამ უმალ გამოაფხიზლა. საკუთარ თავს გაუბრაზდა ასეთი გამოჩერებებისთვის...

— ჯერ ეს ერთი, შავო კი არა, ბიძია გელა! მე შენ მამად გეკუთვნი, შენი ჩასვრილი უკანალი მიწმუნდია ერთ დროს და კიდევ მეორე, ვინ გასწავლა ასეთი კოცნა?! მეორედ აღარ გაიმეორო ჩემთან!..

— ოჰ, ოჰ, ოჰ, ჯერ ერთი, კოცნა დიდი ხანია, ვისწავლე, პატარა აღარ ვარ; მეორე — რაღაც ოციოდე წლით ხარ ჩემზე უფროსი, დიდი რამე, ახლა მოღამია უფროსი ბიძები! და მესამეც, არ გინდა ბრაზიანი ბიძის როლის თამაში, არ გიხდება! არ მიყვარს, როცა ჭკუას მარიგებენ... ცხოვრებას მე თქვენზე არანაკლებად ვიცნობ, მეტად თუ არა!.. — ხელი ილიის ქვეშ შეუცურა, ყურის ძირში აკოცა და ფოთოლივით აეკრა...

— გელა, გუშინ რაც გითხარი, სწორი მითქვამს! შენს გოგოს ერთი კარგი მოცხება უნდა უკანალზე, სულ რომ დაივიწყოს, კაცი რას ჰქვია!

— როგორ შემეშინდა?! მორალისტები!.. რაღაც, თქვენი ცხოვრების წესი სულ სხვა რაღაცაზე დადგება!..

— ჩვენი ცხოვრების წესით, ასე თუ ისე, ფულს ვშოულობთ ამ ანგრეულ ცხოვრებაში! იმისთვის, რომ შენ კარგი ჭამო, კარ-

გი ჩაიცვა, კარგ სასწავლებელში ისწავლო და რა ვიცი, კიდევ რა...

— ჰო... შენ რა ასე წლის ბაბუასავით ლაპარაკობ!.. მართლა ხომ არ დამიბერდი?!.. თუ გუშინდელი სიმთვრალის ბრალია ყველაფერი?! ასე ხვდებიან ხუთი წლის უნახავ ახლობელს?!.. წამოდი, დაგამშვიდებ. ალბათ, თავიც გტკივა და გულიც აღარ გიმუშავებს... წამალს დაგალევიან და ჭკუის ღარიგების სურვილიც გაგივლის... — ხელკავი გამოხლო და სახლისკენ წაიყვანა.

წამალი დალია და წამოწვა.

თვალი დახუჭა. ქუთუთოები უხურდა. ელაზე ფიქრისაც კი ეშინოდა. ყველაფერს ელოდა და დღევანდელი დღის ასეთ დაწყებას, არა...

შუბლზე ხელის ნაზი შეხება იგრძნო. სუნთქვა შეწყვიტა. მიხვდა, კიდევ ერთი ბრძოლის გადატანა მოუხდებოდა... მაგრამ ბრძოლის ვისთან, ელასთან? არა... საკუთარ თავთან!.. როგორც იქნა, გამოტყდა... აგერ, საათზე მეტი იყო, იწვა, არა, კუნძით ეგდო და ვერ ბედავდა თავის თავს გამოსტყდომოდა, რომ მოჯადოებული იყო ელათი...

ტურნებზე ელას ბავთა შეხება იგრძნო. გველნაკებენით შეკრთა, სახე შეატრიალა და სწრაფად წამოვიდა.

— ელა... — თავი ხელებში ჩარგო და შეეცადა, აზრი მოეკრიბა.

— შენ სულ არ შეცვლილხარ ამ ხუთ წელში.

— სამაგიეროდ შენ შეიცვალე... უსუსური ბარტყიდან მშვენიერი გელი გახდი... ელა, ხომ გითხარი, მეორედ ასე არ გააკეთო-მეთქი!..

— რატომ, არ მოვწონვარ?..

— სულელო! რა მოწონებაზეა ლაპარაკი! მამაშენი ჩემი ბავშვობის მეგობარია, შენ პირველი დღიდან ჩემ თვალწინ იხრდებოდი... შეილივით ხარ!

— მერე რა!.. რაც თავი მანსოვს, სულ მიყვარდი, სულ შენს ცოლობაზე ვოცნებობდი...

— რა ცოლი!.. ცოლის გუება რომ შემძლებოდა, აქამდე შენხელა შვილი მეყოლებოდა! გათავდა... მე თითქმის მოვრჩი ცხოვრებას! მალე, კი ალბათ, ან გული გამიჩერდება, ან ტვინში მომივა „მოკლე ჩართვა“! შენ კი ახლა იწყებ ცხოვრებას! რა, გადაშენდენ ახალგაზრდა ბიჭები?!

— ვერ ვიტან, დეგენერატები არიან!..

შავომ ხელი ჩაიქნია და ოთახიდან გავიდა.

— მაინც ჩემი იქნები! ჩემი!.. — მიადევნა უკან ბოლო სიტყვა. თითქმის კიოდა...

გაგრძელება იქნება


მსახიობი ხუმრობს, რომ ყველა უსია-
მოვზების დაძლევაში საკუთარი ინტელექ-
ტუალური განვითარების (ე.წ. IQ-ს) მა-
ღალი კოეფიციენტი დაეხმარა. მისი IQ
კი 154 პუნქტს შეადგენს (აინშტაინის
კოეფიციენტი) – მაშინ, როცა ადამიანთა
უმეტესობის ინტელექტუალური განვითარე-
ბის კოეფიციენტი 85-ს და 115-ს შორის
მერყეობს. ვერ კიდევ ბავშვობაში, პონიზე
სეირნობისას, შერონმა ეზოში გაბმული
სარეცხის თოკი ვერ შენიშნა და მთელი
ძალით მიწას დაენარცხა. ამ შემთხვევამ
სტოუნს „სამახსოვროდ“ კისერზე თხუთ-
მეტსანტიმეტრანი ნაიარევი დაუტოვა და
ამიტომაც, მსახიობი საზოგადოებაში არა-
სოდეს ჩნდება კისერზე შემოხვეული
შარფისა ან პატარა ყელსახვევის გარეშე.

20 წლის შერონი ძველი „ფორდით“
დიდი სისწრაფით შეასკდა უზარმაზარ
მუხის ხეს. ამას, შემდეგ ინფექციური
მენინგიტით დაავადება მოჰყვა. რამდენ-
იმე წლის წინ კი, ავტოკატასტროფაში
მოხვედრილმა მსახიობმა თავის მძიმე
ტრავმა მიიღო. შერონის პრესმდივანი
სინდი ბერგერი აცხადებს, რომ ამის შემ-
დეგ სტოუნის ხშირად უჩიოდა თავის
ტკივილს, მაგრამ ამას მომხდარ ავარიას
არ უკავშირებდა, ფიქრობდა, რომ ეს ჩვეუ-
ლებრივი შაკიკი იყო და განუსაზღვრე-
ლი რაოდენობით იღებდა მაღალი წნევის
საწინააღმდეგო აბებს. შერონის ქმარმა
ფილ ბრონშტეინმა ცოლის დასახმარე-
ბლად, მანუალური თერაპიის სპეციალ-
ური სავარჯიშოებიც კი შეისწავლა. როცა



„მინდა, ჩემს თაყვან-
ისმცემლებს მადლობა გა-
დავეხადო სიყვარულისა
და მხარდაჭერისთვის.
სიცოცხლის ბოლომდე
ყოველი მათგანის მად-
ლიერი ვიქნები“, – განა-
ცხადდა შერონ სტოუნმა
საავადმყოფოდან გამოს-
ვლის შემდეგ მიცემულ ინ-
ტერვიუში. შარშან, 29 სე-
ქტემბერს, მთელმა მსოფ-
ლიომ შეიტყო, რომ 43
წლის ვარსკვლავი სან-
ფრანცისკოს ერთ-ერთი
უღიანი ნეიროქირუ-
რგიულ განყოფილებაში
მიიყვანეს და თავის ტვი-
ნის ანევრიზმის დიაგ-
ნოზი დაუდგინეს.

თავად შერონს მი-
აჩნია, რომ ეს შემთხვევა
მისი ფათურაყიანი ცხო-
ვრების პირდაპირი შედე-
გია, რომელიც ვარსკვ-
ლავს ბავშვობიდან თან
სდევს.



მეივ ოპინასიის უბედურ შერონ სმოვნებას უჩინდება სტოუნნი

მასაჟმა და აბებმა არ იმოქმედა, მსახიობ-
მა ტკივილის გასაყურებლად აკუპუნქ-
ტურა სცადა და გარკვეული ხნით შეტ-
ევებს გაუქლავდა კიდევ. მაგრამ 29
სექტემბერს შერონს ისეთი ძლიერი
თავბრუს ხვევა დაეწყო, რომ გონებაც კი
დაკარგა. შეშინებულმა ფილმა ცოლი
მაშინვე ჰოსპიტალში გააქანა. ანგიოგრა-
მამ ტვინის ზედაპირსა და მის მფარავ
მემბრანას შორის მცირე ზომის შინაგანი
სისხლჩაქცევა უჩვენა. სისხლძარღვის გახ-
ეთქვის თავიდან ასაცილებლად, ექიმებმა
ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტეს, თუმ-
ცა ესეც საკმაოდ სარისკო იყო. საბედ-
ნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა.
ვარსკვლავის მკურნალმა ექიმმა, მაიკლ
ლოუტონმა სტოუნის დაარწმუნა, რომ
გადატანილი ოპერაცია მის ჯანმრთე-
ლობასა და პროფესიონალურ საქმიანობა-
ზე უარყოფით გავლენას არ მოახდენდა.
მიუხედავად ამისა, შინ დაბრუნებულმა
შერონმა გადაწყვიტა, გარკვეული ხნით
უარი ეთქვა კინოში გადაღებაზე და სე-
რიოზულად მიეხედა ჯანმრთელობისთვის.

შერონი ქმართან,
ფილ ბრონშტეინთან ერთად

ამჟამად სტოუნი მცირე დროით
ამერიკიდან გამგზავრებასა და ევროპის
რომელიმე წყნარ ადგილას დასახლებას
აპირებს. ცნობილია, რომ მსახიობი ხორ-
ვატიის სანაპიროსთან, ადრიატიკის ზღ-
ვაში, პატარა კუნძულის ყიღვის თაობაზე
აწარმოებს მოლაპარაკებას და თანახმაა,
განმარტობისთვის საკმაოდ სოლიდური
თანხა – 1,8 მილიონი დოლარი გადაიხ-
ადოს. ყველაზე მეტად ახლა შერონს
აბეზარი ჟურნალისტებისგან თავის დაღ-
წევა სურს. არადა, იყო დრო, როდესაც
შერონი ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ
მისი სახელი პრესის საელიტო ქრონი-
კის სვეტში მოხვედრილიყო.

მსახიობის მთელი ცხოვრება თავ-
ბრუდამხვევ რბოლას ჰგავს. მისი უახ-
ლოესი მეგობარი, რომელიც მსახიობს
ოც წელზე მეტია იცნობს, ამბობს: „შე-
რონი რადიკალურად განსხვავდება გარშ-
ემომყოფი ადამიანებისგან ცხოვრების
რიტმით“. უმთავრესი მისთვის ყოველთვის
რისკი იყო, პირველ ადგილზე მუდამ ამ-
ბიციებსა და კარიერას აყენებდა. პოლი-
ვულის უმადლესი მწვერვალის დასაპყ-
რობად შერონი მართლაც ტიტანურ

შრომას ეწეოდა. უბრალო ფოტომოდელიდან კინოს ვარსკვლავად გადაქცევას კი, 15 ხანგრძლივი წელიწადი შეაღწია.

შერონ სტოუნზე ნამდვილად ვერ იტყვი, რომ მან დაიძინა და ერთ მშვენიერ დღეს სახელგანთქმულ მსახიობად გაიღვიძა: „მე ადამიანთა იმ კატეგორიას მივეკუთვნები, რომელიც წარმატებას ისე ითვლის, როგორც თავის საბანკო ანგარიშზე დადებულ ფულს...“ – ამბობს მსახიობი.

სტოუნმა არც მაშინ მოისვენა, როცა ჰოლივუდის წამყვან მსახიობთა გუნდში დაიკვიდრა ადგილი, რადგან საკმაოდ კარგად ახსოვდა ის დრო, როცა პოპულარობის მოპოვების მიზნით ყველაფერზე თანახმა იყო...

პენსილვანიის შტატის პატარა ქალაქ მედვილის მკვიდრი შერონი, ჰოლივუდში ავტობუსით ჩავიდა. იმ დროისთვის მას სააგენტო „ეილინ ფორდში“ ფოტომოდელიად მუშაობის რამდენიმე წლის გამოცდილება და 1975 წელს მიღებული „მის პენსილვანიის“ ტიტული ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას, მას ქიმიამი ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, შერონმა სკოლა 15 წლის ასაკში დაამთავრა და ბაკალავრის ხარისხი მიიღო, – მისი ყველა ფიქრი მუდამ კინოს



უკავშირდებოდა. მაშინაც კი, როცა მოდელიად მუშაობდა და ისეთი ცნობილი ჟურნალების გარეკანისთვის უღებდნენ ფოტოებს, როგორებიცაა Vogue-ი და Elle-ი, სტოუნს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ მისი ცხოვრების ერთ-ერთი გარდამავალი ეტაპი იყო და წინ მსახიობის კარიერა ელოდა. შერონი თეატრალურ კურსებზე ჩაეწერა და საღამოობით შექსპირის, უილიამსა და ჩეხოვის პიესებს სწავლობდა. ბუდამ ქალს მართლაც გაუღიმა: მას ცნობილმა რეჟისორმა, ვუდი ალენმა მიაქცია ყურადღება.

შერონის სამსახიობო კარიერა ვუდი ალენის ფილმში – „მოგონებები ვარსკვლავურ მტკვერზე“ შესრულებული ეპიზოდური როლით დაიწყო. ამის შემდეგ, ჰოლივუდში გატარებულ პირველ 10 წელიწადში მან კიდევ მრავალი მეორეხარისხოვანი როლი შეასრულა (ძირითადად, მომხიბლავ, არაფრით გამორჩეულ ქერა ქალებს ასახიერებდა), ამიტომ 34 წლის ასაკში, ერთფეროვანი ნამუშევრებით დაღლილმა შერონმა, საკუთარ თავს პირობა მისცა: „ან ყველას გავაოგნებ, ან სუპერმარკეტში გამყიდველად დავიწყებ მუშაობას“.


გამყიდველად მუშაობა სტოუნს არ მოუწია, მას ისევ გაუმართლა: იმ დროისთვის ნაკლებად ცნობილ მსახიობს ხელში მისთვის სკანდალური პოპულარობის მომტანი ფილმის – „ძირითადი ინსტინქტის“ სცენარი ჩაუვარდა. ამ სურათში გადაღებამ შერონს 750 ათასი დოლარი და 90-იანი წლების სექს-სიმბოლოს სახელი მოუტანა. ახლაც ძნელი დასაჯერებელია, რომ მაშინ მაიკლ ლუგლასი თურმე უარს

ამბობდა სტოუნის პარტნიორობაზე – სწორედ იმის გამო, რომ მისი სახელი არაფერს ეუბნებოდა...


„ძირითად ინსტინქტში“ გადაღების შემდეგ (ეს მისთვის 25-ე კინოროლი იყო), მსახიობი პრაქტიკულად შეუსვენებელი მუშაობდა: „ორი წლის მანძილზე შინ მხოლოდ ორი კვირა გავატარე“. სამაგიეროდ 1995 წელს, ჰოლივუდის დიდების ხეივანში კიდევ ერთი – შერონ სტოუნის ვარსკვლავი გაჩნდა. ცხოვრება კი, ისევ თავბრუდამხვევ ტემპში გრძელდებოდა. 1996 წელს ფილმ „კაზინოში“ შესრულებული ჯინჯერ მაკენას როლისთვის სტოუნი „ოსკარზე“ იყო ნომინირებული და „ოქროს გლობუსი“ მიიღო. ეს როლი მისთვის იოლი არ იყო: „გადაღებები ზუთი თვე გრძელდებოდა და ამ დროის მანძილზე სამი წლით დავებრდი“, – ამბობს მსახიობი.

შერონ სტოუნმა კინოში კიდევ ბევრი დასამახსოვრებელი სახე შექმნა. „რაც შეეხება ჩემს პროფესიას, – ამბობს იგი, – აღარ მიწევს საკუთარი თავის იმაში დარწმუნება, რომ წარმატებას მივალწი: სხვებზე შთაბეჭდილების მოსახდენად არც თვალთმაქცობა მჭირდება. ახლა იმას მივაღწიე, რომ არავისთვის არაფრის მტკიცება არ მჭირდება...“

მსახიობმა რთული ოპერაცია კარგად გადაიტანა, თუმცა ჯერჯერობით იშვიათად ჩნდება ხალხში, მაგრამ ამის გამო სულაც არ წუხს და აღნიშნავს: „დავრწმუნდი, რომ ოჯახის მოყვარული ადამიანი ვარ და შინ ჯდომა ძალიან მსიამოვნებს...“



Caterham-ი და მისი „თანამოძმენი“



ეს ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ინგლისური სპორტული ავტომობილი, უპირველესად, SUPER SEVEN-ის სახელით არის ცნობილი. მისი ავტორი, კონსტრუქტორი კოლინ ჩეპმენი გახლავთ, რომელმაც „ფორმულა 1“-ის მრავალი ბოლიდი დააპროექტა. 60-70-იან წლებში მოდელი LOTUS-ის მარკით გამოდიოდა. 1973 წელს ორადგილიანი, მცირეგაბარიტიანი როდსტერის წარმოების ლიცენზია კომპანია CATERHAM-მა შეიძინა და დღემდე უშვებს ამ მანქანას – ბუნებრივია, თანამედროვე ტექნიკურ ბაზაზე. ნიშანდობლივია, რომ როდსტერი რეტროსტილის მოყვარულებს სულაც არ ეჩვენებათ რელიქტად, უფრო მეტიც – „კატერჰემის“ ზოგიერთი ძვირფასი მოდელი იმდენად მოწინავე ტექნიკური საშუალებებით არის აღჭურვილი, რომ ბევრ უახლეს მოდელზე უფრო თანამედროვე შთაბეჭდილებას ტოვებს.

საინტერესოა, რომ მანქანამ სახელიც არ შეიცვალა ათწლეულების მან-

ძილზე. „ლოტუსელები“ მას 7-იანიტი აღნიშნავდნენ, „კატერჰემელები“ უბრალოდ 7-ს აწერენ.

აღუმიწის კაპოტქვეშ „როვერის“ 4-ცილინდრიანი ძრავაა, რომლის მოცულობა 1,6 ლ-ს, სიმძლავრე კი – 115 ცხ.ძ-ს შეადგენს, თუმცა მანქანა იმდენად სწრაფად კრებს სიჩქარეს, რომ გაცილებით მძლავრი მოგეგვენებათ, მაგრამ ამის მიზეზი ადვილად ასახსნელია: როდსტერი სულ რაღაც 550 კგ-ს იწონის – ე.ი. დაახლოებით იმდენს, რამდენსაც მგზავრებით დატვირთული მძიმე მოტოციკლი. ამიტომაცაა, რომ მოკრძალებული მახასიათებლების მქონე ძრავის მიუხედავად, ავტომობილი საოცარი დინამიკურობით გამოირჩევა: 100 კმ/სთ სიჩქარემდე მისაღწევად მას 6,4 წმ სჭირდება.


რასაკვირველია, ეს მოყვარულთათვის განკუთვნილი მანქანაა: ის საკმაოდ ვიწროა, სპეციალურ, შეუბოჭავ ეკიპირებას მოითხოვს, ზღუდავს მძღოლის მოძრაობას, რომელმაც საკმაო მოხერხ-

ებულობა უნდა გამოიჩინოს იმისთვისაც, რომ ხელის მუხრუჭი იხმაროს ან უსაფრთხოების ღვედი დაიმაგროს. მართალია, სავარძელი წინ და უკან გადაადგილდება, მაგრამ საჭის ბორბალი უძრავია და იმდენად ახლოსაა ხელსაწყოების პანელთან, რომ მის ღერძზე რაიმე ბერკეტების დასამაგრებელი ადგილი არ ღარჩა, ამიტომ სანათების ჩასართავი ღილაკები და მოხვევის სიგნალების გადამრთველები, პანელზე დამაგრებული.

„სუპერშვიდი“ საოცრად მგრძობიარეა: საჭის ოდნავ გადაწევისას მოხვევას იწყებს, რაც დიდ სიამოვნებას ანიჭებს მძღოლს, რომელიც სრულად შეიგრძნობს იმას, თუ რას ნიშნავს, როცა ყველაფერს თავად აკეთებ: „კატერჰემი“ სრულიად თავისუფალი დამცავი (თუ დამზღვევი) ელექტრონიკისგან, ის თანამედროვე მანქანებისთვის უკვე აუცილებელი ABS-ის სისტემითაც კი არ არის აღჭურვილი, – თუმცა აქვს სპეციალური ღილაკი, რომელზე დაჭერი-



Super Seven



Lotus Seven

სას მუხრუჭების მდგომარეობას შეიტყობთ: თუ საკონტროლო ნათურა არ ჩაქრა, ე.ი. რაღაც გაუმართაობას ჰქონია ადგილი.

115 ცხ.ძ-იანი საბაზო მოდელის მაქსიმალური სიჩქარე 180 კმ/სთ-ია. ეს არც არის გასაკვირი: თავბრუდამხვევი სიჩქარე ინგლისური სპორტული ავტომობილების მთავარ კოზირს არასდროს წარმოადგენდა, რადგან ბრიტანეთი სავსეა ვიწრო ქუჩებითა და გზებით, რომელზეც სისწრაფის რეკორდებს ვერ დაამყარებ.

თუმცა „შვიდიანს“ 1,8 ლიტრიანი ძრავის მოდიფიკაციაც აქვს, რომელიც 150 ცხ.ძ-სა და 203 კმ/სთ-ს ავითარებს. მას მართლაც სუპერმანქანის დინამიკაც აქვს: 100 კმ/სთ სიჩქარეს სულ 5,1 წმ-ში აღწევს.

ფირმა „ლოტუსის“ მიერ 60-იან წლებში გამოშვებული LOTUS SEVEN MK II 40 ცხ.ძ-იანი ძრავით იყო აღჭურვილი. ეს მანქანა იმდენად ფასობს კოლექციონერებში, რომ მისი კარგად შენახული ეგზემპლარი დღეს 20-დან 25 ათას დოლარამდე ღირს.

როგორც უკვე აღინიშნა, „კატერპეის“ გარდა, ამ მოდელს ათობით საავტომობილო ფირმა აწარმოებს. მაგალითად, ჰოლანდიაში მაღალხარისხიანი და საკმაოდ ძვირად ღირებული როდსტერი – DONKERVOORT გამოდის, რომლისთვისაც აგრეგატს ფირმა „აუდისგან“ ყიდულობენ.




თვით „კატერპეის“ კი, ზემოთ დასახელებული ორი მოდიფიკაციის გარდა, რამდენიმე, გაცილებით მძლავრი ვარიანტიც აქვს. მაგალითად, CATERHAM SUPER SEVEN TURBO უახლეს LAMBORGHINI MURCIELAGO-სა და FERRARI-საც კი დაჯაბნის. თუ, მაგალითად, „ლამბორჯინი“ სასტარტო „ასეულამდე“ 3,8 წმ-ში მიღწევით იწონებს თავს, ინგლისური როდსტერის მაჩვენებელი, 3,4 წამია! მისი 2 ლიტრიანი ძრავა 303 ცხ.ძ-ს აღწევს, რაც ძალზედ ბევრია 600 კგ-იანი როდსტერისთვის.

და მაინც, SUPER SEVEN TURBO რამდენადმე მძიმეა კატერპეისური საზომით. მაგალითად, R500 მოდიფიკაცია სულ რაღაც 460 კგ-ს იწონის. ზედმეტ წონასთან საბრძოლველად, ინგლისელმა ინჟინრებმა, კრისტალებით დამზადებულ ხელსაწყოთა პან-

ელსა და საქარე მინაზეც კი თქვეს უარი. R500 მისთვის საგანგებოდ შემუშავებული 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფითა და 1,8 ლ-იანი, 232 ცხ.ძ-მდე ფორსირებული ძრავით არის აღჭურვილი, 100 კმ/სთ სიჩქარეს კი, 3,6 წმ-ში აღწევს.

თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, რომ აღინიშნოს: ფართო მაგისტრალეზე „კატერპეისი“, „ფერარისა“ და „ლამბორჯინის“ ტიპის სუპერკარებს ვერ გაუძლებდებიან, რადგან ამის საშუალებას, უარესი აეროდინამიკა არ მისცემს. ამიტომ SUPER SEVEN TURBO-ს მაქსიმალური სიჩქარე 252 კმ/სთ-ია, R500-ისა კი – 235 კმ/სთ.

დაბოლოს, ფასების შესახებ: თუ კომპანიის საბაზო მოდელები შედარებით ხელმისაწვდომია ფართო მომხმარებლისთვის, აღინიშნული ორი მოდელი საკმაოდ ძვირად ღირებულია: მაგალითად, SUPER SEVEN TURBO ევროპაში თითქმის 80.000 დოლარი ღირს, ამ თანხად კი, PORSCHE 911-საც კი შეიძენ...



„სიესტა“ ალბომის გამოსაშვებად ემჯარება

კვარტეტმა „სიესტამ“ ხალისიანად გაატარა ზამთრის სეზონი ბაკურიანში და რამდენიმე დღის წინ თბილისში დაბრუნდა. გოგონების თქმით, დასვენების პერიოდში არც შემოქმედებითი საქმიანობა შეუწყვეტიათ. პოპულარულ გასართობ დაწესებულებებში გამოდიოდნენ კიდევ სულ ახლახან კი „სიესტას“ კიდევ რამდენიმე საინტერესო წინადადება მიუღია კერძო ორგანიზაციებისგან, რომელიც ერთობლივი მომგებიანი პროექტების განხორციელებას სთავაზობს გოგონებს. უახლოესი ერთი თვის მანძილზე გოგონები ახალი სიმღერების ჩაწერით იქნებიან დაკავებულნი, რომელიც მუსიკალური ალბომისთვის მზადდება.

ლევან ლანცატიშვილის ახალი ჰიტი



უფროსი თაობის წარმომადგენლებს კარგად ახსოვთ ნორჩი მომღერლის მიერ რობერტ ბარძიმაშვილთან ერთად შესრულებული „ლამპიონების ნათება“, რომელიც მალე „დაგვიბრუნდება“, ოღონდ, განსხვავებული – რიმეიქის სახით. მას ისევ ლევან ლანცატიშვილი წარმოადგენს ორ ახალ სიმღერასთან ერთად, რომელიც ლევანმა საკუთარ მუსიკალურ სტუდიაში ჩაწერა. ახალი სიმღერების ავტორად კი, ზურაბ მანავაძე და მაია კაჭკაჭიშვილი მოგვევლინებიან.

„იმიჯცენტრის“ „დამაღმის დღე“

ამ დღეებში ღამის კლუბმა „ელიტამ“ მოდელების სააგენტო „იმიჯცენტრს“ უმასპინძლა, რომელმაც საკუთარი დაარსების დღე აღნიშნა.

„იმიჯცენტრის“ დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის ია კიწმარიშვილის გამოსვლის შემდეგ, ცენტრის პირველ კურსდამთავრებულებს დიპლომები გადასცეს.

სპეციალურად მოწყობილ პოდიუმზე კი სააგენტოს ახალგაზრდა მოდელებმა სეზონური კოლექცია წარმოადგინეს.

სტუმრები აღფრთოვანებით შეხვდნენ მომღერალს, თათია გიორგობიანს, რომელმაც განსხვავებული სტილის ორი სიმღერა შესთავაზა მსმენელს და „იმიჯცენტრსაც“ თბილად მიულოცა „დაბადების დღე“. შემდეგ ღამის კლუბი ე.წ. ალტერნატიული მუსიკის ჰანგებმა მოიცვა: სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ დათო ბაღუაშვილი, ჯგუფი „ბისი“, შოთიკო მაისურაძე, ზურაიკელა და დავით ხარატიშვილი.

დასასრულს „იმიჯცენტრმა“ უზარმაზარი სადღესასწაულო ტორტი და შვედური მაგიდა შესთავაზა სტუმრებს.



თათია გიორგობიანი (მარჯვნივ) სალონის სტუმრებთან ერთად



ქეთა თთუქტიას ვიტყუალური ნასცდომი

ქართული მუსიკალური კლიპების მოყვარულთ ალბათ გაუხარდებათ იმის შეტყობა, რომ დაახლოებით ორ კვირაში იხილავენ ქეთა თთუქტიას ახალ მუსიკალურ კლიპს, რომელიც სიმღერაზე – „შენთვის ვმღერი“ იქნება გადაღებული და იმით იქნება გამორჩეული, რომ საქართველოში სამგანზომილებიანი ვირტუალური კლიპის შექმნის პირველ მცდელობას წარმოადგენს. რეჟისორებად ირაკლი ფორჩხაძე და გაია გაფრინდაშვილი მოგვევლინებიან. საინტერესოა, რომ მის პერსონაჟებს შორის ცნობილ ქართველ მოდელიერს, ავთო ცქვიტინიძეს ვიხილავთ: ავთო ვირტუალურ კლიპში ქეთას შეყვარებულის როლს შეასრულებს.

როგორც ქეთამ გაგვიმხილა, ის ძალიან გახარებულია აღნიშნული კლიპის შექმნის ფაქტით და სამონტაჟო სამუშაოების დასრულებისთანავე მის პრეზენტაციას მიაწყობს.



მიშელ პეტაიტუბი პენსიაზე ისტუმბუნ

შიძლება ეს დასკვნა ცოტა ნაადრევია, მაგრამ კონკრეტულ ფაქტს ეყრდნობა: „ბეტმენის“ ახალ ეკრანიზაციაში ქალი-კატის როლს, 42 წლის ვარსკვლავის ნაცვლად, ახალგაზრდა ლამაზმანი ეშლი ჯადი შეასრულებს. ამასთან დაკავშირებით მიშელ პეტაიტუბმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რეჟისორ ტიმ ბარტონის მიერ 1992 წელს გადაღებული ფილმის გაგრძელებაში მონაწილეობის წინადადებით პირველად მას მიმართეს და მიშელიც დათანხმდა, მაგრამ როცა შეიტყო, რომ ახალ ფილმს სხვა რეჟისორი ეყოლებოდა, როლზე უარი განაცხადა.

მიშელმა ქალი-კატის როლის ახალ შემსრულებელს წარმატება უსურვა, გამოცდილების განხიარებასაც დაჰპირდა და იმის იმედიც გამოთქვა, რომ ახალი ტექნოლოგიის გამოყენებით გაკეთებული სექსუალური შავი კოსტიუმი და ნიღაბი ბევრად უფრო მოსახერხებელი იქნება და ეშლის იმგვარ უსიამოვნებას არ მოჰგვრის, როგორსაც თავად მიშელი გრძნობდა, როცა ამ როლში მას იღებდნენ.



მეგ ტაიანს მისთვის რცნთმი საცმბთ ჰყთლია

აღამიანი, რომელიც მეგ რაიანის საქმროდ ასალებდა თავს, შეცდომით მსახიობის მოგვარის ბინაში შეიპარა. მალიბუში მდებარე სახლი, რომელიც უცნობ თავყანისმცემელს მეგის სახლში აერია, ტომ და ანდრეა რაიანებს ეკუთვნის, რომლებიც ცნობილ მსახიობის მოგვარეები არიან.



30 წლის ჯონ მაიკლ ჰიუსს საყვარელ მსახიობთან შეხვედრის სურვილი კლავდა, ამიტომ იმ დროს, როცა შინ არავინ იყო, ჰიუსმა ფანჯრის მინა ჩაატყვია, სახლში შევიდა და საყვარელ ქალთან შეხვედრის ოცნებებში გართული, დივანზე წამოწვა. შინ დაბრუნებულმა პატრონებმა მაშინვე პოლიცია გამოიძახეს. კანონის დამცველებს ჯონ მაიკლმა განუცხადა, რომ იგი მეგ რაიანის საქმროა, მისამართი აერია და ამ სახლში შემთხვევით აღმოჩნდა. მოგვიანებით პოლიციამ დაადგინა, რომ მეგ რაიანი ჯონ მაიკლ ჰიუსს საერთოდ არ იცნობდა.



პოლ მაკარტნის საცტლო ცტრმბტწმრნე ყთთილა

კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ პოლ მაკარტნის საცოლე საქმროს ფულს დახარბებული კი არა, გულწრფელად შეყვარებული ქალია. ახლახან გავრცელებული სმების მიხედვით წყვილის გაზაფხულზე დაგეგმილი ქორწილი სკიბოს ციხესიმაგეში უნდა გამართულიყო. დიდი ბრიტანეთის ეს ადგილი განსაკუთრებით მოღური მას შემდეგ გახდა, რაც იქ მადონას საქორწილო ცერემონია გაიმართა და ახლა ითვლება, რომ ყველა დიდებული ქორწილი სწორედ იქ უნდა ჩატარდეს.

ჰიტერ მილზმა კი განაცხადა: „მე და პოლი ცერემონიის გამართვას სკიბოს ციხესიმაგერეში არ ვაპირებ“. ამგვარი გადაწყვეტილება ქალმა შემდეგნაირად ასხნა: „სკიბოში ქორწილის გადახდა ალბათ ძალიან ძვირი დაჯდება. მე სიყვარულით ვთხოვდები, ბევრ ფულს რომ ვეძებდე, ვინმე უფრო მდიდარს ვიპოვიდი“.

სამაგიეროდ ჰიტერმა სიამოვნებით მიიღო პოლის საჩუქარი: ინდური საფირონით და ორი ბრილიანტით შემკული ბეჭედი. მომავალმა ქალბატონმა მაკარტნიმ ბეჭდის შესახებ სახალხოდ გამოთქვა აღფრთოვანება და აღნიშნა, რომ თავისი გრძნობების შესახებ საუბარი არ უყვარს, რადგან ძალიან ეშინია... ცუდი თვალის.

ჯთბჯ კლუნი მელთცდრმა

ბოლო დროს ამერიკული კინოს ცნობილი მამაკაცები სულ უფრო სზირად უჩივიან თმის ცვენას. მაგალითად, კევინ კოსტნერმა განაცხადა, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად ნებისმიერ, თუნდაც ყველაზე რადიკალურ ხერხებს მიმართავს. თავდაპირველად მას, ბრიუს უილისის მსგავსად, თავის გადაპარსვა გადაუწყვეტია.

გამელოტების პრობლემას ამას წინათ ჯორჯ კლუნიც შეეხო, რომელმაც განაცხადა, რომ ეს საფრთხე მოუწესრიგებელ პირად ცხოვრებაზე მეტად აშფოთებს. თურმე მსახიობი ყოველ დღით გულ-ისფანტკალით უახლოვდება სარკეს, საკუთარი თმის მდგომარეობა რომ შეამოწმოს.

ლამაზ ქალებთან რომანებით განებივრებული მსახიობი კვლავ აცხადებს, რომ დაოჯახებას არ აპირებს. „ერთხელ უკვე მყავდა ცოლი და ამით ვერაფერი მოვიგე, ალბათ ცუდი ქმარი ვიყავი...“ – ამბობს კლუნი ტალია ბელსამთან თავის სამწლიან ქორწინებაზე. როგორც ცნობილია, ბოლოს ის მსახიობ რენე ზელვეგერთი იყო გატაცებული, მაგრამ მათი ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. სიყვარულში განცდილ ყველა მარცხს ის თავისი გადატვირთული გრაფიკითა და თავისუფალი დროის უქონლობით ხსნის: „ყოველდღე 12 საათი ვმუშაობ და პირადი ცხოვრებისთვის დრო თითქმის არ მრჩება“, – აცხადებს კლუნი.

პროფილაქტიკა - მკურნალობა

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამასაშვილი

დიფთერია

დიფთერია წარსულში ფართოდ იყო გავრცელებული და უდიდეს ზიანს აყენებდა მოსახლეობას. უკანასკნელ ხანს გემბანი აცრების შედეგად, დიფთერია, როგორც ეპიდემიური პროცესი, ლიკვიდირებულია, მაგრამ მაინც გვხვდება ცალკეული, ზოგჯერ დაგვიანებით ნაპურნალევი და მძიმედ მიმდინარე შემთხვევები.

დაავადებას იწვევს ბაქტერია. ინფექციის წყაროა ავადმყოფი ადამიანი. იგი გადადდება - დაავადების პირველი დღიდანვე ავადმყოფობის მიუღ პერიოდში და ზოგჯერ მის შემდეგაც. ინფექციას ავრცელებენ ჯანმრთელი, დიფთერიის ბაქტერიების მატარებელი ბავშვები. დიფთერიის ბაქტერია მოკალათებულია ცხვირხახის ლორწოვანებზე და ხველის, ცხვირცემინების, კოცნის დროს პერწვეთოვანი გზით გადაეცემა ჯანმრთელს. ბაქტერია გარემოში დიდხანს ძლებს, ამიტომ ავადმყოფის სათამაშოები, ჭურჭელი და სხვა ნივთები შეიძლება ჯანმრთელი ბავშვის დაავადების მიზეზი გახდეს. უმეტესად, ის ბავშვები და მოზარდები ხდებიან ავად, რომლებსაც სწორად არ ჩაუტარდათ დიფთერიის საწინააღმდეგო აცრა. დაავადება ხშირდება ხოლმე ზამთრის თვეებში.

ფარული პერიოდი 2-10 დღეა. ყველაზე ხშირი ფორმა ხახის დიფთერიაა. ავადმყოფი ბავშვი მოდუნებულია, მადას კარგავს, ჭირვეულობს, უჩივის ყელის მცირეოდენ ტკივილს, ფერმკრთალია. ტემპერ-

ატურა მატულობს 38-38,5 გრადუსამდე. ხანა, ნუშურა ჯირკვლები, სასა შეწითლებულია და დაფარულია აკოვანი მორუხომოთეთრო ნადებით. დიდდება ყბისქვეშა ლიმფური კვანძები. გულისცემა გახშირებულია.

თუ ხახის დიფთერიას დროულად ვერ ამოიცნობენ, ზემოაღნიშნული ნიშნები 6-7 დღეს გრძელდება, მეორე კვირიდან კი იწყება გარდატეხა, თითქოსდა გამოჯანმრთელებისაკენ: ტემპერატურა რეგულირდება, ნადებები შორდება ლორწოვანს - მას ავადმყოფი გადმოაფურთხებს, ან გადაყლაპავს, მაგრამ სიფერმკრთალე და აჩქარებული მაჯა რება კვირების მანძილზე შრატით მკურნალობის გარეშე, ჩვეულებრივ, მეორე კვირიდან, თითქოსდა განკურნებულ ავადმყოფს შეიძლება აღმოაჩნდეს მძიმე გართულებები მწვავე მოკარდიტის (გულის კუნთის ანთების) და დამბლების სახით.


ცხვირის დიფთერია გაცილებით იშვიათია და მცირე ასაკის ბავშვებშიც გვხვდება. ავადმყოფს ეწყება ცხვირიდან ლორწოვან-ჩირქოვანი, სისხლნარევი გამოხადენი, ცხვირით სუნთქვა უხელოდება, ტემპერატურა ნორმალური ან ოდნავ მომატებული ხდება.

ხორხის დიფთერია, ანუ კრუპი, იწყება ტემპერატურის მომატებით, ხმის ჩახლჩით,

უხეში მყეფავი ხველით, ბავშვი ხმას მალე კარგავს და პირველი დღის ბოლოს, სუნთქვა უხელოდება. შესუნთქვა გახანგრძლივებულია და შორიდან ისმის, სუნთქვის დროს კისრისა და გულმკერდის რბილი ნაწილები იბერება. თუ დიაგნოზი დროულად არ დაისვა, ზორხსა და სასულეში ნადებების არსებობისა და ძლიერი შეშუპების გამო, პროგრესულად მატულობს სუნთქვის უკმარისობა, ბავშვი თანდათან სუსტდება, ლურჯდება და შეიძლება მოიხრჩოს. დიფთერიული კრუპის დროს ხშირია გართულება ფილტვების ანთების სახით. დიფთერიაზე ექვის მიტანის შემთხვევაში, ავადმყოფი დაუყოვნებლივ უნდა მოვათავსოთ საავადმყოფოში. დიფთერიის საწინააღმდეგო შრატით დროული და სწორი მკურნალობა მოკლე დროში გამოჯანმრთელებას უზრუნველყოფს. კრუპის დროს საჭირო ხდება ხორხში საპეციალური მილის ჩადგმა (ინტუბაცია) ან სასულეს გარედან გაკვთა (ტრაქეოტომია).

პროფილაქტიკის ფრიად ეფექტური საშუალებაა აცრა. ზოგადად, აცრების შესახებ ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთ წინა ნომერში უკვე ვისაუბრეთ. ახლა კი შეგახსენებთ, რომ დიფთერიის საწინააღმდეგო აცრა ყოველწლიურად და ტეტანუსის ვაქცინებთან ერთად კეთდება 2-3 თვის ასაკიდან. მისი თანამიმდევრობა ასეთია:

ვაქცინა	ბავშვის ასაკი					
	2 თვე	3 თვე	4 თვე	18 თვე	5 წელი	14 წელი
ვივანახველა, დიფთერია, ტეტანუსი	I	II	III	IV		
დიფთერია, ტეტანუსი					I	II



კითხვა

პასუხი

კითხვა: ვარ ორსულად და მიდგინეს ლიმფოგრანულომატოზის დიაგნოზი. მაინტერესებს, დაავადებული განჩნდება თუ არა ჩემი მომავალი შვილი?

პასუხი: ბავშვი ლიმფოგრანულომატოზით (ლიმფური ჯირკვლების სიმსივნური დაავადება) დაავადებული არ იქნება. შესაძლოა, მას გადაეცეს ერთგვარი წინასწარგანწყობა ლიმფურ ქსოვილზე კანცეროგენული (სიმსივნური) ფაქტორების ზემოქმედებისა.

ბავშვი უნდა მთარიდოთ ინფექციურ დაავადებებს, რადიაციას და ორგანიზმზე შესამების ზემოქმედებას.

კითხვა: თითქოს არაფერი მაწუხებს, მაგრამ გინეკოლოგმა გამაგზავნა მამოლოგთან (ძუძუთა სპეციალისტთან) კონსულტაციისათვის. შეუბნებია, რომ 40 წლის მერე, ქალმა რეგულარულად უნდა გაიაროს მსგავსი შემოწმება. მე ხომ ამ მხრივ არაფერი პრობლემა არ მაქვს?

პასუხი: ჩივილების არარსებობის მიუხედავად, შემოწმებაზე გავლა მართლაც აუცილებელია. საქმე ის არის, რომ ძუძუს ავთვისებიანი სიმსივნე ხანგრძლივი დროის განმავლობაში უსიმპტომოდ მიმდინარეობს და როცა ქალი თავად აღმოაჩენს ხოლმე მას, დაავადების ადრეული სტადია უკვე ჩავლილია. ცნობილია, რომ ძუძუს კიბოს ადრეული სტადია კარგად ემორჩილება მკურნალობას, ამიტომ უნდა გაიზარდოს ქალთა პროფილაქტიკური გამოკვლევების რიცხვი.

ხოლო თუ ქალი სარძევე ჯირკვალზე თუნდაც სულ მცირე

საეკო წარმონაქმნს აღმოაჩენს, მან დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ექიმს.

რა თქმა უნდა, ეს ყოველთვის სიმსივნის არსებობას არ ნიშნავს, მაგრამ უმჯობესია, თავი დაიხვეწოთ და გაითვალისწინოთ ექიმის კონსულტაცია.

კითხვა: გამიგონია, რომ ორგანიზმის ოყნით რეგულარული გამორეცხვის მეთოდიკა უკვე მოძველდა. ზოგიერთი ექიმის თქმით კი, ოყნები ორგანიზმს გამოუსწორებელ ზიანს აყენებს. რას გვეტყვი ამის შესახებ?

პასუხი: დღეისათვის გასტროენტეროლოგები (კუჭ-ნაწლავის სპეციალისტები) თვლიან, რომ გამწმენდი ოყნის რეგულარული გამოყენება გაუმართლებელია და ავადმყოფისათვის ზიანის მოტანაც კი შეუძლია, რადგან სასარგებლო მიკროორგანიზმთა უმრავლესობა მსხვილ ნაწლავში ბინადრობს. თუ ოყნით გამოვრეცხავთ მიკროფლორის მთელ ფენას, შემდეგ ძალიან ხანგრძლივად მოგვიწევს მის აღდგენაზე ზრუნვა. ნაწლავური მიკროფლორის დარღვევამ შესაძლოა იმუნური სისტემის აქტიურობის დაქვეითება და ვიტამინური ცვლის დარღვევა გამოიწვიოს. მათ საყურადღებოდ კი, ვისაც ქრონიკული ყაბზობა (შეკრულობა) აწუხებს, ვიტყვი, რომ თუ ორგანიზმს მიაჩვევთ ოყნებს, ვერავითარი საფაღარათო საშუალება ვეღარ დაგეხმარებათ ნაწლავის ნორმალური მუშაობის აღდგენაში.

კითხვა: მყავს შვიდი წლის გოგონა, რომელიც მთელი დღეების განმავლობაში ღეჭავს საღებავ რეზინს. მის გარეშე მხოლოდ ჭამისა და ძილის დროს არის. მაინტერესებს, საზიანო ხომ არ არის ეს მისთვის?

პასუხი: საღებავი რეზინის ღეჭვა რეკომენდებულია მხოლოდ ჭამის შემდეგ, არა უმეტეს 10-15 წთ-ისა. მისი გამოძებით ღეჭვა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. რეზინის ღეჭვისას საკმაოდ ძლიერდება ნერწყვის გამოყოფა. ამ ნერწყვის ყლაპვისას ჩვენ ორგანიზმს ვატყუებთ, რადგან ამით ვაწვდით სიგნალს, რომ თითქოსდა ხდება საკვების მიღება. ამის შედეგად იკუმშება ნაღვლის ბუშტი, გამოიყოფა კუჭქვეშა ჯირკვლის ფერმენტები, ხოლო საკვები ორგანიზმს არ მიეწოდება. ამიტომ კუჭ-ნაწლავი ღიზიანდება და იწყება თვითმონღლების პროცესი. აი რატომ, რომ ერთი შეხედვით სრულიად უვნებელი საღებავი რეზინის ღეჭვას კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქრონიკული დაავადებების განვითარებადვე მივყავართ.

კითხვა: ერთ-ერთ გაზეთში წავეკითხე, რომ ხილის მიღება რეკომენდებულია ჭამამდე 40-50 წთ-ით ადრე. დღემდე კი ვიცოდით, რომ ხილი ძირითადი საჭმლის შემდეგ უნდა მიგველო, როგორც ღესერტი. მაინც რომელი თანამიმდევრობაა უფრო გამართლებული საშედიცინო თვალსაზრისით?

პასუხი: ხილსა და ბოსტნეულს აქვს კუჭის წვენი დიდი რაოდენობით გამოშუშავების უნარი. იმ ადამიანებს, რომლებსაც კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები აწუხებთ, აგრეთვე მათ, ვისაც კუჭის წვენის მომატებული სეკრეცია აღენიშნება, კუჭის სეკრეტორული ფუნქციის ასეთი სტიმულაცია მხოლოდ და მხოლოდ ზიანს მოუტანს. იგივე შეიძლება ითქვას წვენების მიღებაზე ჭამის წინ. საერთოდ კი გირჩევთ, მიიღოთ მხოლოდ ახალი, მწიფე ხილის წვენი, ხოლო დაკონსერვებული წვენები არათუ სარგებელს არ მოგიტანთ, არამედ კუჭ-ნაწლავის არაერთი

დაავადების გამწვავებაც შეიძლება გამოიწვიოს. ამიტომ მასთან ფრთხილად უნდა ვიყოთ და მივიღოთ მხოლოდ ჭამის შემდეგ.

რაც შეეხება კუჭის დაბალი მჟავიანობის მქონე პაციენტებს, მათ შეიძლება ვურჩიოთ სადილის წინ ხილისა და ბოსტნეულის მიღება სეკრეციის გაუმჯობესების მიზნით, მაგრამ ეს მეთოდი შედეგს მოგვცემს მხოლოდ ფუნქციური დარღვევების დროს, ხოლო კუჭის ლორწოვანი გარსის ღრმა დესტრუქციული ცვლილებების შემთხვევაში, საჭიროა, სერიოზული მედიკამენტური მკურნალობა.

კითხვა: ვარ 40 წლის, რეგულარულად მაწუხებს ტკივილი გულმკერდის მარცხენა მხარეს. გადავიღე ელექტროკარდიოგრამა, მაგრამ არავითარი ცვლილება არ აღმომაჩნდა. როგორ მოვიქცე?

პასუხი: ის, რომ მოსვენებულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტს ელექტროკარდიოგრამაზე არა აქვს ცვლილებები, არ არის იმის გარანტია, რომ მას ჯანსაღი გული აქვს. თუ თქვენი ტკივილის ხასიათი სტენოკარდიას ჰგავს, აუცილებელია, ელექტროკარდიოგრაფიული კვლევა ჩატარდეს არა მხოლოდ მოსვენებულ მდგომარეობაში, არამედ დატვირთვის დროსაც. ხშირად ასეთი კვლევისას საკმაოდ მნიშვნელოვანი გადახრები აღმოჩნდება ხოლმე, რომელიც გულის სერიოზულ დაზიანებაზე მიუთითებს.

კითხვა: მაქვს ისეთი სამუშაო, რომ მუდმივად მიწვევს ფეხზე დგომა. ფეხის ძირებზე გამიჩნდა კოჟრები. ვისაც მსგავსი რამ გამოუცდია (განსაკუთრებით ხანშიშესულ ადამიანებს), იცის, როგორი მტკივნეულია კოჟრი. ხალხური მედიცინიდან იქნებ მირჩიოთ რაიმე?

პასუხი: თავდაპირველად საჭიროა კოჟრის დარბილება, რისთვისაც შეიძლება გამოყენებული იქნას უმი, დაჭყლტილი კარტოფილის ფაფა, წერილად დაჭრილი ხახვი, ალოეს ფოთოლი. კარტოფილი უნდა ჩაღობოთ დოღბანდის ორ ფენას შორის და უნდა დაიფინოთ კოჟრზე. ხოლო ალოეს ფოთოლი გადაჭერით შუაზე და ისე დაიდეთ. ზევდან დაიფინეთ პოლიეთილენის საფენი და კომპრესი გადაიხვიეთ. ასეთი კომპრესი უმჯობესია, ძილის წინ გაიკეთოთ. დილით დარბილებული კოჟრი უნდა ამოაგდოთ ბლავი დანით ან პეშის ქვით (ისე, რომ რბილი ქსოვილები არ დააზიანოთ), რის შემდეგაც კანში უნდა შეიზილო ცხიმოვანი საცხი. საჭიროების შემთხვევაში შეხვევები უნდა გაიკეთოთ მანამ, ვიდრე კოჟრი მთლიანად არ გაქრება.

კითხვა: ბავშვობაში გადავიტანე ლეიკოზი. როგორია იმის ალბათობა, რომ ჩემი შვილები ჯანმრთელი იქნებიან?

პასუხი: არის ონკოლოგიური დაავადებები, რომელიც გარკვეულ გენებთანაა დაკავშირებული და ამდენად გენეტიკური ფაქტორი მათ განვითარებაში გადაწყვეტილია. საბედნიეროდ, ასეთ ონკოლოგიურ დაავადებათა პროცენტი საკმაოდ მცირეა (დაახლოებით 1-4%-მდე). ლეიკოზი, როგორც წესი, შემკვიდრულად არ გადაეცემა. მისი განვითარების თავიდან ასაცილებლად უნდა ერიდოთ ტოქსიკურ კანცეროგენებს, რადიაციულ გამოსხივებას, ცუდ ეკოლოგიას – სწორედ ეს ფაქტორები ზრდის მნიშვნელოვანწილად ამ ონკოლოგიური დაავადების წარმოქმნის რისკს.



ფშაური სამზარეულო

დამბალი ხაჭო

დამბალი ხაჭო ფშაველების საყვარელი საჭმელია. იგი შემდეგნაირად მზადდება: ახალი ხაჭო დაამარილეთ გემოვნების მიხედვით და კარგად ზილეთ (10-15 წუთი მაინც). შემდეგ გააკეთეთ კაკლისოდენა კვერები და დააწყვეთ ჰაერზე გასახმობად. კარგად გამხმარი კვერები ჩააწყვეთ თიხის ქოთანში, დაახურეთ თავსახური და შეინახეთ გრილ ადგილას (სარდაფში). ასე დატოვეთ სამი თვე. შემდეგ განსენით და ნახავთ, რომ ხაჭოს კვერები დაობებულია და სუნიც სპეციფიკური აქვს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ღვინო დაუწყია, მაგრამ ეს ასე არაა.

ამგვარად დამზადებულ ხაჭოს კვერებს ფშაველები მთელი ზამთარი იზოგავენ. მისგან ამზადებენ ფშავეში მეტად პოპულარულ საჭმელს – ხაჭო-ერბოს, რომელიც მზადდება შემდეგნაირად:

დამბალი ხაჭოს 5-6 ცალ კვერს გადაფხეკავენ (ისე, რომ მხოლოდ ობს მოაცვილებენ), შემდეგ წვრილად ჩათლიან ჯამში. ტაფაზე დადებენ 50 გ ერბოს, ან 100 გ კარაქს. გააღნობენ, დააყრიან დაქუცმაცებულ ხაჭოს და გააცხელებენ. შემდეგ მას დაუმატებენ ცოტაოდენ, წვრილად დაფშენილ გამოძმრალ პურს და ერთად გააცხელებენ 15-20 წუთის განმავლობაში.

ამგვარად მომზადებულ ხაჭო-ერბოს სპეციფიკური სუნი ეკარგება და მეტად სასიამოვნო საჭმელია. იგი ცხელ-ცხელი უნდა მიირთვათ.

ატრია

ხორბლის ფქვილისაგან მოზილეთ ცომი ცივი წყლით. გააბრტყელეთ ისე,

როგორც სახინკლე ცომი. დაჭერით რომბისებურად ან კვადრატულად. ჩაყარეთ მღულარეში და ხარშეთ 15-20 წუთი.

ვიდრე ცომი მოიხარშებოდეს, 200 გ ახალ ხაჭოს შუურიეთ 50 გ ერბო ან 100 გ გამდნარი კარაქი, კარგად დანაყილი 4-5 კბილი ნიორი და მარილი გემოვნებით. ამგვარად შემზადებული ხაჭო მოათავსეთ მომინანქრებულ თასში, შემდეგ მოხარშული ცომი (ატრია) ქაფქირით ამოალაგეთ იმავე თასზე, კარგად აურიეთ ხაჭო-კარაქ-ნიორის საკაზმში და ცხელ-ცხელი მიიტანეთ სუფრაზე.

ხავინი

ეს საჭმელი წინათ მთაში მეტად პოპულარული ყოფილა. თავისი ძალიან მაწიერობის გამო თურმე ლაშქრად მიმავალთ საგზლად მიჰქონდათ ხოლმე. მზადდება ძალიან მარტივად.

500 გ ერბო დადნეთ ქვაბში, შემდეგ ნელ-ნელა ჩაყარეთ პურის ფქვილი, ისე, რომ შესქელებული მასა მიიღოთ. ნელ-ნელა ცეცხლზე შუშეთ 15-20 წუთი, გემოვნებით შეაზავეთ მარილი და ხავიწი მზადაა (ინახება დიდხანს).

გუგლემა

სიმინდის ფქვილს დაყარეთ ცოტა მარილი და მოზილეთ ცხელი წყლით. გააკეთეთ ხინკალზე მოზრდილი კვერები და ჩაყარეთ მღულარეში. 15-20 წუთი დუღილის შემდეგ ამოიღეთ და ცხელ-ცხელი მიირთვით გუდის ყველთან ან სულგუნთან ერთად.

ერბოს ქადა

აიღეთ 1 ჩ/ჭ ერბო. გააცხელეთ ნელ ცეცხლზე, ნელ-ნელა მოაყარეთ ხორბლის ფქვილი და ურიეთ, სანამ შესქელებულ მასას არ მიიღებთ. შუშეთ 5 წუთის განმავლობაში, დაუმატეთ მარილი გემოვნებით. მიღებული მასა გაანაწილეთ საფურაზე მოზელილი ცომის გუნდების მიხედვით, მოათავსეთ ცომის გულში, მოუკარით ცომს თავი, გააბრტყელეთ და გამოაცხვეთ ისევე, როგორც ხაჭაპური. გამოძმცხვარ ქადას ზემოდან წაუსვით ერბო.

კარტოფილის ქადა

მოხარშეთ 1 კგ კარტოფილი, დაფქვინით, კარგად დასრისეთ ან ხორცსაკვ მანქანაში გაატარეთ. 2-3 თავი წვ-

რილად დაჭრილი ხახვი მოშუშეთ 100 გ ერბოში და შეურიეთ კარტოფილს (მარილი უყავით გემოვნებით). მიღებული მასა ჩადეთ გაფუეებული ცომის გულში და ხაჭაპურით გამოაცხვეთ. გამოძმცხვარს ზემოდან გადაუსვით ერბო.

მხლის ქადა


1 კგ მხალი (თითმავალა, ნაცარქათა-მა, ისპანახი ან ჭარხლის ფოთოლი) მოხარშეთ, გაწურეთ, გაატარეთ ხორცის საკვ მანქანაში, შეაზავეთ 100 გ ერბოში მოშუშული 2-3 თავი ხახვით და მარილით, გაახვეთ გაფუეებულ ცომში და გამოაცხვეთ როგორც ხაჭაპური. გამოძმცხვარს ზემოდან გადაუსვით კარაქი, დაჭერით ცხელივე და მიიტანეთ სუფრაზე.

ჭინჭრის ხინკალი

ყველასათვის ცნობილი ხორცის ხინკალი ფშაველების საყვარელი საჭმელია. საპატიო სტუმარს აუცილებლად ხორცის ხინკალს მოუზადებენ ხოლმე. მას „ჯერის თავს“ ეძახიან.

გარდა ხორცისა, აკეთებენ ხაჭოს, კარტოფილის, მხლის და ჭინჭრის ხინკალსაც. ჭინჭრის ხინკალი დიეტური და მეტად სასარგებლოა. მზადდება შემდეგნაირად: კარგად გარჩეული და გარეცხილი ჭინჭარი წვრილად დაჭერით, დაუმატეთ წვრილადვე დაჭრილი ქინძი და ხახვი, გემოვნების მიხედვით დააყარეთ მარილი და კარგად აზილეთ 50 გ ერბოში. ამგვარად შემზადებული ფარში ჩადეთ სახინკლე ცომში, ჩვეულებრივ დაახვეთ და მღულარე წყალში ჩაყარეთ.

10-15 წთ-ის დუღილის შემდეგ ამოიღეთ, მოასხით ცოტა ერბო და ცხელ-ცხელი მიირთვით.





რიჩარდ ბერტონი, რომელმაც დასავლეთი „კამასუტრას“ ამიარა



სიყვარულის ნელტვინება – შესწორებული და დაზუსტებული

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წიგნის – ძველი ინდური „კამასუტრას“ ტექსტი ფალსიფიცირებული ყოფილა. ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ტრაქტატის ულტიმური თარგმანის ავტორმა, ინგლისელმა რიჩარდ ბერტონმა არსებითად დაამახინჯა მისი შინაარსი.

სექსუალური რევოლუციის ეპოქაში, ძველი ინდური ეროტიკული ტრაქტატი „კამასუტრა“ უდავო კლასიკად იქცა. ამჟამად ეს წიგნი ყველგან თავისუფლად იყიდება, დასავლეთის ბევრ ქვეყანაში კი, სექსოლოგიის საფუძვლებსაც მის მიხედვით ასწავლიან სკოლებში. სენსაცია, სკანდალი სრულიად მოულოდნელად ატყდა. გაირკვა, რომ ტრაქტატის კლასიკური ინგლისური თარგმანი, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ განსხვავდება დედნისაგან. ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებს ჩიკაგოს უნივერსიტეტის ისტორიისა და რელიგიის კათედრის პროფესორი ვენდი ღონიგერი. სანსკრიტზე დაწერილ ინდურ დედანთან ინგლი-

სური თარგმანის ტექსტის (ის კი, ყველა სხვა ევროპულ ენაზე ნათარგმნი „კამასუტრასთვის“ დედანს წარმოადგენს) შედარების საფუძველზე მეცნიერმა ქალმა გამოაცხადა, რომ მთარგმნელმა ვერ გაიგო, ან არ ისურვა გაეგო ტრაქტატის ზოგიერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალი, ამიტომ, აგერ უკვე ერთ საუკუნეზე მეტია, მთელი დასავლეთი, სიყვარულის საიდუმლოზე არა ძველ ინდოელთა, არამედ ვიქტორიანული ეპოქის მთარგმნელის მამაკაცურ შოვინიზმზე დაფუძნებულ თვალთახედვას ეცნობოდა.

მთარგმნელი, რომლის სულს, მისი გარდაცვალებიდან ერთი საუკუნის შემდეგ შეეხო ვენდი ღონიგერი, – რიჩარდ ფრენსის ბერტონია, რომლის

კოლორიტულობა, როგორც ამბობენ, მასზე ჰოლივუდური ბოვეიკის გადაღების საუცხოო მასალას იძლევა. პროფესორ ღონიგერის აზრით, რიჩარდ ბერტონმა მეტისმეტად დააკნინა ქალის როლი, რომლის სექსუალური სიამოვნების თემას, ძველი ინდური ტრაქტატის ავტორი, მთარგმნელისგან შედარებით, გაცილებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებს. ბერტონს იმაში სდებენ ბრალს, რომ მისთვის, – ვიქტორიანული ეპოქის მეტისმეტად მკაცრი წესების მიმდევარი ადამიანისთვის, არ არსებობდა ცნება „ქალის ორგაზმი“, რომლის სხვადასხვა ვარიანტის აღწერას „კამასუტრას“ ავტორი საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს. ტრაქტატის შესაბამისი პასაჟებიც მის თარგმანში დამახინჯებულია. ამის შედეგად, ღონიგერის თქმით, „ქალს, როგორც თანასწორ პარტნიორს, ფაქტობრივად, მამაკაცის სიამოვნების ინსტრუმენტი ცვლის“.

ძნელი წარმოსადგენია, რომ გამოჩე-

ნილი ლინგვისტი ბერტონი პირველწყაროს შინაარსს ვერ ჩასწვდა. ყოველ შემთხვევაში, მის სხვა თარგმანებს სპეციალისტები მსგავს პრეტენზიებს არ უყენებენ. ამდენად, უმართებულო თარგმანის მიზეზს სწორედ პოლიტიკურ მოტივებში ხედავენ. თუმცა, ღონიერის თქმით, ვიქტორიანული ეპოქის ინგლისელებისგან ამგვარი რამ, სულაც არ არის მოულოდნელი. „გაცილებით საშიში ის არის, რომ ადამიანები დღემდე ცდილობენ მისდიონ იმ მცდარ რჩევებს, რომელიც ამ წიგნშია მოცემული“, – აღნიშნავს ამერიკელი პროფესორი და, მისი აზრით, ყველაზე აღმაშფოთებელ მაგალითად, ასეთი რამ მოაქვს. ვიანგრის გამოგონებამდე, დასწრულ მამაკაცებს შეეძლოთ, გამოეყენებინათ ანალოგიური მოქმედების საშუალება, რომლის რეცეპტს „კამასუტრას“ ფურცლებზე ნახავთ. სავალალო ის არის, რომ სანსკრიტი ძალიან ცოტა ვინმემ თუ იცის, ბერტონის მიერ მოყვანილი ინგრედიენტთა ნუსხა კი ასევე დამახინჯებულია. პროფესორი ღონიერი სამართალიანობის აღდგენას აპირებს და ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორთან, სუდხირო კაკართან თანავტორობით, უკვე წლებადნელ მანძილზე ვებრძობა „კამასუტრას“ შესწორებული თარგმანის გამოქვეყნებას...

და მაინც, XIX საუკუნის მეორე ნახევრისთვის, ბერტონის მიერ გადაღებული ნაბიჯი საკმაოდ გაბედული ქმედება იყო. მთარგმნელი საიდუმლოდ მუშაობდა, ტრაქტატის გამოცემა კი,

მისი გაბარი ინდოეთის ქალაქ პურიში



მისი სიკვდილის შემდეგ მოხდა. ოფიცრის შვილის – რიჩარდ ბერტონის დარღვევებში ინგლისური, ირლანდიული და ფრანგული სისხლი ჩქეფდა. უცხო ენებმა ის ახალგაზრდობიდან, ჯერ კიდევ ოქსფორდის უნივერსიტეტში შესვლამდე გაიტაცა, სადაც ორი წელი გაატარა და მეცნიერების ტაძრიდან გაქცევამდე უკვე თავისუფლად ფლობდა ბერძნულ, გერმანულ, ფრანგულ, პორტუგალიურ, ესპანურ და იტალიურ ენებს. ზოგიერთი ცნობის თანახმად, საბოლოოდ, იგი 35 ენას დაეუფლა.

ოქსფორდიდან წასვლის შემდეგ ბერტონი სამხედრო სამსახურში, ინდოეთს გაემგზავრა, მალე გახდა ოფიცერი და სინდში (ამჟამინდელ პაკისტანში) მიაგვლინეს. სწორედ იქ ეზიარა დაზვერვის ტაქტიკას, რომელსაც მთელი შემდგომი ცხოვრება მიუძღვნა. მას ხშირად, შენიღბულს

(იყენებდა გრიმს) უწევდა მოგზაურობა, რისი წყალობითაც, ადგილობრივ მოქალაქედ ასაღებდა თავს და ამგვარად აგროვებდა ინფორმაციას ადგილობრივ მოსახლეობაში ანტიბრიტანული განწყობის მასშტაბის შესახებ.

ერთხელ ბრიტანეთის ჯარის ხელმძღვანელობას გაუჩნდა ეჭვი, რომ ზოგიერთი სამხედრო ქალაქ კარაჩიში მდებარე ჰომოსექსუალისტთა საროსკიპოებს მფარველობდა. საკითხში გარკვევა ბერტონს დაავალეს. მისი ანგარიში იმდენად ნატურალიზტურად იყო შედეგნილი, რომ უფროსობა გოგნებული დარჩა და ჯაშუშს... გადადგომა აიძულეს. თუმცა, საროსკიპოები დახურეს.

სამხედრო კარიერის დასრულების შემდეგ, ბერტონი ღელასთან, საფრანგეთში გაემგზავრა და იქ დაწერა რამდენიმე წიგნი ინდოეთსა და ამ ქვეყნის ისტორიაზე, რომელიც დღემდე ინარჩუნებს სამეცნიერო აქტუალობას. მაგრამ მოგზაურობისა და ავანტიურისკენ მიდრეკილებამ ბერტონში მაინც იმძლავრა. მუსლიმან დერვიშად გადაცმული მეცნიერი მექასა და მედინას

ეწვია, შემდეგ აფრიკაში იმოგზაურა, ბოლოს კი, მორმონთა და წლებადნელი ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქი – სოლტ-ლეიკსიტის მონინახულა. მან დახატა სექტის ფუძემდებლის – ბრიგამ იანგის პორტრეტი, თუმცა სრული გულგრილობა გამოიჩინა მორმონთა მრავალცოლიანობის პრობლემისადმი, რომლის წინააღმ-

დეგაც მაშინ მთელი განათლებული ამერიკა ილაშქრებდა.

სადაც არ უნდა მოხვედრილიყო ბერტონი – ბრაზილიასა თუ ღამასკოში, აფრიკულ კუნძულ ფერნანდოპოსა თუ ბულონში, – ყველგან აინტერესებდა დაბადების, ქორწინების, დაკრძალვის უჩვეულო რიტუალები და აგრეთვე – ფეტიშიზმი, კანიბალიზმი, რიტუალური მკვლელობა, დუელი და მსოფლიოს ხალხთა სხვა იდუმალი წეს-ჩვეულებანი. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სადაც ის მსახურობდა, ბერტონი თავისუფლად მოაზროვნე საშინაო ადამიანად მიაჩნდა, სამაგიეროდ საიდუმლო სამსახურებისთვის დიპლომატის მიერ მიწოდებული ინფორმაცია საკმაოდ გამოსადეგი აღმოჩნდა. სიკვდილამდე სამი წლით ადრე ბერტონი მაიკლისა და ჯორჯის რაინდთა ორდენის კავალერი გახდა. თუმცა, ოფიციალურად, რაინდის წოდება დედოფალმა ვიქტორიამ მას მაინც არ მიანიჭა.

მის აზრებს ბერტონის ცოლი არ იზიარებდა. ის ნამდვილი, გულმხურვალე კათოლიკე გახლდათ და ქმრის სიკვდილის შემდეგ, მისი ღლიურები და უკანასკნელი წიგნის ხელნაწერი დაწვა. მისი ნება რომ ყოფილიყო, ბერტონის თარგმანებსაც იმავე გზას გაუყენებდა: „კამასუტრას“ გარდა, მეცნიერმა ჯერ კიდევ ერთი ეროტიკული ტრაქტატი – „ნაპკური ბაღი“ და არაბული ზღაპრების – „ათას ერთი ღამის“ კრებული თარგმნა. მოგვიანებით, ამ ღვთისმოსავმა ქალმა თავისი მოუსვენარი მეუღლის ბიოგრაფია დაწერა, რომელშიც გულმხურვალე კათოლიკედ და დარბაისელ მეოჯახედ გამოიყვანა.

სიკვდილამდე რიჩარდ ბერტონმა აღნიშნა, რომ „კამასუტრა“ არა მართო ცნობისწადილის გამო, არამედ დასავლეთის ცვილიზაციისთვის თარგმნა, რადგან, მისი თვალსაზრისით, „ბედნიერია ქვეყნები, სადაც ღმერთები სიყვარულს მისდევენ...“

ისტორიული ცნობა

„კამასუტრა“ სიტყვასიტყვით ნინავეს „სასიყვარულო რჩევა-დარიგებებს“ (ზოგჯერ ტრაქტატის თარგმანი „სიყვარულის აფორიზმებით“ ან „სიყვარულის მელოდიებითაც“ კი სახელდება), წიგნის ავტორობას ექიმ ვატსიაანეს მიაწერენ, რომელმაც ის ჩვ.წ. აღ-ის II-




V საუკუნეში, მზის ტაძრის სკულპტურულ ნაწარმოებთა მოტივებზე დაწერა (ტაძარი ინდოეთის ორისას შტატის ქალაქ პურიში მდებარეობს).

თავდაპირველად იყვნენ ღმერთები... ინდუისტთა თვალსაზრისით, სამი უმაღლესი ღმერთიდან ერთ-ერთი – შივა, თავისი მეუღლის – სატის თვითმკვლელობის შემდეგ, ჰიმალაის მთებში წავიდა და მედიტაციას მიეცა. მის გვერდით მშვენიერი პარვატი ცხოვრობდა, რომელიც გარდაქმნილი სატი იყო, რაც ღმერთმა არ იცოდა. ამ დროს, ბოროტი სული ტაკარა, მთელ კაცობრიობას უეჭველ დაღუპვას უქადდა, ადამიანთა მოღვმის გადარჩენა კი, მხოლოდ შივას თესლით გაჩენილს შეეძლო. ღმერთებმა სიყვარულის ღვთაებას – კამას უხმეს, რომელმაც შივას თავისი ისარი ესროლა. შივა განრისხდა იმის გამო, რომ მედიტაცია შეაწყვეტინეს და ფერფლად აქცია კამა. სწორედ ამ დროს შეამჩნია პარვატი, აღფრთოვანდა მისი ერთგულებით და ყველა სურვილის აღსრულება აღუთქვა. „დაე, იცოცხლოს კამამ და გაათბოს ქვეყნიერება, – თქვა პარვატიმ. – თუ კამა არ იქნება, ყველა სურვილზე ხელს ვიღებ“. შივა დათანხმდა – და კამაც ცოცხლობს, ოღონდ – „ანანგა“, ე.ი. უსხეულოდ.

კამა – სიყვარული, ნეტარება, ადამიანის ხუთივე გრძნობის დაკმაყოფილებაა. კამა, არტნა (სიმდიდრე და

ძალაუფლება) და ცხარმა (რელიგიური მოვალეობა) – ადამიანის ყოფიერების სამი საფუძველია, ამ სამი საფუძვლის მწვერვალზე კი, საბოლოო ამბლებული მიზანი – მოკშა (უმაღლესი მდგომარეობის მიღწევა, რომელიც ადამიანს გარდაქმნის აუცილებლობისგან ათავისუფლებს). სწორედ კამას მიღწევის შესახებ მოგვითხრობს 7 ნაწილისგან შემდგარი „კამასუტრა“. სასიყვარულო შეწყმის ტექნიკას მხოლოდ წიგნის მეორე ნაწილი გადმოგვცემს. ამ ნაწილში ვატსიაანა ბერტონის თარგმანისგან განსხვავებით, ქალის სიამოვნებისადმი მისთვის ჩვეული მზრუნველობით აღწერს ხვევნა-კოცნას, კბენასა და ამ მოქმედების თანამდევ ხმებსა და აგრეთვე, სექსუალურ პოზებს.

წიგნის სხვა დანარჩენ ნაწილებში ავტორი გვასწავლის, როგორ უნდა მოექცეს მამაკაცი თავის და სხვის ცოლებს, ქალებს, რომელთა მოხიბვლა შეიძლება სცადოს, რა გზებით არის შესაძლებელი ამის მიღწევა. ვატსიაანა რჩევებს „განათლებულ და პატივსაცემ კურტიზან ქალებსაც“ აძლევს. გარდა ამისა, ავტორი მამაკაცებსა და ქალებს იმისკენ უბიძგებს, რომ შეისწავლონ „სამოცდაოთხი ხელოვნება“, რომელთა შორისაა: ქიმიკა, წყლით გაკვებულ მუსიკალურ ჭურჭელზე დაკვრა, არქიტექტურა და თუთიყუშისთვის ლაპარაკის სწავლებაც კი...



ბონდი იხაზი და სუპერკაუჩუმი

აგენტი 007-ის შესახებ მე-20 ფილმის გადაღება დაიწყო, რომელიც ნოემბრის ბოლოსთვის – სუპერკაუჩუმი პირველი ფილმის – „დოქტორ ნოს“ გამოსვლის მე-40 წლისთავისთვის უნდა დასრულდეს.

ჭორი თუ სინამდვილე

ბონდიანის მე-20 სერიაში, რომლის გადაღებაც ათიოდე დღის წინ, ლონდონის სტუდია „ჰაინუდში“ ახალზელანდიური წარმოშობის პოლიუდელმა რეჟისორმა ლი ტამახორიმ დაიწყო, უბრუნებელ აგენტს კვლავ ირლანდიელი მსახიობი პირს ბროსნანი განასახიერებს. „ჩემთვის დიდი პატივია, მეოთხედ შევასრულო ეს როლი, – თქვა მან, – და ბედნიერი ვიქნებოდი, მეხუთედაც შემძლებოდა ეს... არანაირი სხვა გეგმა ჯერჯერობით არ მაქვს“.

ფილმისთვის ჯერ სახელწოდებაც არ შეურჩევიათ, სიუჟეტურ სვლებსაც ავტორები საიდუმლოდ ინახავენ. მწირი ინფორმაციის თანახმად, მოქმედება დაიწყება სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეას შორის არსებულ დემილიტარიზებულ ზონაში, შემდეგ, სამხრეთ ევროპის გაუღლით, ჰონკონგიდან ჰავანამდე „გაიქროლებს“. სავარაუდოა, რომ მასში უხვად იქნება შეუღლებურებითა და ავტომობილებით დევნის სცენები. როგორც მასშედა ადრევე იუწყებოდა (ამის შესახებ „გზის“ ფურცლებზეც ვწერდით), აგენტი 007 გერმანული „ბე-ემ-ვე“-დან, რომლი-

თაც ბოლო სამ ფილმში დაქროდა, ბონდიანისთვის ჩვეულ ბრიტანულ „ასტონ მარტინში“ გადაჯდება. ეს ორადგილიანი „სათამაშო“ 228.000 დოლარი დაჯდა.

ნაცნობი სახეებიდან, რომლებიც ადრეც ჩნდებოდნენ კინოსერიალის ფილმებში, 007-ის ბოსი ქალის შემსრულებელი ჯუდი დენჩი იქნება. ავტოკატასტროფაში დაღუპული მსახიობის – დესმონდ ლიუელინის (უამრავი ტექნიკური მოწყობილობის შემქმნელი დოქტორი კუს როლის შემსრულებელი) ნაცვლად, ახალ სურათში ბრიტანელი მსახიობი ჯონ კლიზი (დოქტორი არი) მოგვევლინება. გამორიცხული არ არის, რომ ფილმში ბონდის წინაპრებზე იქნება ლაპარაკი. ვებ-გვერდ „ბონდი-20“-ის შემქმნელთა მტკიცებით, სუპერჯაშუსს ვინმე დევიდ

ბონდიანის მე-20 სერიაში პირს ბროსნანს პარგნიორობას გაუწივენ: ამერიკელი ჰეილი ბერი (მარჯვნივ) და ინგლისელი რომამუნდ პაიკი


სეიტენტან პაქრობა მოუწევს, რომელიც, თავისი წინამორბედების მსგავსად, მთელი კაცობრიობის დაპყრობას ლამობს, თანაც – ინტერნეტის მეშვეობით. ეს ბოროტი ბერიკაცი, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს, ორმაგი აგენტი ყოფილა და, როგორც ადამიანის გონების მანიპულაციის სპეციალისტმა, დიდი სამსახურიც გაუწია ნაცისტებს. იმ შორეულ წლებში სეიტენტანს ლიკვიდაციას ამჟამინდელი სუპერგმირის მამა – ბრიტანელი აგენტი ენდრიუ ბონდი ლამობდა. მაშინ ბოროტმა გმირმა გაიმარჯვა, რომლის სახელიც, სხვათა შორის, სატანას ნიშნავს. შვილს მამის გამო, შურისძიების შესაძლებლობა ეძლევა... ყველა ამ დეტალს, ისევე, როგორც სავარაუდო სახელწოდებას – „უკანასკნელი დავალება“, კატეგორიულად უარყოფენ ფილმის ავტორები.

მას ბონდის გოგონა ჰქვია

„ბონდი მისთვის ჩვეულ საქმეს აკეთებს, – განაცხადა ლი ტამახორიმ, – რაც იმას ნიშნავს, რომ ლამაზ ქალებს ევლება თავს...“ აგენტის მორიგ მეგობარ გოგონებად, მუქკანიანი ამერიკელი ჰეილი ბერი და ინგლისელი რომამუნდ პაიკი შეურჩიეს. ამრიგად, დამთავრდა ჭორაობა იმაზე, რომ ბონდის პოტენციურ თანამგზავრ ქალებად, უიტინი ჰიუსტონი, მადონა, ან ანა კურნიკოვა შეიძლებოდა გვეხილა.

35 წლის ჰეილი ბერი საკმაოდ ცნობილი მსახიობი ქალია. 1989 წლიდან მას სხვადასხვა ტელესერიალში იღებდნენ, 1991-იდან კი, დიდ ეკრანზე გამოჩნდა. მისი მონაწილეობით გადაღებულ სურათებს შორის ცნობილია: „ბუმერანგი“, „მდიდარი კაცის ცოლი“, „რატომ უყვარდებათ ბრიყვებს“, „ხმალოვზა“.

რომამუნდ პაიკი ძალზედ ახალგაზრდა მოდელია და, როგორც თავად ამბობს: „ბიოგრაფია ჯერ არ მაქვს, მაგრამ იმედი მაქვს, ის ამ ფილმითა და მასში მონაწილე ნიჭიერ და გამოცდილ პარტნიორებთან




ერთობლივი მუშაობით შემდეგ შეიქმნება“.

საერთოდ, ჯემს ბონდის მეგობარი ქალების თემა საგანგებო საუბრის ღირსია. ბონდიანის ტრადიციის თანახმად, ყოველ ახალ ფილმში მთავარი გმირის გვერდით ახალი ქალი ჩნდება. სიყვარულის ტრფიალი აგენტი 007 თითოეულ სურათში სულ ცოტა, ორ რომანს მაინც ასწრებს, ამდენად, მისი ჰარამხანა სადღეისოდ, 40-ზე მეტ ქალს აერთიანებს, თუმცა დაქორწინება მხოლოდ ერთხელ მოასწრო: ეს მოხდა ბონდიანის მე-9 სერიამში – ფილმში „მისი უდიდებულესობის საიდუმლო სამსახურში“ (1969 წ.); ბონდმა ცოლად შეირთო გრაფინია ტერეზა დე ვიჩენცო, რომელიც ქორწინებიდან სულ რამდენიმე წუთში, ბოროტმა ბლოფელმა გამოასალმა სიცოცხლეს.

დაიან რიგი

რეალურ ცხოვრებაში ამას თან სდევდა ორი მსახიობის – მამაკაცის მთავარი როლის შემსრულებლის, ჯორჯ ლაზენბისა და ინგლისელი მსახიობი ქალის, დაიან რიგის საინტერესო პაექრობა. ავსტრალიელმა ლაზენბიმ ბონდის როლს ხელი მოჰკიდა მას შემდეგ, რაც სუპერ-აგენტი წარმატებით ხუთჯერ განასახიერა შონ კონერიმ. უკვე ამ მიზეზით, მისი მდგომარეობა საკმაო რთული იყო. გარდა ამისა, ლაზენბი პროფესიონალი მსახიობი არ იყო და დიდი პოტენციალის მიუხედავად, საკმაოდ სიძნელეებს წააწყდა გადასაღებ მოედანზე. მისი პარტნიორი – სექსუალური, მიმზიდველი და ათლეთური ინგლისელი ქალი, პირიქით – უკვე ჩამოყალიბებული მსახიობი იყო, რომელსაც ტელესერიალ „შურისმაძიებლებში“ გადაღების გამოცდილება ჰქონდა. პროდიუსერთა ჩანაფიქრით, რიგს უნდა გაეწონასწორებინა ლაზენბის ყველა სისუსტე, მაგრამ პატივმოყვარე ქალი დაუფარავად ცდილობდა, დაეჯანა პარტნიორი და კადრში თუ არა, გადასაღები მოედნის მიღმა მაინც გაესვა ხაზი მისი ნაკლისთვის. ყოველ შემთხვევაში, კონერის თვინიერი ქალებისგან განსხვავებით, დაიან რიგი არა მარტო ფსიქოლოგიურ და რომანტიკულ სცენებში არ უდებდა ტოლს ლაზენბის, არამედ „ექშნის“ – აქტიური მოქმედების ეპიზოდებშიც ეპაექრობდა. პირველ სასიყვარულო სცენის გადაღებამდე, ლანჩის დროს, რიგმა ხმაძილა უიზრა: „ეი, ჯორჯ, მე ნივრიან პაშტეტს ვჭამ და იმედია, არც შენ იტყვი მასზე უარს“... ლაზენბიმ უხმოდ გაუღიმა და ჭამა განაგრძო, მოგვიანებით კი, ამგვარად შეაფასა ეს გამოხედვა: „პრესის მტკიცებით, საპირისპიროდ, მე და დაიანს სულაც არ გეძულდა ერთ-



ბარბარა ბახი და როჯერ მური ფილმში „ჯაშუში, რომელსაც ვუყვარდი“


მანეთი, უბრალოდ, დაიან ჩემზე პატივმოყვარე იყო; ბოლოს და ბოლოს, მას უკვე რაღაც ჰქონდა გაკეთებული კინოში, მე კი მხოლოდ გზის დასაწყისში ვიყავი. დარწმუნებული ვარ, რომ მას ის აღიზიანებდა, რომ პრესა თანაბარი ყურადღებით გვეპყრობოდა, თუმცა მე ჟურნალისტებს სწორედ ახალბედობის გამო ვაინტერესებდი, დაიანის ინტერვიუები კი გაცილებით უკეთესად იყო მომზადებული“.



ჯორჯ ლაზენბი და დაიან რიგი

ურსულა ანდრესი და კიმ ბესინჯერი

სუპერჯაშუშის მეგობარი ქალის ტრადიციული სახე, ჯერ კიდევ პირველ სურათში – „ლოქტორი ნომი“, ურსულა ანდრესმა შექმნა. შვეიცარიელმა მსახიობმა, ყარბის კუნძულებზე მცხოვრები ზღვის ზოოლოგის ქალიშვილი ჰანი რაიდერი განასახიერა. თეთრ ბიკინიში გამოწყობილი ქალის წყლიდან გამოსვლა (ეკრანზე ანდრესის გმირის პირველი გამოჩენა) მსოფლიო აღიარების დასაბამი აღმოჩნდა, რომელმაც მსახიობი 60-იანი წლების სექს-სიმბოლოდ აქცია, ქვიშიან ნაპირზე მისი ხანგრძლივი გავლა კი, კრიტიკოსების აზრით, თავისებური სტანდარტის შექმნის განმსაზღვრელი



ურსულა ანდრესი და შონ კონერი ფილმში „ლოქტორი ნომი“

გახდა, რომელსაც შემდგომ ბონდის ყველა მეგობარ ქალს მოთხოვნად უყენებდნენ. „ამ ბიკინიმ ჩემი წარმატება განაპირობა, – იხსენებს 60 წელს მიტანებული ურსულა ანდრესი, – საუცხოო პლანზე გადაღებულ სცენას მგონი, დღემდე მიიჩნევენ კლასიკურ მომენტად კინოში, ამ სურათში ჩემ მიერ განსახიერებულმა ქალმა კი, შემოთავაზებული კინოროლების შერჩევის დიდი თავისუფლების საშუალება მომცა“. ლიტერატურული პირველწყაროს ავტორს, იან ფლემინგს პანი რაიდერი ბოტინელის ვენერას ინკარნაციად ჰყავდა წარმოდგენილი, ამიტომაც მისი წიგნის ილუსტრაციაზე ქალის სხეულს მხოლოდ ქამარი მოსავს, რომელზეც დანა აქვს დაკიდებული, მაგრამ კინოში ამის ზუსტად გადატანა 60-იანი წლების ბოლოსთვის მეტად გამომწვევი იქნებოდა (აქვე დავეხებით, რომ ურსულა ანდრესის ნახსენები ბიკინი, შარშან ლონდონში მოწყობილ აუქციონზე 40.000 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა).

21 წლის შემდეგ იმავე შონ კონერის (ფილმში „არასოდეს თქვა „არასოდეს“, 1983 წ.) ახალი მეგობარი ქალი – კიმ ბესინჯერის მიერ განსახიერებული დომინო პეტაჩი გაუჩნდა. ამ როლის მისაღებად მაშინ 30 წლის ამერიკელმა მსახ-

კიმ ბესინჯერი და შონ კონერი ფილმში „არასოდეს თქვა „არასოდეს“



იობმა ქალმა საკმაოდ ექსტრაგავანტურ ხერხს მიმართა: მან გარისკა და „ფლეი-ბოისთვის“ შიშვლად გადაიღო სურათები. ამბობენ, ზოგი მას უსირცხვილოს უწოდებდა, ზოგი კი სწორედ ამის შემდეგ დარწმუნდა, რომ აგენტ 007-ს მისნაირი მეგობარი ქალი მოუხდებოდა. თუმცა, ეკრანზე ბესინჯერი საკმაოდ მოკრძალებულად იქცეოდა და მთლიანად ბონდისეულ ხიბლს მიენდო...

ბარბარა ბახი და სოფი მარსო

ჯეიმს ბონდის ქალებს შორის ფრანგები, იტალიელები, კარიბის კუნძულებისა და ლათინური ამერიკის მგზნებარე წარმომადგენლები, იაპონელები, გერმანელები და რუსებიც კი არიან – თუმცა, რუს მსახიობს ბონდიანაში მონაწილეობა არ მიუღია. ბონდის რუსი მეგობარი ქალის სახე ამერიკელმა ბარბარა ბახმა – „ბითლზის“ წევრის, რინგო სთარის მეუღლემ განასახიერა: სურათში – „ჯავშუში, რომელსაც ვუყვარდი“ – მან „კაგებს“ აგენტი, მაიორი ანია ამასივა ითამაშა და პარტნიორობას როგორც მუდმივ განსახიერებულ ჯეიმს ბონდს უწევდა. რეჟისორ ლუის ჯილბერტის თქმით, მშვიდი, გაწონასწორებული ბარბარა დიდი შენაძენი იყო გადაძვლები ჯგუფისთვის და ძალზედ დამაჯერებლადც შეასრულა რუსი აგენტის როლი. ამ სახით იწყება ბონდის მეგობარი ქალების ხასიათის ახლებური აღქმა: ისინი თავისუ-

ფლდებიან მამაკაცური შოვინიზმის მარწუხებისგან და, „ჯეიმს ბონდის შესახებ შექმნილი ფილმების სრული ენციკლოპედიის“ ავტორის, კინოკრიტიკოს სტივენ რუბინის თქმით, საკუთარ „მეს“ უბრუნდებიან, უფრო რეალისტურები და დამაჯერებლები ხდებიან და არა მარტო მიმზიდველი გარეგნობით, არამედ აზროვნებითაც გამოირჩევიან. ბახის მიერ შესრულებული ამასივა არა მარტო ტოლს არ უღებს ბონდის პროფესიონალურ სფეროში, არამედ ზოგიერთ ეპიზოდში სჯახანის კიდეც ლეგენდარულ სუპერჯაშუსს.

აღნიშნული ტენდენციის მწვერვალს კი, მაინც ელექტრა კინგი აღწევს („მთელი სამყაროც არ კმარა“), რომელსაც ფრანგული კინოს ვარსკვლავი სოფი მარსო ასრულებს. როგორც ცნობილია, 35 წლის მსახიობმა ამ სახემდე ფრანგულ და ამერიკულ კინოში განსახიერებული პერსონაჟების სოლიდური მარაგი შექმნა და ბუნებრივია, რომ მისი გმირი არა მარტო ბონდის თანასწორად გრძობს თავს, არამედ საკუთარ ცხოვრებისეულ მიზნებსაც არ ივიწყებს და სუპერაგენტსაც ამ მიზნების მისაღწევად იყენებს. მას სულაც არ ნუსხავს ბონდის მამაკაცური ხიბლი, უფრო მეტიც – ის თავად კისრულობს ანგარიშიანი და ცინიკურად მოაზროვნე მაცდუნებელი ქალის როლს. უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამგვარი ხასიათი ექნება ჰელი ბერის გმირს, რომელიც ბონდიანის მე-20 სერიაში პირს ბროსნანს გაუწევს პარტნიორობას.

სოფი მარსო და პირს ბროსნანი ფილმში „მთელი სამყაროც არ კმარა“




კვირის (11 - 17 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი

პირველი - 21/1-19/11



ამ კვირაში სასურველია დიდი ხნის უნახავი მეგობრები და ახლობლები მოინახულოთ, სახლის რემონტი და ახალი ბიზნესის წამოწყებაც შეგიძლიათ. ნუ გეწყინებათ, მაგრამ ამ დღეებში ინტელექტუალური ამოცანების გადაჭრას ნამდვილად ვერ შეძლებთ. ასე რომ, ჯერჯერობით მოცილება და გრძობებს მიენდვეთ.

თავზე - 20/11-20/11



თუ უბრალო, რიგითი თანამშრომელი ხართ, ჩათვალეთ, რომ გაგიმართლათ. აი, თუ ხელმძღვანელი მუშაკი ბრძანებით, იცოდეთ, რომ ქვეშევრდომებს ვერაირ დაჯავლებას ვერ მისცემთ - იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავში არაფერი მოვიგათ, რადგან ახლა მთელი არსებით, სასიყვარულო გრძნობებში ხართ ჩაფლული.

მეტი - 21/11-20/11




გეგმვებით, რომ სიტუაცია თქვენგან საგმირო საქმეებს, გადაჭრულ ნაბიჯებსა და სარისკო ავანტიურებს მოითხოვს. მაგრამ არავითარ შემთხვევაში მსგავსი არაფერი მოიძოქმდეთ! ცდუნების დასაძლევად საუკეთესო წამალი თქვენთვის ახლა შრომა და, რაც უფრო მძიმე და მომქანცველი იქნება იგი, მით უკეთეს შედეგს გამოიღებს „მკურნალობა“.

მეტი - 21/11-21/11




არაჩვეულებრივად ახერხებთ შემოქმედებითი აქტიურობისა და კომერციული საქმიანობის შერწყმას, დიდ წარმატებასაც მიაღწევთ ნებისმიერ საქმეში და არა მარტო საქმეში - სიყვარულშიც გაგიმართლებთ, რადგან გულგრილს, უბრალოდ, არავის დატოვებთ.

მარტო - 22/11-21/11



სასიამოვნო, რომანტიკული კვირა გელით. სამუშაოზე სიამოვნებას მოგანიჭებთ კოლეგებთან და პარტნიორებთან ურთიერთობა (რაც, სხვათა შორის, მომგებიანი გარიგებების მიღწევაში დაგეხმარებათ), ხოლო თავისუფალ დროს გული გაგიწევთ იმ ადამიანებისკენ, რომლებთანაც ტკიბილი მოგონებები გაკავშირებთ.

მეტი - 22/11-22/11




ამ კვირაში ლოგიკური აზროვნების არაჩვეულებრივ უნარს გამოამჟღავნებთ. ყველაზე ჩახლართულ პრობლემებსა და ურთულეს თავსატეხებსაც კი გაუმკლავდებით. პარასკევისთვის, უმჯობესი იქნება, თუ გონებას დაასვენებთ და გულისთქმას მიენდობით: ბედი სასიამოვნო და რომანტიკულ სასიყვარულო თავგადასავალს გიმზადებთ...

ლომი - 23/11-23/11




თქვენთვის ჩვეული ენერგიულობა და აქტივობა დროებით უნდა მოთოკოთ. ამჟამად თქვენთვის საუკეთესო გამოსავალი - ტელევიზორთან ჯდომაა. გაუთავებელი საქმეებით ძალზედ გადაიღალეთ და თუ არ ამოისუნთქავთ, შესაძლოა, ყველაზე ძვირფასი - ჯანმრთელობა შეგერყეოთ. ამიტომ ეს კვირა ოჯახის წევრებს დაუთმეთ და განიტვირთეთ.

ქალწული - 24/11-23/11



ყველაზე მხიარული წვეულებიდანაც კი გული შინისკენ მიგიწევთ. ნუ გაუწევთ წინააღმდეგობას თქვენს გულისთქმას. ამ კვირაში მხოლოდ შინ და მხოლოდ ახლობელი ადამიანების გარემოცვაში იგრძნობთ თავს კომფორტულად და მშვიდად.

სასწიბო - 24/11-23/11




თქვენთვის ჩვეული გულისხმიერება მთიშველით, თავს ძალა დაატანეთ და შეეცადეთ, გარშემოწოფთა ტკივილი გულთან ახლოს მიიტანოთ და შეძლებისდაგვარად დაეხმაროთ მათ. პასუხისმგებლობით მოეკიდეთ საერთო პრობლემებსაც და მთელი ტვირთი საკუთარ თავზე აიღეთ.

ღმინება - 24/11-22/11



მშვიდი და უღრუბლო დღეები გელით. ახლა შეგიძლიათ ყოველგვარი წყენისა და საყვედურის გარეშე გადაჭრათ ნებისმიერი პირადი პრობლემა. განსაკუთრებულ სიამოვნებას კი კლასიკური მუსიკის მოსმენა, კარგი წიგნის წაკითხვა, საინტერესო ფილმის ნახვა და უბრალოდ, ბუნებაში გასეირნება მოგვკრით.

მშვილდოსანი - 23/11-21/11




ძალზედ სერიოზული და პრაქტიკული იქნებით, რამაც, შესაძლოა, გარკვეული პრობლემები შეგიქმნათ - როგორც კოლეგებთან, ისე მეგობრებთან ურთიერთობაში. სამაგიეროდ, წარმატებას მაღალწევთ საქმეში. ფრთხილად, საქმემ საყვარელი ადამიანი არ დაგავიწყდეთ!

თხის რქა - 22/11-20/11



ნაცნობ-მეგობრების წრის გაფართოება და განახლება არ გაწყენდათ. უარს ნუ იტყვით მიპატივებაზე და ელიტის ცხოვრების წესს დროის ფუჭ ხარჯვად ნუ მიიჩნევთ. გაუთვალისწინებელმა და მოულოდნელმა შეხვედრამ, შესაძლოა, რადიკალურად შეცვალოს თქვენი ცხოვრება, იმდენად, რომ ახლო მომავალში რეალურია ქორწინება.



ხართ თუ არა გონებაგაფანტული?

არიან ადამიანები, რომლებიც ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდეს ინარჩუნებენ და ყურადღება არ ეფანტებათ, მათი დაბნევა და შეცდომაში შეყვანა ძალიან ძნელია. სხვები კი მეოცნებეები არიან და ისე იქცევიან, თითქოს სხვა პლანეტაზე ცხოვრობდნენ. თუ გსურთ გაერკვეთ, ადამიანთა რომელ კატეგორიას მიეკუთვნებით, უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილი ტესტის შეკითხვებს:

1) წაგიგიათ თუ არა რაიმე თამაში უყურადღებობის გამო?

- ა) დიახ - 0;
- ბ) არა - 1.

2) ხშირად ვარდებით თუ არა უხერხულ მდგომარეობაში საკუთარი უყურადღებობის გამო?

- ა) დიახ - 0;
- ბ) არა - 1.

3) შეგიძლიათ თუ არა იმუშაოთ და თან ყურადღებით უსმინოთ ყველაფერს, რასაც თქვენ ირგვლივ ლაპარაკობენ?

- ა) დიახ - 1;
- ბ) არა - 0.

4) გიპოვიათ თუ არა ოდესმე ქუჩაში ფული ან რაიმე წვრილმანი ნივთი?

- ა) დიახ - 1;
- ბ) არა - 0.

- ა) დიახ - 1;
- ბ) არა - 0.

5) ქუჩაზე გადასვლისას ყურადღებით იყურებით თუ არა ორივე მხარეს?

- ა) დიახ - 1;
- ბ) არა - 0.

6) შეგიძლიათ თუ არა დეტალურად გაიხსენოთ ერთი კვირის წინ ნანახი ფილმი?

- ა) დიახ - 1;
- ბ) არა - 0.

7) ღიზიანდებით თუ არა, როცა რაიმე საქმის კეთებას განწყვიტინებენ?

- ა) დიახ - 0;
- ბ) არა - 1.

8) ყოველთვის ამონებთ თუ არა ხურდას?

- ა) დიახ - 1;

- ბ) არა - 0.

9) ადვილად იღვიძებთ თუ არა დილით?

- ა) დიახ - 1;
- ბ) არა - 0.

10) გაერთობთ თუ არა ქუჩაში ხმამაღალი შეძახილი ან ავტომობილის სიგნალის მოულოდნელი ხმა?

- ა) დიახ - 0;
- ბ) არა - 1.


11) გავიწყდებათ თუ არა ნასესხები ფულის უკან დაბრუნება?

- ა) დიახ - 0;
- ბ) არა - 1.

12) ხშირად აღმოჩენილხართ თუ არა ქუჩაში, წვი-

მის დროს, უქოლგოდ?

- ა) დიახ - 0;
- ბ) არა - 1.



დააჯავიეთ ძულები

9-12 ძულები: თქვენნაირი ყურადღებიანი ადამიანი დიდი იშვიათობაა, თქვენი მოტყუება და დაბნევა საკმაოდ ძნელია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კონცენტრირების შესაშური უნარი და საოცრად კარგი მეხსიერება გაქვთ. ყველა ეს თვისება დადებითად აისახება თქვენს საქმიანობაზე და ყოველდღიურ ცხოვრებასაც საგრძნობლად გაადვილებთ.

4-8 ძულები: საკმაოდ ყურადღებიანი ადამიანი ხართ, საქმეებს კარგად უძღვებით და მნიშვნელოვანი საკითხები არასოდეს გავიწყდებათ. სამაგიეროდ, თავისუფალ დროს მეოცნებე

ხართ და ღრუბლებშიც ხშირად დაფრინავთ. ყველაფერი ეს თქვენში ზომიერადაა გადანაწილებული და ალბათ, არც არაფრის შეცვლა ღირს, რადგან რომანტიკა ერთფეროვან ყოველდღიურობას შესამჩნევად ალამაზებს.

0-3 ძულები: ძალიან მეოცნებე და დაბნეული ხართ, ხშირად ეს ბევრ რამეში გიშლით ხელს და პრობლემებსაც გიქმნით, მაგრამ ამის მიუხედავად, თავს მაინც ბედნიერად გრძნობთ. შეეცადეთ, იყოთ ოდნავ უფრო ყურადღებიანი და ამით ბევრ უსიამოვნებას აცილებთ თავიდან.



ანა-ბანის უცოდინათობის

ინდოეთში გამოიგონეს კომპიუტერი უსწავლელთათვის. თთხმა ინჟინერმა შექმნა მინი-კომპიუტერი, რომლის დასაუფლებლად ელემენტარული განათლებაც კი არ არის საჭირო. ის ხელისგულზე ეტევა, ადჭურვილია ხმის მართვის სისტემითა და პროგრამით, რომელიც მომხმარებლის ინტერნეტით სარგებლობას ითვალისწინებს. სპეციალისტთა ვარაუდით, ეს სიახლე ხელს შეუწყობს ინფორმატიზაციის პროცესში გლეხების ჩართვას, მით უმეტეს, რომ მისი ფასიც საკმაოდ მოკრძალებულია: წინასწარი გამოთვლებით, კომპიუტერი სულ 9.000 ინდური რუპი იღირება, რაც დაახლოებით 180 ევროს უდრის. ■



სამხენველო ჯაშუშობა „ვახსჯვდავეუხი ომების“ ნინააღმდეგ

„ვარსკვლავური ომების“ ფანატებმა დროზე ადრე შეიტყვეს კოსმოსური საგნის „მეორე ეპიზოდის“ სცენარის შინაარსი. მიუხედავად იმისა, რომ გადამღები ჯგუფი საიდუმლოდ ინახავდა ფილმის – „ვარსკვლავური ომები: ეპიზოდი 2 – კლონებზე შეტევა“ – სიუჟეტს, ჯორჯ ლუკასის ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა სცენარის წაკითხვა მაინც მოახერხა და მის შესახებ შთაბეჭდილებაც კი სახალხოდ გამოთქვა. მან აღნიშნა, რომ ახალი ფილმი ძალიან დინამიკური იქნება, მასში ასახული ბრძოლის სცენები კი – შთაბეჭდავი. „მეორე ეპიზოდში“ ბრძოლები გაიმართება როგორც კოსმოსში, ასევე დედამიწაზეც და ამისთან, ჩვენს პლანეტაზე მონსტრების თავდასმაც იქნება ჩართული.

ჯორჯ ლუკასის ახალი ფილმის მსოფლიო პრემიერა 2002 წლის 16 მაისისთვის არის დაგეგმილი. ■

ხელოდ ჯელიანი მდეხი ყოფიდა

ქალაქ ნიუ-იორკის ყოფილ მერს რუდი ჯულიანის სეხნია გამოუჩნდა: მისი სახელი ნიუ-იორკში მდებარე სპილოების დაცვის ცენტრის ნაკრძალში 2002 წლის იანვრის ბოლოს დაბადებულ პატარა აზიურ სპილოს დაარქვეს და ამაში „ნათლებს“ არც იმან შეუშალა ხელი, რომ სპილო მდედრობითი სქესისაა. პატარა 122 კგ-ს იწონის და თავს კარგად გრძნობს.

აქვე იმასაც აღნიშნავთ, რომ აშშ-ში 11 სექტემბერს მომხდარი ტერაქტების შემდეგ რუდოლოფო ჯულიანი ამერიკელთა თვალში ნამდვილ გმირად იქცა, ჟურნალმა თიმე-მა კი ყოფილი მერი წლის ადამიანად დაასახელა. როგორც ჟურნალისტებს სპილოების დაცვის ცენტრში განუმარტეს, ჯულიანი ამ ცენტრისთვისაც ბევრი კარგი საქმე გააკეთა და ხელმძღვანელობამ ყოფილი მერის პატივისცემის გამოხატვა ამგვარად გადაწყვიტა.

100 წლის ხევისოხი ნყაქვეშა სამყაროს გვიჩვენებს

მესამე რაიხის ფავორიტი კინემატოგრაფისტი, პროპაგანდისტული ფილმების – „ნებისყოფის ტრიუმფისა“ (1935 წ.) და „ოლიმპიას“ (1938 წ.) შემქმნელი ლენი რიფენშტალი თავისი საუკუნოვანი იუბილის აღსანიშნავად, 45-წუთიანი სურათის – „წყალქვეშა შთაბეჭდილებების“ გამოშვებას აპირებს. ფილმში გამოყენებული იქნება კინომასალა, რომელიც რიფენშტალმა 1974-დან 2000 წლამდე ინდოეთის ოკეანის წყლებში თავისი 2000-მდე ჩასვლის შედეგად დააგროვა. ამ ცოტა ხნის წინ მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში მსცოვანმა რეჟისორმა, რომელსაც ნახევარი საუკუნის მანძილზე არც ერთი ფილმი არ შეუქმნია, განაცხადა, რომ ეჯავრება პოლიტიკა და სურს, მაყურებელს წყალქვეშა სამყაროს საოცარი სურათი გადაუმალოს. ■



ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა მიხეილ სააკაშვილმა და კახა თარგამაძემ.

ვულოცავთ ბატონ მიხეილს და ბატონ კახას და ვუსურვებთ წარმატებებს!

რას იწონის რაიბინგი?

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გაფარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (12 თებერვლის) 13 საათამდე.

„ფანტაზია“

საპარკლის მოლოდინში



**„ფანტაზიორებს
გკითხველი“**

**რას იწყონ
რეიტინგი?**



გაგონა 9 თებერვალს!

6 13 / 6


განსაჯობის ყოველწლი



11 (70)

ტესტები
ანეკდოტები
სკანვორდები
თეატრალური
ანონსი

ნოველა
პროსვორდები
კვირის ბელაგრობრება



1									
2									
	3								
	4	ბ	ი	ღ	ე	ს	ნ		
	5								
	6								

ვარდისფერ
უჯრებში
ამოიკითხავთ.
რითი არჩენს
„კიჭა“ ირას.
თუ ამოხსნა გაგიჭირდათ, იხ.
ჟურნალი „გზა“ №72

ყველაზე გასართობი ჟურნალი